



ისტორიული გაგვიფრეობა

19 კასპიის-
პირათში
რუსეთის
ჯარების
განმათავის-
უფლებელი
ლაშქრობა

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2016 წ. მაისი, №5(68), ფასი 3 ლარი

ერთობით მოპოვებული ღირსი გამარჯვება



ბელორუსიის ფრონტზე საბჭოთა ჯარების შეტევით ოპერასიას, როგორც 1944 წლის 23 ივნისიდან 29 აგვისტომდე მიმდინარეობდა, ღირსი შედეგით მათთვის – პეტრა ბაბრატინოვის სახელი ეწოდა. ოპერასია «ბაბრატინოვი», როგორც საბჭოთა კავშირის მხრიდან 1,2 მლნ ადამიანი მონაწილეობდა, უდიდესი იყო კავშირების ისტორიაში. **4**

გაგვიფრეობის რეაბილიტაცია- პროგრამების დაჩქარება აუცილებელია **28**



ვალგუჟა შაშაძიძე



გიორგი ნიკოლაიძე

ანდრია ბენეშვილი – ასტრონომიისა და **13** გეოდეზიის პროფესორი

მისი დასასწავლით
თბილისი იქნა
მსოფლიოს ერთ-ერთ
უკეთეს გეოდეზიკურ
ცენტრად და თბილისის
ობსერვატორია გახდა
გაზი სპარტელოსა და
საერთოდ კავკასიაში
სწავლასა სამეცნიერო
დაწესებულებათა
რეპუტაციისთვის



კაღრი ფილმიდან
"რაც ბინახავს,
ველარ ნახავ"



სარჩევი

იმ დღეებს კვლავ უნდა ავუზოთ	
■ ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება	4
ჭაბუკები დარჩნენ მარად	
■ «არ დავიღონდეთ, ვე დავბრუნდები»	10
■ ჯარისკაცის ბედი	12
უნივერსიტეტის პირველი პროფესორები	
■ ანდრია ბენაშვილი – ასტრონომიისა და გეოდეზიის პროფესორი	13
რუსეთის მხარდამხარ	
■ ქასიისნიკიტოვი რუსეთის ჯარების განათავისუფლებული ლაშქრობა და მისი მნიშვნელობა	19
რადიოლოგთა კონგრესი	
■ საქართველოს რადიოლოგთა კონგრესი	
ქვეყნის დღევანდელი სსსე ნაკრძალი	26
სოფლის მეურნეობა	
■ მეზობელთა რეაბილიტაცია-აღორძინების დარჩენილი ნაშთები	28
მოგონება	
■ იპოვ მანუაშვილი: ილიას გატაცება	32
მხატვრობა	
■ ირაკლი გამაკელი – ქართული სხეობრივი სელონების კლასიკოსი	34
კინოლოგია	
■ პარსკვლავი პარსკვლავს	36
ცხენის კულტი და ეთნოგრაფია	
■ ბორისა და არმანის ლანგები ეთნოგრაფიულ შუქზე	39
ჩვენი ეკლესია	
■ ანდრია პირველწოდებული და საქართველო	45
დედაქალაქის ისტორია	
■ თბილისის გალავანი	48

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი „ისტორიული მემკვიდრეობა“

სარედაქციო კოლეგია

პასუხისმგებელი რედაქტორი დარეჯან ანდრიაძე

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95

UDC (უბკ) 050 (479.22)
0-892



ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება

დიდ სამამულო ომში გამარჯვების 71-ე წლისთავზე ბელარუსის დედაქალაქში 80-მდე საზეიმო ღონისძიება იყო დაგეგმილი, რომელიც დაიწყო აქციით „ბელასუსს ახსოვს“. გამარჯვებულთა შთამომავლობის მხრიდან მადლიერებისა და ხსოვნის გულწრფელი გამოხატულება იყო ის, რომ აქციის მონაწილეებს ხელში ეჭირათ სამამულო ომის გმირების, ომგამოვლილი ნათესავებისა და ახლობლების ფოტოსურათები.

9 მაისს ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ გამარჯვების მონუმენტთან გვირგვინი მიიტანა და მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა. კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ისტორიის ფალსიფიცირების უფლებას არავის მისცემს, შემდეგ კი ვეტერანებს გაესაუბრა.

მის კვალზე მონუმენტი ყვავილებით შეამკეს დღესასწაულის მონაწილეებმა, რომელთა შორის მრავლად იყვნენ სამამულო ომის ვეტერანები პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან.

წინასააღდღესასწაულო დღეებში მინსკს სტუმრობდა დელეგაცია საქართველოდან. ბელარუსის დედაქალაქმა ქართველი ვეტერანები დიდი პატივით მიიღო. მათ მონაწილეობა მიიღეს 27-29 აპრილს მინსკში გამართულ დიდ სამამულო ომში გამარჯვებულთა საერთაშორისო ფორუმში სახელწოდებით „ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება“.



საერთაშორისო ფორუმის ორგანიზატორები იყვნენ: პოლიტოლოგთა ცენტრი „სევერ-იუგი“ (რუსეთის ფედერაცია), განვითარების ფონდი „ევრაზიის კვლევის ინსტიტუტი“ და საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ბელარუსის ვეტერანთა გაერთიანება“; მხარდამჭერი ორგანიზაციები: ბელარუსის ინფორმაციის, საგარეო საქმეთა, თავდაცვის, შინაგან საქმეთა და კულტურის სამინისტროები, აგრეთვე, მინსკის საქალაქო და საოლქო კომიტეტები.

სამამულო ომში გამარჯვებისადმი მიძღვნილი ფორუმი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში უკვე მეექვსედ გაიმართა.

ბელარუსი შემთხვევით არ შეურჩევიათ. ბელორუსიის ფრონტზე საბჭოთა ჯარების შეტევით ოპერაციას, რომელიც 1944 წლის 23 ივნისიდან 29 აგვისტომდე მიმდინარეობდა, დიდი მხედართმთავრის — პეტრე ბაგრატიონის სახელი ეწოდა. ოპერაცია „ბაგრატიონი“, რომელშიც საბჭოთა კავშირის მხრიდან 1,2 მლნ ადამიანი

მონაწილეობდა, უდიდესი იყო კაცობრიობის ისტორიაში.

1945 წლის 1 მაისს სტალინმა მინსკს გმირი ქალაქის წოდება მიანიჭა.

სტუმრებს გმირი ქალაქი შესაბამისი პატივით დაუხვდა. საზეიმოდ მორთულ მინსკში ომის ვეტერანებს ჟურნალისტები, ფორუმის ორგანიზატორები და მთავრობის წარმომადგენლები სასტუმრო „ვიქტორია-ოლიმპი“ დახვდნენ. აღსანიშნავია, რომ იქ ჩასული ბევრი ვეტერანი ბელორუსიის გათავისუფლებისთვის იბრძოდა, მათ შორის, საქართველოდან ჩასულები, რომლებიც ომის შემდეგ პირველად ესტუმრნენ ამ ქვეყანას.

საზეიმო ღონისძიება დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად აგებული ტაძრიდან დაიწყო. 11 საათისთვის კი მინსკის მთავარ მოედანზე საპატიო ყარაულისა და შინაგანი ჯარების წარმომადგენლების თანხლებით ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ჩასულმა ვეტერანებმა, ჟურნალისტებმა და ფორუმის ორგანი-

ზატორებმა მარადიულ ცეცხლთან ყვავილები მიიტანეს.

მოგვიანებით ღონისძიების მონაწილეებმა სასტუმრო „ოლიმპის“ დარბაზში გადაინაცვლეს და დაესწრნენ კონფერენციას, რომელზეც პოლიტიკოსები, საზოგადო მოღვაწეები, ისტორიკოსები და ომის ვეტერანები სიტყვით გამოვიდნენ. კონფერენციის მონაწილეებს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის — **ვლადიმერ პუტინისა** და ბელარუსის პრეზიდენტის — **ალექსანდრე ლუკაშენკოს** წარმომადგენლებიც მიესალმნენ.

სიტყვით გამოვიდა „გლობალიზაციის პრობლემების ცენტრის“ ხელმძღვანელი, რუსეთის ფედერაციის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ალექსანდრე ჭაჭია**.

თავიანთ შთაბეჭდილებებს გვიზიარებენ მინსკში გამართული ფორუმის მონაწილე დიდი სამამულო ომის ქართველი და უცხოელი ვეტერანები.



ტარას იჩქიტინიძე, დიდი სამამულო ომის ვეტერანი:

— იმ წლების გახსენება სიხარულსა და სიამაყეს მგერის. დიდი სამამულო ომი სიამაყით მოსაგონარია, თუმცა გულდასაწყვეტია, რომ გამარჯვების 71-ე წლისთავზე ამის აღიარება ბევრს არ სურს, უფრო მეტიც — ისტორიის ამ მონაკვეთის, ამ წლების დამახინჯება ან, სულაც, წაშლა უნდათ.

მრავალშვილიან ლარიბ ოჯახში დავიბადე. სოფელ ლორეშიდან ვარ წარმოშობით. ოთხ ძმას შორის მე ყველაზე უმცროსი ვიყავი. როცა დიდი სამამულო ომი დაიწყო, უფროსი ძმები სავალდებულო სამხედრო სამსახურში იყვნენ, სამშობლოს წინაშე ვალს ფსკოვში იხდიდნენ და, ბუნებრივია, ომის დანებებისთანავე ფრონტზე აღმოჩნდნენ. ერთი ძმა ტანკისტი იყო, ომი რომ დაიწყო, მძიმე სატანკო ბატალიონში მოხვდა. წერილებს გვწერდა. მოგვიანებით წერილები შეწყდა... იმხანად მე-9 კლასში ვიყავი...

1942 წლის 4 მაისს, სკოლის დასრულებამდე 25 დღით ადრე, ფრონტზე გაპარვა გადაწყვიტე. თბილისში ნამყოფი არ ვიყავი, მაგრამ იქამდე მივალწიე, საიდანაც შეიძლებოდა ფრონტზე წასვლა. ერთი ქალბატონი მოვიდა და მითხრა, სანამ სკოლას არ დაასრულებ, შენი ომში გაშვება არ შეიძლებაო. უკან დამაბრუნეს, მაგრამ იმავე საღამოს შინიდან კვლავ გავიპარე. ჩემი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა — არც

მშობლებმა და არც სკოლამ.

თბილისში რომ ჩამოვედი, ნავთლულის სადგურში მივედი, იქიდან კი სამხედრო ნაწილში წავიყვანეს. 38 დღე და ღამე მატარებლით ვიარე და კუნძულ სახალინზე აღმოვჩნდი.

ვფიქრობდი, როცა დავბინავდები, მშობლებს წერილს მივწერ, გავაგებინებ, სად ვარ-მეთქი, მაგრამ ასე არ მოხდა. ქალაქ კუიბიშევი ჩამიყვანეს და იქ სამხედრო ნაწილების დაკომპლექტება დაიწყო. ჩამრიცხეს სამოქალაქო ომის გმირის — შჩორსის სახელობის 45-ე დივიზიაში. ეშელონებში ჩავსვდეს და სტალინგრადისკენ გაგვიშვეს. მატარებელში რომ ჩავსხედით, თვითონ შჩორსის ცოლ-შვილმა დაგვლოცა და წარმატება გვისურვა.

საბრძოლო ნათლობა სტალინგრადში მივიღე. 45-ე დივიზია 62-ე არმიის რიგებში იბრძოდა. 62-ე არმიამ გაათავისუფლა სტალინგრადი. არმიას სარდალი **ვასილ ივანეს ძე ჩუიკოვი** ხელმძღვანელობდა, ძალიან ძლიერი პიროვნება იყო, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი. სტალინგრადიდან ბერლინამდე მის არმიაში ვიყავი. სულ წინა ხაზზე ვიბრძოდი. სამჯერ დამჭრეს. პირველად 1943 წლის 14 იანვარს სტალინგრადში დავიჭერი. ჰოსპიტალში მოვხვდი. აი, სწორედ მაშინ, თითქმის ერთი წლის თავზე, მოვახერხე მშობლებ-

ბისთვის პირველი წერილის მიწერა: „ფრონტზე ვარ, სტალინგრადს ვიცავ. ამჟამად ჰოსპიტალში ვმკურნალობ“. დედა ახალგაზრდა ქალი იყო, სულ რაღაც, 54 წლის. წერილი რომ წაუკითხავს, სიხარულისგან გული წასვლია. ფრონტზე მისი წერილი მომივიდა: „შვილო, გელოდე, გელოდე და არ ვიცი, შევძლებ თუ არა შენს დახვედრას“. ფრონტიდან დაბრუნებულმა შევიტყე, რომ დედაჩემი წერილის მიღებიდან რამდენიმე დღეში გარდაცვლილა.

ჩვენს დივიზიას დიდი წვლილი აქვს შეტანილი ბელორუსიის გაათავისუფლებაში.

ომის შედეგ პირველად ჩამოვედი მინსკში, მომწონს და ვამაყობ, რომ დღეს ეს ხალხი ასე ცხოვრობს და, რაც მთავრია, ასეთი დიდი პატივით მიგვიღეს. მას შემდეგ, რაც თვითმფრინავიდან ჩამოვედი, გულისცემა ამიჩქარდა, ომის დღეები გამახსენდა... მინსკი გმირი ქალაქია, გმირების ქალაქი.

სასწიამოვნოა, როდესაც აფასებენ იმას, რაც დღეს აქვთ, და იციან, რომ ეს ჩვენი, ომის ვეტერანების, დამსახურებაა.

ბელორუსიის შემდეგ უკრაინა გავათავისუფლეთ სრულად.

გერმანელებს კბილებამდე შეიარაღებული უძლიერესი არმია ჰყავდათ. ყველანაირად მოწესრიგებულები იყვნენ. მეომრებს თან





ჰქონდათ კბილის ჯვარისი, საპარსი, ფეხსაცმლის გასაპრიანებელი კრემი, გარმონი, საღამოობით რომ ემღერათ, მინურებში ელექტროლიებზე იწვენენ; საბჭოთა ჯარისკაცს კი არაფერი ებადა.

ომის წინ საბჭოთა კავშირს თითქმის არაფერი ჰქონდა, მაგრამ ძალიან მოკლე დროში სტალინმა უძლავრესი სამხედრო ტექნიკა შექმნა. ჩვენი თვითმფრინავები ყველაფერს ანადგურებდნენ. „კატიუშა“ 1943 წლის იანვარში უკვე 16 ჭურვს ისროდა, გერმანელების საარტილერიო დანადგარი კი — ერთს. უძლიერესი ტანკები გვყავდა, ჯარისკაცებიც გამოვიბრძმედეთ.

სტალინგრაღში ყინვა 42 გრადუსამდე ადიოდა. დაჭრილები გვყავდა, სიარულს ძლივს ვახერხებდით, მაგრამ ბერლინამდე მაინც ჩავედით. **სნაიპერი ვიყავი. 59 გერმანელი სნაიპერი მყავს „მოსხნილი“.**

გერმანიაში საინტერესო რამ მოხდა: ჩემი ძმის ბატალიონს შევხვდი, მაგრამ ძმას ვერ დაველოდე, რომ მენახა... ტყეში ვიყავი, აპრილი იყო. დავინახე ტანკი, რომელზეც ტანკისტი რალაცას ამაგრებდა. ტანკს ეწერა „139-ე მძიმე სატანკო ბრიგადა“. ვიცოდი, რომ ჩემი ძმა ამ ბრიგადაში იყო. ჯარისკაცს ჩემი ძმის სახელი და გვარი ვუთხარი, ვკითხე, ხომ არ იცნობმეთქი. მომიტრილდა და მითხრა: „ტი კაცო?“ ანუ ქართველი ხარო? ვუბასუხე, ქართველი ვარ და ამ ბრიგადაში ჩემი ძმა არის-მეთქი. მკითხა, დავითი ხომ არ ჰქვიაო. ძალიან გაუხარდა, გაიქცა ჩემი ძმის მოსაძებნად, მაგრამ ჩემი ბრიგადა მიდიოდა და ვერ ჩამოვრჩებოდი. ჩემს ძმას ვერ დაველოდე...

ომიდან სამივე ძმა დავბრუნდით. დავითმა მიაშობო, თანამებრძოლმა მითხრა, აქ შენი ძმა იყო, მაგრამ არ დავუჯერეო. ვუთხარი, მცირეწლოვანია და ომში არაფერი ესაქმება-მეთქი, არადა, თურმე, მართლა ომში ყოფილხარო.

ძმები კი დავბრუნდით, მაგრამ მშობლები აღარ დავგვხვდნენ ცოცხლები... მინდოდა, მშობლებს ვენახეთ, როგორი დავბრუნდით



ომიდან და როგორი ცხოვრება მოიტანა ჩვენმა თავდადება. დღეს ხშირად მეკითხებიან, — ვინ გადალებდათ, დაგეძახათ — „სტალინისათვის! სამშობლოსათვის!“-ო. არავინ გვაძალბებდა, ეს ჩვენგან მოდიოდა. **იცით, ბავთრებზე ბრძოლისას რამდენჯერ ჯიბეში უშვებოდა ჩამიღვია. ვფიქრობდი, თუ მოვკვდები, რამდენიმე ფაშისტს ბავთრებზე, უშვებოდა ჩამიღვია. ამათს არავინ მამალებდა.**



შოთა ბუაძე, დიდი სამამულო ომის ვეტერანი:

— 1943 წლის 1 იანვარს წამიყვანეს ჯარში. წარმოშობით ხონელი ვარ, როდესაც სამტრედიის მატარებლის ბაქანზე შევდექი, ვთქვი: „მშვიდობით, სამტრედია, შეიძლება ველარ გნახოთ. დავი-

ლუბებით, მაგრამ ჩვენს მინაზე ფაშისტებს არ შემოვუშვებთ“. ასეთი იყო იმჟამინდელი სულისკვეთება. ეს სულისკვეთება კი სტალინმა შთაგვაგონა, სწორედ მან შთაუნერგა ხალხს რწმენა, რომ, თუ ფაშისტებს გავანადგურებდით, გამარჯვება და ბედნიერი მომავალი ჩვენი იქნებოდა.

„ქართველები სხვის ომში იბრძოდნენო“, რომ მესმის, გულზე ლახვარივით მხვდება. ამას ცრუ ისტორიკოსები და ფსევდომეცნიერები ამბობენ, ადამიანები, რომლებსაც წარმოდგენა არ აქვთ, რა ხდებოდა იმხანად. საბჭოთა კავშირი მასში შემავალი ყველა ხალხის სამშობლო იყო, უძლიერესი ქვეყანა და ჩვენ სამშობლოსთვის ვიბრძოდით. ჩვენ ის თაობა ვართ, რომელიც კომკავშირულ ორგანიზაციებში ვიზრდებოდით და სამშობლოს სიყვარული სისხლში გვექონდა გამჯდარი. მზად ვიყავით, გამარჯვებისთვის, უკეთესი მომავლისთვის, სამშობლოსთვის თავგანწირვისთვის. ჩვენ არ დავუშვებდით ფაშისტებს საბჭოთა მინა-წყალზე. **ახალგაზრდები ტანკის ძველ ნაწილებზე, ამათს არავინ მამალებდა. ახალი თაობისთვის მინა-წყალზე. ახალგაზრდები ტანკის ძველ ნაწილებზე, ამათს არავინ მამალებდა.**



ომის დროს ორი მთავარი სიტყვა არსებობდა — „სამშობლო“ და „სტალინი“. სტალინის სახელით სამშობლოსთვის ვიბრძოდით. მან შექმნა სრულიად ახალი სახელმწიფო, რომლის მსგავსი დედამიწაზე არ ყოფილა, და გაიმარჯვა ისეთ ომში, რომლის მსგავსიც ისტორიას არ ახსოვს.

ვაიამოვ, რომ დიდი სამამულო ომის მონაწილე ვარ და დიდი ზელადის, უკლიარისი მთავარსარდლის ხელმძღვანელობით ბრწყინვალე გამარჯვებას მივაღწიეთ.

დანაშაულია, როდესაც საუბრობენ დიდ სამამულო ომზე და სტალინს არ ახსენებენ. გული მტკივა ახალგაზრდობაზე, რომლებმაც ეს არ იციან და არც უნდათ, ისწავლონ. სტალინი აკონტროლებდა ყველაფერს, რაც ფრონტზე ხდებოდა; უფრო მეტიც, იცოდა, რა ხდებოდა ხელოვნებაში, კულტურაში, მწერლობაში. 1941 წელს გერმანელები მოსკოვს მოადგნენ, მაგრამ მოსკოვში ჭადრაკის ჩემპიონატი ჩატარდა. სტალინი მოვლენა იყო. ის გვაძლევდა რწმენასა და ძალას. სხვანაირად 40 ბრადუს ყინვაში ტყვიამფრქვევების ჩასაყენებლად ნაჯახით ვერ ამოვითხრიდით მიწას.

დღეს დიდი სამამულო ომის ვეტირანებს არანაირი შეღავათი არ გვაქვს. დამსახურებისთვის მონიჭებული მედლების გულზე დაკიდების გვერიდება, — სხვის ომში იბრძოდითო, გვეუბნებიან. დიდი სამამულო ომის ვეტირანებს ისე უპატივცემულოდ არსად ეძევიან, როგორც საქართველოში.

ხედავთ, როგორ მიგვიღეს ბელარუსში, რამხელა დღესასწაული მოგვიწყეს, როგორი პატივით დაგვხვდნენ? ბედნიერი ვარ, ვილაცხას რომ ვახსოვართ, გვეფერებთან და ჩვენს თავდადებას აფასებენ. თვალი ცრემლით მევსება. ყურნალისტები მოწინებთ გვაჩერებენ და შეკითხვებს გვისვამენ. სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ადამიანები თავს გვიხრიან.



საქართველოს დიდი სამამულო ომის 170 გმირი ჰყავს, ჩვენ ამ ომში დიდი მსხვერპლი გავიღეთ.

გამარჯვების დღის აღსანიშნავ ღონისძიებებზე მოსკოვშიც ვიყავი და კურსკშიც. **როგორი სიხარულით გვხვდებიან და როგორი სინანულით. გული სწყდებათ, რომ ორ ქვეყანას შორის ასეთი დაპაბული ვითარებაა. გვეუბრებიან, გვაოცნიან, სურათების გადაღება სურთ ჩვენთან ერთად. ეს საქართველოში არ ხდება.**



სერგო მირზოიანი, დიდი სამამულო ომის ვეტირანი:

— ომში 16 წლისა წავედი. 1927 წელს ვარ დაბადებული, ჩემი წლოვანების ომში აღარ მიყავდათ. სახლიდან სტალინის სიყვარულის გამო გავიქეცი. თბილის-

ში საავიაციო ქახანაში მონაფედ მოვეწყვე, ვფიქრობდი, იქიდან უფრო ადვილად მოვახერხებდი ომში წასვლას.

ღიას, სტალინის გამომწვევი. სწორედ მან შთაბეჭაგონა სამშობლოს სიყვარული და ფაშიზმის სიძულვილი, მისმა სიძლიერამ და გამბედაობამ გადაამადგმევინა ნაბიჯი, რომ სახლიდან გავეცდეთ. საჭირო რომ იყოს, დღესაც ასე მოვიძევი.

მაოცებენ ის ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ სხვის ომში ვიბრძოდით. თუ ეს სხვისი ომი იყო, 300 ათასი ქართველი სულელი იყო და სხვის ომში განირა თავი? რომ იტყვიან, ცხვირმოუხოცავი ბავშვები ვიყავით, მაგრამ ძალიან, ძალიან დიდი გული გვქონდა, რადგან ჩვენი მთავარსარდალი სტალინი იყო. საბჭოთა კავშირი სტალინის მიერ დამყარებულმა დისციპლინამ გადაარჩინა. დიდი სამამულო ომი სტალინმა მოგვაგებინა. უმნიშვნელო ოპერაცია ცი სტალინის გარეშე არ იგეგმებოდა, ყველაფრის საქმის კურსში იყო, ყველაფერს ასწრებდა.

უდიდესი ბრძოლები გადავიტანეთ ბელარუსიის გასათავისუფლებლად. 16 წლისა და რვა თვის ვიყავი, მეკავშირე ვახლდით, ჩემი უფროსიც ახალგაზრდა იყო,



გვარად ჩარნიახოვსკი, მოგვიანებით დაიღუპა. 36 წლისა ორგზის გმირი იყო, ამაცობდა, სტალინის გენერალი ვარო.

ახლა აქ ვზივარ და მსიამოვნებხს. რამხელა სიხარულია, როდესაც წლების შემდეგ ჩამოდიხარ ქალაქში, რომლის გასათავისუფლებლად თავს არ ზოგავდი.

მერამდენე წელიწადია, რაც გამარჯვების დღე აღინიშნება პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. ვერც კი წარმოიდგენთ, რამხელა პატივია ეს ჩვენთვის. ასეთ დღეებში ვგრძნობთ, რა გავაკეთეთ სამშობლოსთვის. **უღრმესი მადლოვან ფორუმის ორგანიზატორებსა და იმ ქართველებს, რომლებმაც ამ ჩამოგვიყვანეს!**

ჩვენი ქვეყნის გარდა, ყველგან ვგრძნობთ, რომ ადამიანები ვართ.



ლილი ზერაქიძე, დიდი სამამულო ომის ვეტერანი:

— ლენინგრადელი ვარ. ლენინგრადის ბლოკადაში 900 დღე ვიყავი. ვფიქრობ, ამით ყველაფერია ნათქვამი, რა გადავიტანეთ და რა დღეები გამოვიარეთ. ძალიან ცუდია, როდესაც ცხოვრობ გარემოში, სადაც ისტორიას აბუჩად იღებენ და არ აფასებენ.

1962 წლიდან საქართველოში ვცხოვრობ. შვილები ქართველები მყავს. **ბული მწყდება, რომ ჩვენს ძვეყანაში სათანადო დაფასება არ გვაქვს და, საერთოდ, სათანადოდ არ აფასებენ იმას, რაც სამამულო ომში ხალხმა გადაიტანა. ისტორიის დამახინჯება ცუ-**

დია მომავალი თაობებისთვის.

აი დღეს აქ, ბელარუსში, ვარ და ვამაყობ იმით, რაც გამოვიარე, რაც ვნახე და გადავიტანე. ომის მძიმე დღეები ერების ერთობამ, ძმურმა დამოკიდებულებამ და ერთგულებამ გადაგვატანინა.

მადლობელი ვარ ჩვენი დაფასებისა და იმ პატივისთვის, როგორც მიგვიღეს და დაგვხვდნენ. მადლობელი ვარ იმ ქართველებისა, რომლებსაც გავახესენდით და მინსკში ამ ბრწყინვალე ფორუმზე ჩამოგვიყვანეს.



ვალენტინ ვილენსო, ესტონელი, სამამულო ომის ვეტერანი:

— როცა მითხრეს, ამ მაგიდასთან ქართველები სხედანო, ძალიან გამიხარდა და თქვენთან მოს-

ვლა გადავწყვიტე. ჩემს ბატალიონში ბევრი ქართველი იბრძოდა. ძალიან მიყვარს ქართველი ერი, მამაცები და გამბედავები არიან.

სპირად მაქიტსეზიან, რასნიშნავს შენთვის გამარჯვების დღეო და ყოველთვის ვუპასუხებ: ბინახავთ ფილმი „ბარლევია“? ეს ფილმი ჩემზაა. დიხს, ეს ფილმი ჩემზაა, ჩვენზა. ამგავი, რომელიც ფილმშია მოთხრობილი, მართლა მოხდა და ეს ჩვენს ბატალიონს შეამთხვა.

ახალგაზრდებმა არ იციან, რა გამოვიარეთ იმ წლებში და სულ ჰგონიანთ, რომ ფანტაზიის ნაყოფია, რასაც ომისდროინდელ ფილმებში უყურებენ, მაგრამ ეს ასე არ არის. დიდი სამამულო ომი ჩვენი ცხოვრების ნაწილია. ომში 18 წლისა წავედი და დაგვაცდი. ჩემს თაობას ახალგაზრდობის წლები არ გაუვლია, ბავშვობიდან კაცობაში გადავედით. ბევრი გმირულად დაიღუპა, ბევრიც გმირებად დავეუბრუნდით ოჯახებს. დიდებული წლები იყო.

ემოციითა და მოგონებებით დატვირთული დღე საზიარო ვახშირით დასრულდა. ვახშირზე საქართველოდან ჩასულმა ვ. სუნიშვილის სახელოვნო ინსტიტუტის სტუდენტების ფოტოკლორულმა ანსამბლმა „გორულამ“ რამ-





დენიშე სიმღერა შეასრულა. ერთ-ერთი იყო სტალინის საყვარელი სიმღერა „გაფრინდი, შავო მერცხალო“, რომელმაც დარბაზში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. ჩოხა-ახალუხში გამოცხობილმა ქართველმა მომღერლებმა სამამულო ომისადმი მიძღვნილი ბრანდიოზული ფორუმი დაამშვენეს.

„ამაღლებული განწყობა გვაქვს. უკვე მეორედ ვესწრები სამამულო ომის გამარჯვებისადმი მიძღვნილ მსგავს ღონისძიებას და, სიმართლე გითხრათ, თითქოს გავიზარდეთ, ბევრი რამ ვისწავლეთ. ვუყურებთ მოხუც ვეტერანებს და გვინდება, რომ მსგავსი გმირობა ჩავიდინოთ, ასეთი პატივითა და სიყვარულით ვიცხოვროთ. მათ თვალებში იმდენი სევდა და იმხელა სიამაყეა. ბედნიერია ქვეყანა, რომელმაც ასეთი დიდი ომი ბრწყინვალე გამარჯვებით დაასრულა. ვამაყობთ, თითქოს სიმამლეშიც კი ვიზრდებით, როდესაც „გაფრინდი, შავო მერცხალო“-ს ვმღერით და ტაშს გვიკრავენ. სტალინი, ხომ ქართველი იყო,“ — განაცხადა ჩვენთან საუბარში ანსამბლ „გორულას“ ხელმძღვანელმა ბირშელ ბუცხრიკიძემ.

ეკა ნასყიდაშვილი



«არ ღამიღონდით, მე ღავბრუნდები»

ვიტებსკის ოლქის ბერენკოვიჩის რაიონის სოფელ სანიკის საძმო სასაფლაოზე განისვენებს პოეტი მირზა გელოვანი. ამის შესახებ მხოლოდ 19 წლის შემდეგ გახდა ცნობილი. ბელორუსმა პიონერებმა მირზას დედას, ევა მარჩურიშვილს, 1963 წლის 13 ივნისს მისწერეს: „ჩვენს ტერიტორიაზე, სოფელ სანიკში არის სამხედრო სასაფლაო, სადაც დაკრძალულია თქვენი შვილი, მირზა გელოვანი“. 1939 წლის ნოემბერში წითელ არმიასი გაიწვიეს. მანამდე კი, რამდენიმე თვით ადრე მწერალთა კლუბში უკვე პოპულარულ პოეტს ლიტერატურული სადამო მოუწყვეს, სადაც უკანასკნელად წაიკითხა თავისი ლექსები და ბალადები. ლადო ასათიანმა ახალბედა ჯარისკაცს თბილისიდან იმავე წლის დეკემბერში გაუგზავნა ეს წერილი, რომელიც ქართველი პოეტების ძმობის, მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის ერთგვარი გამოხატულებაა:



„საყვარელო ძმაო მირზა!

გაგიკვირდება, ალბათ, თბილისიდან წერილს რომ გწერ, მაგრამ წუთისოფლის ბრუნვამ ასე ისურვა, და მე, სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებული, ისევ დავბრუნდი ტფილისს, ვარ ისე, საშუალოდ.

არა მიშავს რა, დავდივარ უსამსახუროდ და უფულოდ თბილისის ქუჩებში და მაინც არ ვწუხვარ, რადგან საქართველოში ვარ, ხომ იცი, სხვა საქართველო სად არის...

საინტერესოა შენი ამბავი. როგორ შეეთვისე, გედევანოვიჩ, ჯარსა, ლეიტენანტობა ხომ არ მიგიღია მეყვსეულად, ახლა „მნათობში“ ვზივარ და ვწერ წერილს. ჩემს ირგვლივ მთელი გალერეაა შესანიშნავი ადამიანებისა.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე და დემნა შენგელაია რაღაც მოთხრობას ჩაჰკირკიტებენ. კარლო კალაძე ახლა შემოვიდა, გორში იყო („ნაგორალია“), „მნათობის“ მე-9 ნომრის ჰონორარს წერს.

ასე რომ — ჩაიბარა ჟურნალი, რომელიც ახლახან მოიტანა შაოსანმა შიკრიკმა. ნიკა აგიაშვილი დივანზე ზის და იოსებ ნონეშვილს ელაპარაკება ჰომეროსზე, გაბრიელ ჯაბუშვილი „მნათობს“ კითხულობს.

ალეკო შენგელაია დნება ჰონორარის გამოწერის მოლოდინში და ასე, ამგვარად, არის დაუსრულებელი მოძრაობა და წვა პოეტთა, პროზაიკოსთა, კრიტიკოსთა, პოეზიის მოყვარულთა, მემანქნეთა და ანი მრავალთა...

მირზაჯან, რა კარგი იქნებოდა, რომ შენც მოხვიდე ახლა აქ. ძველებურად ავივლიდეთ, ჩავივლიდეთ... ყოჩაღად იყავი, ყოჩაღად! ლექსები დაწერე და გამოგზავნე.

მე აქ ვარ, იცოდე, ყოველ წუთს გავახსენებ შენს თავს ყველას. ჩვენი ლექსები მე-10 ნომერში უნდა დაბეჭდილიყო. ხომ იცი, გადაუდვიათ მე-11-ში...

ამაზე მე ავტყეხ ერთი ამბავი. ანი აღარ განმეორდება ესეთები.

სხვა შენ, ალბათ, წერილს იქ გამოგზავნიდი, სადაც ვიყავი. გამოვასწარი იმ წერილს.

ახლა, მირზა, მომწერე წერილი, წერილებით მაინც ვიბაასოთ და ამასობაში ეს დროც მალე გაიარს. დღეს მივდივართ დედაშენთან მე და ნიკა აგიაშვილი, მიმაქვს შენი სურათი და გვინდა, გავახაროთ მშობელი შენი.

იყავი რკინასავით.

**გკოცნის შენი ძმა
ლადო ასათიანი
22.12.1939, თბილისი.**

დრომ მართლაც „მალე გაიარა“, მაგრამ „მოიტანა ომი და ცრემლები“. ქართველმა პოეტებმა თავიანთი სიტყვა თქვეს დიდ სამამულო ომში — როგორც კალმით, ასევე ხიშტით.

„ჩამი გზა მილიონობით გზას მიჰყვება და არსად თავდება, რადგან მილიონების გზის დამთავრება არ შეიძლება. მე ის ზღაპრული მოყმა ვარ, ყველგან რომ იპოვიდა საკუთარ ადგილს“, — ვკითხულობთ ფრონტიდან გამოგზავნილ მირზას ერთ-ერთ წერილში.

„მე შენი თმები ღამაგრუნებან“ — ასე წერდა ომიდან მირზა გელოვანი თავის უმშვენიერეს მუზას — ნინო ახვლედიანს და თითქმის ყველა წერილში თავის ახლობლებს აიმედებდა:

„არ ღამიღონდით, მე ღავბრუნდები“ და „ღაბრუნებით ტკივილს ნავშლი“.

მაგრამ მირზა ბელორუსიაში, მდინარე დასავლეთ დვინის გადალახვისას 1944 წელს მოკლეს, მეორე მსოფლიო ომის მიწურულს.

მირზა გელოვანი მხოლოდ 27 წლის იყო!

ფარაჯიანი პოეტის ლექსები

ბანშორება

ყველა მოკლე და ქერა თმის ნახვით
გამახსენდება თმები შოლტები.
როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა,
მაინც მივდივარ, მაინც გშორდები.
ასე თიშავდნენ ძველი ზღაპრები
ასფურცელას და ოქროსთმებიანს,
ქარმა დაგლიჯა ყველა აფრები
და შენზე დარდში დამთენებია.
მგზავრი ვარ, შენზე ფიქრებს ვუნდები
და აჩრდილებთან თამაშს უვნებელს.
მე დავბრუნდები, ჰო, დავბრუნდები,
მე თქვენი თმები დამაბრუნებენ.

მე არ ვარ გმირი...

მე არ ვარ გმირი, ცეცხლში ბრძოლების
ბედი მწყალობს და სიკვდილს ახელებს.
არდაბრუნება არ მეძნელება,
უფრო ძნელია თქვენზე წუხილი,
მიტომ კი არა, რომ სიყვარული
იყო პირველი, იყო უთქმელი,
რომ მოპარული, რომ დაფარული
არ ჰგავდა სხვისას ალერსი თქვენი,
რომ ღამე, ჩვენგან დამწვარი ერთად,
იყო მხურვალე, ვიდრე ვიცოდი,
რომ გრძნობა ჩემი მძაფრი და მკვეთრი
სხვასთან ამგვარად ვერ დაინვოდა!..
ო, არა... მაგრამ სიკვდილის გვერდით,
სისხლიან ჩრდილში მწვავე ბრძოლების,
თქვენ მაგონდებით, როგორც იმედი
წარსულთა დღეთა განმეორების.

მელოდი

მე დაბრუნებით ტკივილებს წავშლი,
ოღონდ მოსვლამდის, ოღონდ ბოლომდის,
როგორც გაზაფხულს ელიან მთაში, —
შენი ლამაზი გული მელოდეს.
შევყრი მეგობრებს, მაღალ მაყრიონს,
ორღობებში გასროლას დოლის,
ზეცის ჩამოხსნას, მთების შერყევას
ჯილდოდ მოვუტან ბრწყინვალე ლოდინს.
და შენს ეზოში დაუკრავს ზურნა,
დაბალი ხმებით დუდუნი დოლის,
აგიცხადდება სიზმარი შორი,
გაგახსენდება დობილთა ზრუნვა.
გეტყვიან... ოი, ჰკარგავ ბავშვობას,
ოი, დობილებს გვტოვებ ბავშვებად,
მშვიდობა ყრმობას და თამაშობას,
მშვიდობის მუქი ნურც მოგეშვება.
... და ქორწილს ზეცის სუფრაზე გავშლი,
ოღონდ მოსვლამდის, ოღონდ ბოლომდის,
როგორც გაზაფხულს ელიან მთაში, —
შენი ლამაზი თრთოლვა მელოდეს.



ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, შალვა დემეტრაძე და იაკობ ბალახაშვილი, 1940 წ.

გმირობას მისას

თოვლით დაფარულ ნაძვების ახლოს
ის იწვა ერთი,
და უცქეროდა ღრუბლების მაღლობს
თვალებით თეთრით...
არც ხმლის ნატეხი, არც ბუდე ისრის
არ ეგდო სადმე,
მხოლოდ შემხმარი მოშაო სისხლი
შვენოდა წარბებს.
ამ სისხლს ხსოვნისთვის გულზე წაიცხებს,
მკერდით დაიცავს,
გმირობას მისას არ დაივიწყებს
რუსეთის მიწა.

მთაწმინდიდან სმოლენსკამდე

მთაწმინდიდან სმოლენსკამდე გზა შორი,
უფრო შორი — გზა ბრძოლის და მწუხარების.
გახსოვს ღამე? — გავუძვერით ნალმებს ორნი
და მტრის ბლინდაჟს შევუკეთეთ ყუმბარები.
გახსოვს დნეპრი? — მღვრიე, როგორც გათენება.
დნეპრზე მღვრიე — შემოდგომის მღვრიე ქარი,
დაჩეხილებს თბილისის ცა გვამთელებდა,
ჩვენს საშველად მთაწმინდიდან წამომდგარი.
მე დედაშენს არ ვუამბობ შესაწუხარს,
ვეტყვი მხოლოდ, ომში გული არა კვდება,
ვეტყვი, რომ შენ ნაიქეცი, როგორც მუხა,
როგორც ფშაველ მონადირეს ეკადრება.
გული დარჩა, და როდესაც ხელჩართული
დნეპრს გადაღმა ჩადგა ომის მქუხარება,
მე ვიგრძენი საგულეში შენი გული
და მტრის ბლინდაჟს შევუკეთე ყუმბარები.



ჯარისკაცის ბაღი

სანუკვარ გამარჯვებას მხოლოდ რამდენიმე კვირა აშორებდა, ლელო თითქმის გატანილი იყო, მაგრამ შინ დაბრუნება მაინც აუხდენელ ოცნებად დარჩა ომის ჯოჯოხეთგამოვლილ ჯარისკაცს.

დიდი სამამულო ომის დამთავრებამდე სულ რაღაც ერთი თვე იყო დარჩენილი, როცა პომერანიის ქალაქ ნიშტადტის სამხრეთ აღმოსავლეთის განაპირა რაიონის მიწას მიაბარეს 25 წლის ქართველი ჭაბუკის, პოლკის შტაბის დაზვერვის განყოფილების მეთაურის, გვარდიის უფროსი სერჟანტის აბელ ფაცაცია ცხედარი. მაშინ ბევრმა არც კი იცოდა, ვინ იყო იგი და საიდან... გავიდა წლები. აბელ ფაცაცია ძმისშვილმა ანატოლიმ ძალიანმევა არ დაიშურა და ბიძის კვალს მიაკვლია.

ა. ფაცაცია დაიბადა 1919 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ დიდინეძში. საშუალო განათლება იქვე მიიღო. 1930 წელს განვეულ იქნა ნითელარმიელთა რიგებში. 1941 წელს, როცა დიდი სამამულო ომი დაიწყო, ა. ფაცაცია მურმანსკის მხარეში იმყოფებოდა. იმიერპოლარეთის უმკაცრეს პირობებში აბელ ფაცაცია, როგორც მზვერავი, არა ერთხელ შესულა მტრის ზურგში და სარდლობის დავალებები შეუსრულებია.

1942 წლის მაისში ეფრეიტორმა ა. ფაცაციამ მოწინააღმდეგის ერთ-ერთ რაიონში პირველმა შენიშნა მტრის ძალების დაჯგუფება, რომელიც საბჭოთა ქვეგანყოფის წინააღმდეგ შეტევისთვის ემზადებოდა მტერი დროულად იქნა ლიკვიდირებული. ა. ფაცაცია კი კარელიის ფრონტის სარდლობის 1942 წლის 23 ივლისის ბრძანებით დაჯილდოვდა მედლით „მამაცობისთვის“.

1943 წლის სექტემბერში ა. ფაცაცია პირადი ინიციატივით წავიდა დაზვერვაზე, რათა ხელში ჩაეგდო „მოენე“ და დაეზვერა მტრის განლაგების ერთ-ერთ მაღლობზე საინჟინრო მოწყობილობის სისტემა. ამ ამოცანის შე-

სასრულებლად სამი მოხალისე მამაცი მზვერავი მოამზადა.

1943 წლის 23-24 სექტემბრის ღამეს დაზვერვის ჯგუფმა ა. ფაცაციას მეთაურობით მოწინააღმდეგის ბლინდაჟი გააუვნებელყო და გერმანელი მეზრძოლი დაატყვევა.

1943 წლის 25 სექტემბრის დაჯილდოების ფურცელში ვკითხულობთ: „თამამი, ენერგიული უმცროსი მეთაურია, მგზნებარე პატრიოტი სამშობლოსი და ხალხის ერთგული შვილი, ბრძოლაში გამოჩენილი უნარის, ნიჭისა და სიმამაცისათვის ღირსია დაჯილდოვდეს „ნითელი დროშის ორდენით“.

საბრძოლო ოპერაციისას მოხერხებული, უშიშარი მოქმედებისათვის ა. ფაცაცია 1943 წლის 13 ოქტომბრის ბრძანებით დაჯილდოვდა „ნითელი ვარსკვლავის“ ორდენით.

ა. ფაცაციამ 1944 წლის 7-15 ოქტომბერს ფრონტზე შეტევითი ბრძოლის დროსაც ისახელა თავი. მისმა ათეულმა მოსპო ათამდე პიტლერელი.

1945 წლის 30 იანვარს ა. ფაცაცია დაჯილდოვდა „მესამე ხარისხის დიდების“ ორდენით, ასევე, გადაეცა მედალი „საბჭოთა იმიერპოლარეთის დაცვისთვის“.

1945 წელს ა. ფაცაციამ, მიიღო რა უშუალო აქტიური მონაწილეობა მტრის ბუნაგში — პომერანიაში (გერმანია) განეულ ბრძოლებში, აქაც არაერთხელ კვლავ გამოიჩინა გამირობა და უსაზღვრო ერთგულება სამშობლოსადმი.

ჩვენი ჯარის ნაწილები მივიდნენ რა ახალ ადგილას, საჭირო შეიქმნა ცნობების მოპოვება მტრის ძალებისა და შეიარაღებაზე. ამ დავალების შესრულება ა. ფაცაციამ საკუთარ თავზე აიღო. მან შეკრიბა მნიშვნელოვანი ცნობები



მტრის საცეცხლე ნერტილების განლაგების შესახებ, რის შედეგადაც არტილერიის ცეცხლი მოწინააღმდეგის შენიღბული ბატარეისკენ მიმართეს.

1945 წლის 15 მარტს მტრის კონტრშეტევის მოგერიების დროს ა. ფაცაცია დაიჭრა, მაგრამ მან ბრძოლის ველი მაინც არ დატოვა. მხოლოდ სარდლობის უშუალო ჩარევის შედეგად გაგზავნეს იგი ჰოსპიტალში. ექიმები აბელს ჰოსპიტლიდან განერის ნებას არ აძლევდნენ. მაშინ მან თვითნებურად დატოვა ჰოსპიტალი და ისევ თავის ნაწილში დაბრუნდა, რათა მტერზე გამარჯვება ბერლინში ეზეიმა.

მძიმე ბრძოლებში ქალაქ გდანის რაიონის მისადგომებთან ა. ფაცაცია არამც თუ ამხნევებდა მეზრძოლ-არტილერიისტებს, არამედ თავისი პირადი მაგალითით ხელჩართულ ბრძოლებში მიჰყავდა მამაცი ჯარისკაცები.

1945 წლის 2 აპრილს ა. ფაცაცია მძიმედ დაიჭრა, რომელიც მისთვის საბედისწერო შეიქნა, ის საველე ჰოსპიტალში მიყვანამდე გარდაიცვალა.



ანდრია ბენაშვილი – ასტრონომიისა და გეოდეზიის პროფესორი

ანდრია ბენაშვილი სავსებით დამსახურებულად ითვლება ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამაარსებლად. იგი ღირსეულად ჩადგა ივანე ჯავახიშვილის თანამოსანგრეთა შორის და შეიძლება სიამაყით ითქვას, რომ მისი, როგორც გამოჩენილი პროფესორის, ყოფნა უნივერსიტეტის პროფესორთა პირველ კოლეგიაში მაღალ აკადემიურ სოლიდურობას სძენდა იმ საქმეს, რომლის წარმატებაში ხშირად მისი მოსურნენიც არ იყვნენ დარწმუნებულნი.

საქართველოში, ასტრონომიული მეცნიერების აღორძინების თვალსაზრისით, ანდრია ბენაშვილის სფეროული ასტრონომიის კურსს საეტაპო მნიშვნელობა ენიჭება. ანდრია ბენაშვილი 1918 წლიდან (უნივერსიტეტის დაარსებიდან) 1936 წლამდე უნივერსიტეტის ასტრონომიისა და გეოდეზიის კათედრას განაგებდა. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში კათედრაზე მომზადდა 8 მეცნიერებათა დოქტორი და 50-მდე მეცნიერებათა კანდიდატი.



ანდრია ბენაშვილი
კადეტთა კორპუსში
სწავლის წლებში

ქართველი სამხედრო და საზოგადო მოღვაწე ანდრია ბენაშვილი დაიბადა 1868 წელს, თბილისში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. 10 წლისა მამამ თბილისის კადეტთა კორპუსში მიაბარა, სადაც იგი შვიდი წლის განმავლობაში სწავლობდა.

მან კადეტთა კორპუსში სწავლისას დააარსა ხელნაწერი ჟურნალი „შრომა“, რომელიც 1882-1884 წლებში მისივე რედაქტორობით გამოდიოდა. ჟურნალის ზოგიერთ ნომერს ილუსტრაციებიც ახლდა. 1883 წლის №6-ში მოთავსებულია ანდრია ბენაშვილის მიერ გულმოდგინედ შესრულებული ნახაზი „რუქა საქართველოსათვის თარგამოსიანთა ხელში“. ამავე ნომერშია რუსთაველის შესანიშნავი პორტრეტი, რომლის მხატვრობა ეკუთვნის ა. სარაჯიშვილს. იქვეა მოკლე მიმოხილვა რუსთაველის ცხოვრებისა და მისი უკვდავი პოემისა. „ყოველ ქართველს სახლში ამ ცოტა ხნის წინათ ეპოვებოდა ეს თხზულება და ეხლაც ხშირად შეხვდება კაცი მას აზნაურების ოჯახებში. ეს პოემა ყოველმა ქართველმა იცოდა თით-

ქმის ზეპირად და მისი არწამ-კითხველი ყოველთვის იქნებოდა ქართველისგან გაკიცხული, როგორც კაცი, რომელსაც არ წაეკითხა სახარება. ეხლაც ბევრი ლექსია ამ პოემიდან ხალხში, ანდაზად ჭირში და ლხინში იხმარება, როგორც სახარების სიტყვები“.

„შრომის“ სტატიების ავტორები შიგადაშიგ ახერხებდნენ, აღენიშნათ მასავით ჭაბუკი რედაქტორ-გამომცემლის მძიმე და გაბედული გადაწყვეტილების შესახებ. 1883 წლის №3-ში რედაქციისადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „თქვენი ჟურნალი არის დიახ პირველი და საქებარი მონადინება. განა არა, ჩვენც ბევრჯერ მოგვსვლია აზრში ჟურნალის გამოცემა, მაგრამ არ გვქონდა იმდენი გაბედულება, რომ შეგვესრულებინა იგი და მასთან ვერ ვკისრულობდით მაგ დიდ მოვალეობას“.

„შრომის“ 1883 წლის №4-ში ვკითხულობთ: „1883 წელი არის შესანიშნავი ჩვენ შეკრულ ცხოვრებაში. გადის მერვე წელიწადი კორპუსის დაარსების შემდეგ და

არავის არ მოსვლოდა აზრად აქამდისინ ქართული ჟურნალის გამოცემა. ჩვენ პატარა ქართულ საზოგადოებას ტკბილად ეძინა და, როცა კიდე გამოიღვიძებდა, ქართულად არც კი იკადრებდა პასუხის გაცემას და ეხლა კი უცებ ერთმა მღვიძარე ქართველმა იკისრა ჟურნალის გამოცემა ღმერთმა ხელი მოუმართოს...“

მაგრამ უსახსრობის გამო 16 წლის ანდრეა ბენაშვილი საბოლოოდ იღებს ხელს ჟურნალის რედაქტორ-გამომცემლობაზე.

1885 წელს კადეტთა კორპუსის დამთავრების შემდეგ ბენაშვილი მოსკოვის ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებელში შედის, რომელსაც ორი წლის შემდეგ წარჩინებით ამთავრებს. ეს უკანასკნელი გარემოება მას უფლებას აძლევს, აირჩიოს მომავალი მუშაობის ადგილის სასურველი ვაკანსია და 1887 წელს იგი თბილისში სამეგრელოს გრენადერთა მე-16 პოლკში.



მისი საქმიანობა საქართველოში სამხედრო სამსახურით არ იზღუდებოდა. იგი მშობლიური ხალხის კულტურული ცხოვრების აქტიური მონაწილეა. ამ პერიოდს ეკუთვნის ანდრია ბენაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობაც. იგი აქვეყნებს რამდენიმე მოთხრობას, ხოლო „ივერიაში“ იბეჭდება მისი პიესები „დასრულებული ამბავი, ანუ თელაველი ოტელი“, „დროთა ბრუნვა“ და სხვ.

„თელაველი ოტელი“ სცენარზეც იდგმებოდა და ილიას „ივერია“ ამას თავის დროზე მოწონებით შეხვდა.

ანდრია ბენაშვილი ოცნებობდა უმაღლესი განათლების მიღებაზე. იმხანად არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი რუსეთის იმპერიაში, მათ შორის არც ერთი უნივერსიტეტი, არ ამზადებდა მეცნიერ სპეციალისტებს ასტრონომიასა და გეოდეზიაში. ერთადერთი იყო გენერალური შტაბის აკადემია, რომლის გეოდეზიური განყოფილების კურსდამთავრებულ ოფიცერს ენიჭებოდა გეოდეზისტის (ასტრონომის) მეცნიერული წოდება. მათ უფლება ჰქონდათ ყველა უმაღლეს სასწავლებელში, მათ შორის სამოქალაქოში, დამატებითი დისერტაციის დაცვის გარეშე ლექციების კითხვისა. გეოდეზისტის წოდება უთანაბრდებოდა ასტრონომიისა და გეოდეზიის დოქტორის ხარისხს.

გენერალური შტაბის აკადემიის გეოდეზიურ განყოფილებაზე მი-

ღება მკაცრად შეზღუდული იყო, მისაღები კონტიგენტი 7 კაცზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ ამ ძნელ პირობებში ზოგჯერ 3-4 კაცი ხვდებოდა, ზოგჯერ კი საერთოდ ვერ არჩევდნენ ღირსეულთ. ორი კურსის ჩაბარების შემდეგ ოფიცრებს გზავნიდნენ პულკოვოს მთავარ ასტრონომიულ ობსერვატორიაში ასტრონომიასა და გეოდეზიაში პრაქტიკული კურსების გავლისათვის. ობსერვატორიაში ორი წლის მუშაობის შემდეგ მსმენელებს უნდა დაენერათ ასტრონომიულ თემაზე დისერტაცია. დისერტაციას შემდგომ იხილავდა კომისია ყველა პროფესორ-გეოდეზისტის შემადგენლობით. კომისია თავის დასკვნას მოახსენებდა გენერალური შტაბის აკადემიის კონფერენციას, ეს უკანასკნელი კი ნყვეტდა საკითხს, ეცნო თუ არა დისერტანტი გეოდეზისტის (ასტრონომის) სამეცნიერო წოდების ღირსად.

პირველი მსოფლიო ომის წინ ოცამდე გეოდეზისტი ასტრონომი თუ იყო მთელ რუსეთში.

ანდრია ბენაშვილი 1896 წელს, მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ, ჩაირიცხა გენერალური შტაბის აკადემიის გეოდეზიურ განყოფილებაზე. მის თეორიულ კურსს პირველი თანრიგით ამთავრებს 1899 წელს და ორი წლით იგზავნება პულკოვოს მთავარ ასტრონომიულ ობსერვატორიაში პრაქტიკულ ასტრონომიასა და უმაღლეს გეოდეზიაში

სამუშაოდ. პულკოვოში ყოფნის დროს მან დაწერა დისერტაცია თემაზე: **„განედის განსაზღვრა ორი ვარსკვლავის შესატყვის სიმაღლეთა და ამ ვარსკვლავთა ზენიტურ მანძილთა მცირე განსხვავების გაზომვის მიხედვით“.**


ანდრია ბენაშვილის დისერტაცია გენერალური შტაბის აკადემიის კონფერენციის მიერ აღიარებულ იქნა, როგორც თვალსაჩინო მეცნიერული გამოკვლევა და დაიბეჭდა გენერალური შტაბის სამხედრო ტოპოგრაფიული განყოფილების მთავარი სამმართველოს კრებულში, მისი ძირითადი დებულებები შემდგომ გადაიბეჭდა გერმანულ და ფრანგულ სპეციალურ გამოცემებში.

აკადემიაში წარჩინებით სწავლისა და ბრწყინვალე დისერტაციის გამო (აქვე აღვნიშნავთ, ხუთ თანაკურსელთაგან, რომელნიც ა. ბენაშვილთან ერთად სწავლობდა, მხოლოდ ორმა დაიცვა დისერტაცია; პირველი კი სწორედ ა. ბენაშვილი იყო) 1901 წელს ანდრია ბენაშვილს დაუყოვნებლივ ნიშნავენ ტრიანგულაციის დასავლეთის სასაზღვრო სივრცის სამმართველოს უფროსის თანამემწედ, შემდგომ კი — სამმართველოს უფროსად. ამ თანამდებობაზე ყოფნის დროს მას რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ადგილას უხდებოდა მოგზაურობა სამეცნიერო მივლინებით.

ანდრია ბენაშვილი მრავალგზის იყო სამეცნიერო მივლინებაში გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, ინგლისში, ავსტრია-უნგრეთსა და შვეიცარიაში.

1902 წლიდან, როცა მას ინვევენ პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის გეოდეზიის კათედრის გამგედ, ანდრია ბენაშვილი იწყებს უმაღლეს სკოლაში პედაგოგიურ მოღვაწეობას, რაც თითქმის ორმოცი წელი გრძელდებოდა. თავის მთავარ მოწოდებად და პროფესიად იგი სწორედ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას თვლიდა.

პეტერბურგის ტექნოლოგიის ინსტიტუტის კათედრის გამგეა იგი 1916 წლამდე. ასევე 1905 წლი-





დან 1916 წლამდე გეოდეზიისა და ასტრონომიის კათედრის გამგეა სამხედრო-საინჟინრო აკადემიაში. ამას გარდა, სამხედრო ტოპოგრაფიის კურსს კითხულობდა პავლოვისა და მიხაილოვის სამხედრო სასწავლებელში.

პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე გენერალური შტაბის ოფიცერთა დიდი ნაკლებობის გამო, ანდრია ბენაშვილი მოქმედ არმიაში წავიდა. აქ არნახული წარმატებით ხდება მისი სამხედრო აღმატება: პოლკის მეთაური, დივიზიის შტაბის უფროსი, კორპუსის შტაბის უფროსი, 32-ე საარმიო კორპუსის უფროსი. აღწევს გენერალ-ლეიტენანტის ჩინს. 1918 წლის იანვრიდან იგზავნება კავკასიის ფრონტზე კავკასიის ზურგისა და მომარაგების ჯარების უფროსად (არმიის უფროსის თანამდებობა).

თბილისში ანდრია ბენაშვილის ჩამოსვლა ქართული უნივერსიტეტის გახსნის დამამთავრებელ ეტაპს ემთხვევა.

ივანე ჯავახიშვილი დიდი ხანი იცნობდა ანდრია ბენაშვილის მოღვაწეობას. მისი ჩამოსვლა თბილისში ბედნიერი შემთხვევითობა არ ყოფილა. **ქართულ უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვა ანდრია ბენაშვილისათვის ჭაბუკობისდროინდელი ოცნების აღსრულება იყო. ამიტომაც იგი ღირსეულად ჩადგა ივანე ჯავახიშვილის თანამოსანგრეთა შორის და სავსებით დამსახურებულად ითვლება ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამაარსებლად.** უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს პირველი ოფიციალური სხდომა 1918 წლის 13 იანვარს

შედგა, მეორე კი — 1918 წლის 17 იანვარს, პეტრე მელიქიშვილის ბინაზე. მას უკვე ესწრება პროფესორი ანდრია ბენაშვილი და საუნივერსიტეტო ქალაქად თბილისის გადაქცევაში აქტიურ მონაწილეობას იღებს. უკვე პირველსავე განცხადებაში უნივერსიტეტის პირველი კოლეგიის შესახებ ვკითხულობთ: **„პროფ. ან. ბენაშვილი (პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტისა და სამხედრო-საინჟინრო აკადემიის გეოდეზიისა და ვარსკვლავთმრიცხველობის პროფესორი) ლექციების კითხვას დაიწყებს სამათემატიკო განყოფილების გახსნის შემდეგ“.**

პეტრე მელიქიშვილი და ანდრია ბენაშვილი პირველი პროფესორები იყვნენ ბუნებისმეტყველების დარგში.

თუმცა პირველ სემესტრშივე ა. ბენაშვილს ლექციების კითხვა არ დაუწყია, მაგრამ მისი პროფესორთა კოლეგიის წევრობა ძალზე გამოადგა ქართული უნივერსიტეტის მეცნიერული ქმედუნარიანობის დამტკიცებას.

პროფესორთა საბჭოს 1918 წლის 13 აპრილის №9 ოქმში ვკითხულობთ: „განსახილველი საგანი:

ტფილისის ფიზიკური ობსერვატორიიდან მოსული წინადადება — დავასახელოთ კანდიდატი ობსერვატორიის დირექტორის თავისუფალ ადგილზე.

განაჩენი: წარმოდგენილ იქნეს კანდიდატად უნივერსიტეტის პროფესორი, გენერალ-მაიორი, გეოდეზისტი ანდრია მიხეილის ძე ბენაშვილი“.


არ შეიძლება იმ დროისათვის ამ ფაქტის გადაჭარბებით შეფასება.

საქმე ისაა, რომ თბილისის ფიზიკური (მაგნიტურ-მეტეოროლოგიური) ობსერვატორია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის უძველესი სტაციონალური დაწესებულება იყო კავკასიაში. იგი სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში შედიოდა და ექვემდებარებოდა მეცნიერებათა აკადემიას. თბილისის ობსერვატორიის კავშირუროთიერთობა აკადემიასთან ხორციელდებოდა პულკოვოს მთავარი ობსერვატორიის საშუალებით. თბილისის ფიზიკური ობსერვატორიის ამოცანას წარმოადგენდა „ქალაქ თბილისში მუდმივი მაგნიტური და მეტეოროლოგიური დაკვირვებები, აგრეთვე, კავკასიის კლიმატური და ფიზიკური გამოკვლევა“.

თბილისის ობსერვატორიის დირექტორი ინიშნებოდა მეცნიერებათა აკადემიის მიერ პულკოვოს მთავარი ფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის წარდგინებით. მეცნიერ თანამშრომლებს ობსერვატორიის დირექტორი ნიშნავდა და შემდგომ მეფისნაცვალის ამტკიცებდა. კადრების შერჩევის ეს ბიუროკრატიული სისტემა ადგილობრივი ძალებით ობსერვატორიის დაკომპლექტების საშუალებას არ იძლეოდა. **აქამდე ობსერვატორიას არც ერთი ქართველი მეცნიერ-თანამშრომელი არ ჰყოლია.** ყოველივე ამის მიუხედავად, ობსერვატორიის არსებობამ თბილისი აქცია მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს გეოფიზიკურ ცენტრად და იგი გახდა ბაზა საქართველოსა და საერთოდ კავკასიაში სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებათა ჩამოყალიბებისთვის.

პირველი მსოფლიო ომის დროს თანამშრომლების არმიაში განვებისა და მისი მომარაგების გაუარესების გამო, ობსერვატორიის მუშაობა ნაკლებფექტური ხდება. რევოლუციების წლებში ზოგიერთი განყოფილება საერთოდ იხურება, უმეტესობა ნორმალურად ვერ მუშაობს.

პროფ. ვ. გლასეკის დირექტორობამ 1897 წლიდან ბევრი სიკეთე მოუტანა ობსერვატორიას,





მაგრამ 1917 წელს იგი ტოვებს თბილისს და სამშობლოში — ვარშავაში მიემგზავრება. ასე ჩნდება ობსერვატორიის დირექტორის თანამდებობაზე ვაკანსია. პულკოვოს მთავარ ობსერვატორიაში აღზრდილი თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი ა. ბენაშვილი სწორედ რომ კანონზომიერი პირველი ქართველი დირექტორი იყო ობსერვატორიისა. მოვლენები ისე წარიმართა, რომ საქმე მარტო ობსერვატორიის უნივერსიტეტელი დირექტორის დანიშვნით არ იფარგლება. მალე დადგა საკითხი თბილისის ობსერვატორიის უნივერსიტეტის გამგებლობაში გადმოცემისა.

1919 წლის 19 მარტს სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და სამკურნალო გაერთიანებული ფაკულტეტის სხდომამ პროფ. პ. მელიქიშვილისა და ა. ბენაშვილის მოხსენებათა საფუძველზე დაადგინა: ეთხოვოს განათლების სამინისტროს, თბილისის ფიზიკური ობსერვატორია გადაეცეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. საქართველოს ფიზიკური ობსერვატორია თბილისის უნივერსიტეტს დაექვემდებარა.

საქმე ის იყო, რომ ამიერიდან თბილისის უნივერსიტეტი ობსერვატორიის გზით მთელი რიგი სამეცნიერო დაწესებულებების ქსელის გამგებელი ხდება.

„საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკური ობსერვატორიის დროებითი დებულება“ 1919 წელს ივანე ჯავახიშვილის ხელითაა დანერგილი. ობსერვატორიის მიზანი და დანიშნულება დებულების პირველივე პუნქტშია განსაზღვრული: „ფიზიკური ობსერვატორიის მიზანი და დანიშნულებაა საქართველოს შესწავლა მეტეოროლოგიურისა, მაგნიტური, სეისმური და საზოგადო ფიზიკურ მოვლენათა თვალსაზრისით. ამასთანავე მის მოვალეობას შეადგენს შეძლებისდაგვარად სახელმწიფო, საერობო და საზოგადოებრივი დაწესებულებებისათვის საჭირო სამეცნიერო ცნობების მიწოდება პრაქტიკული საკითხების გადასაჭრელად“.



ა. ბენაშვილი, 1940 წ.

ობსერვატორია სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში ითვლებოდა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ექვემდებარებოდა.

1923 წლამდე ხელმძღვანელობდა პროფ. ა. ბენაშვილი საქართველოს ფიზიკურ ობსერვატორიას. ამ დროს ხელახლა შექმნა სეისმური განყოფილება: 1921-192 წლებში კვლავ დაიწყო „წლიური მეტეოროლოგიური ბიულეტენის“ გამოსვლა, 1923 წელს გამოიცა 1921-23 წლების სეისმური ბიულეტენები. იზრდება მეტეოროლოგიური სადგურების რაოდენობა, იხსნება სინოპტიკური განყოფილება.

1918 წლის 19 ივლისს ივანე ჯავახიშვილი თავის მოხსენებაში განათლების სამინისტროსადმი აღნიშნავდა, რომ „ისეთი ფაკულტეტიც კი, როგორც სამათემატიკო-საბუნებისმეტყველოა, ქართველ მეცნიერთა საკმაო რიცხვით თითქმის სრულებით უზრუნველყოფილია“, მხოლოდ მათი მოწვევაა აუცილებელი რუსეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან.

როგორც ცნობილია, პეტრე მელიქიშვილი და ანდრია ბენაშვილი თავიდანვე უნივერსიტეტში მოღვაწეობდნენ, მათ მალე ანდრია

რაზმაძეც შემოუერთდა და ერთიანი ძალით გაიშალა მუშაობა ახალი ფაკულტეტის დაარსებისათვის. საქმე მარტო სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის შექმნით არ დამთავრებულა. იმის გამო, რომ სამედიცინო ფაკულტეტის პირველ კურსებზე ზოგადსაბუნებისმეტყველო საგნები იკითხებოდა, გადაწყდა გაერთიანებული სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტის შექმნა. ეს კი 1918 წლის შემოდგომიდანვე განხორციელდა. ასე რომ, უნივერსიტეტის არსებობის პირველ კალენდარული წლიდანვე შეიქმნა ყველა ჰუმანიტარული ფაკულტეტის წინამორბედი — სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი, აგრეთვე, სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და სამედიცინო ფაკულტეტი.

სწორედ უნივერსიტეტის არსებობის მეორე სემესტრიდან იწყება ლექციების ქართულად კითხვა ასტრონომიასა და გეოდეზიაში. გენერლის ფორმაში გამოწყობილი პროფესორი დახვეწილი ქართულით პირველად მეტყველებდა ასტრონომიისა (ვარსკვლავთმრიცხველობისა) და გეოდეზიის ტერმინოლოგიით.

კიდევ უფრო ფართო ხასიათს იღებს საბუნებისმეტყველო დისციპლინების სწავლება თბილისის უნივერსიტეტში, როცა იყოფა გაერთიანებული სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტი. ეს საბოლოოდ 1919 წლის 9 აპრილს მოხდა.

უდიდესი პასუხისმგებლობით ეპყრობოდა პროფესორი ანდრია ბენაშვილი ქართულად ლექციების კითხვას. ეს ხომ სრულიად ახალი საქმე იყო. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ რუსულ უმაღლეს სკოლაში ლექციების კითხვის მდიდარი გამოცდილება ჰქონდა.

თბილისის უნივერსიტეტის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი არა მარტო ვითარდება და ფართოვდება, არამედ ამასთანავე იგი ხდება საფუძველი ჯერ აგრონომიული და შემდეგ პოლიტექნიკური ფაკულტეტების შექმნისა. ანდრია



ბენაშვილი სამივე ამ ფაკულტეტის სათავეებთან მდგომი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური პროფესორია.

1919 წლის 13 ოქტომბრიდან პროფ. ა. ბენაშვილს დაევალა სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანობა.

ანდრია ბენაშვილი, როგორც დეკანი, თავმჯდომარეობდა პროფესორთა საბჭოს 1919 წლის 17 დეკემბრის სხდომას, რომელზეც ივანე ჯავახიშვილი აირჩიეს თბილისის უნივერსიტეტის რექტორად, მიუხედავად ამ უკანასკნელის წინააღმდეგობისა.

პროფ. ა. ბენაშვილია გეოდეზიის სწავლების დამწყები საქართველოში აგრონომთა რამდენიმე თაობისათვის.

პროფ. ა. ბენაშვილი ყველა იმ წინასწარი მოსამზადებელი საორგანიზაციო ღონისძიების აქტიური მონაწილეა, რომელმაც შესაძლებელი გახადა 1922 წლის იანვრიდან თბილისის უნივერსიტეტში პოლიტექნიკური ფაკულტეტის გახსნა. უმაღლესი ტექნიკური განათლების სარბიელზე იგი გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა და უდიდესი წვლილი შეიტანა ქართველ ინჟინერთა კადრების აღზრდაში.

გენერალ-ლეიტენანტი ანდრია ბენაშვილი, როგორც უფროსი თბილისის სამხედრო სასწავლებლისა, რომელიც მალე იხურება, ცდილობს, რომ სასწავლებლის ქონება უნივერსიტეტს გადაეცეს. ამის შესახებ ჯერ კიდევ 1918 წლის 21 იანვარს პროფესორთა საბჭოს მესამე სხდომაზე ივანე ჯავახიშვილი ამბობდა: „რადგან სამხედრო სასწავლებელი და ბევრი სხვა დაწესებულებანი იკეტება, ზომები უნდა იყოს მიღებული, რომ უნივერსიტეტს გადმოეცეს მათი ქონება“. საამისოდ უნდა აღძრულიყო შუამდგომლობა, სადაც ჯერ არს. **სწორედ პროფ. ა. ბენაშვილის მეცადინეობით თბილისის უნივერსიტეტთან შეიქმნა ასტრონომიული კაბინეტი ძვირად ღირებული მონაცემებით ისე, რომ ამაზე ერთი კაპიკიც არ დახარჯულა.**

ბენაშვილი ანდრია ბენაშვილი, როგორც ამიერკავკასიის არმიის შტაბის სალიკვიდაციო განყოფილების უფროსი, აქტიური მონაწილეა იმისა, რომ ყოფილი კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ბიბლიოთეკიდან მნიშვნელოვანი ნივთიერებითი მდიდრით აღსავსეა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. მართლაც, 1919 წლის აგვისტოში ყოფილი შტაბის ბიბლიოთეკიდან უნივერსიტეტში მიიღო 5799 ტომი, უმთავრესად ძველი გეოგრაფიული, პოლიტიკური, საისტორიო და უწყებრივი ლიტერატურა სხვადასხვა ენაზე.

პროფესორ ანდრია ბენაშვილის, როგორც დიდი სამხედრო სპეციალისტის, მალაღმა ავტორიტეტმა სარგებლობა მოუტანა ტოპოგრაფიის განვითარებას საქართველოში. იგი ხომ 1918 წლიდან არმიის შტაბის სამხედრო-ტოპოგრაფიულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომაც, 1922 წლამდე, პროფ. ა. ბენაშვილი აგრძელებდა წითელი არმიის ტოპოგრაფიული განყოფილების ხელმძღვანელობას.

ანდრია ბენაშვილს — რევოლუციამდელი არმიის გენერალ-ლეიტენანტს — 1921 წლის თებერვალში არც კი უფიქრია სამშობლოს დატოვებაზე. სამშობლოს ერთგული სამხედრო სამსახური მიაჩნდა ანდრია ბენაშვილს ცხოვრების მთავარ მიზნად, პატრიოტის წმიდათანმიმდა მოვალეობად.

სამხედრო-ტოპოგრაფიული სამმართველოსადმი მისი ხელმძღვანელობის დროს აქ დაწინაურდნენ შემდგომ გამოჩენილი ქართველი სპეციალისტები გ. ქავთარაძე, თ. რუსიშვილი, კ. იორდანიშვილი, გრ. ხუნჯუა, მ. ქავთარაძე და სხვანი, მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ სწორედ ტოპოგრაფიული განყოფილება ახორციელებდა არა მარტო გეოდეზიურ და ტოპოგრაფიულ, არამედ კარტოგრაფიულ სამუშაოებსაც. ასეთივე მნიშვნელოვანია პროფ.

ა. ბენაშვილის დამსახურება ქართველ კარტოგრაფთა აღზრდაში.

პროფ. ა. ბენაშვილი იყო ინიციატორი იმისა, რომ სწორედ ქართული უნივერსიტეტი გამხდარიყო ტოპოგრაფიულ-კარტოგრაფიულ სამუშაოთა კვლევის მთავარი ცენტრი რეპუბლიკაში.

ნიშანდობლივია ამ მხრივ უმაღლესი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, პროფ. ივ. ჯავახიშვილის მიმართვა საქართველოს რევკომისადმი 1922 წლის 15 იანვარს. მასში აღნიშნულია, რომ საბჭომ მოისმინა პროფ. ა. ბენაშვილის მოხსენება სამხედრო კომისარიატის ტოპოგრაფიული განყოფილების კავკასიის ცალკე ლაშქრობის შემადგენლობაში გადაცემის შესახებ და მიუთითა ამ ფაქტის მიზანშეწონილობაზე. პროფ. ა. ბენაშვილის მოხსენების მიხედვით დაწერილ დოკუმენტში ნაჩვენებია თბილისის უნივერსიტეტში ბუნებისმეტყველების ამ უაღრესად პრაქტიკული დარგების განვითარების გზები. წარდგინებაში დაწვრილებითაა დახასიათებული საქართველოს ტოპოგრაფიული განყოფილების წინაშე მდგარი ამოცანები, სახელდობრ, რუკების დამზადება ჯარისათვის, ტოპოგრაფიულად მანამდე შეუსწავლელი რაიონების (მაგ. აღმოსავლეთ საქართველო) აგეგმვა, სკოლებისათვის გეოგრაფიული რუკების შედგენა და გამოცემა, რესპუბლიკისათვის ახლო მომავალში აუცილებელი დიდი კადასტრული აგეგმვის შესრულება, ისეთი მეცნიერული საკითხების გადაწყვეტა, როგორცაა: სიმძიმის ძალის განსაზღვრა, შვეულ ხაზთა გადახრის გამოკვლევა, დროის აღრიცხვა, ბაზისების გაზომვა, ტრიანგულაციის წარმოება, განედების და გრძედების ასტრონომიული განსაზღვრა და სხვ. ა. ბენაშვილი მიუთითებდა, რომ საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიის მეცნიერული საქმიანობა მჭიდრო კავშირშია ტოპოგრაფიული განყოფილების მეცნიერულ მუშაობასთან და



ტოპოგრაფიული განყოფილების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა უნივერსიტეტში გეოდეზისტებისა და ასტრონომების მომზადება. იქვე აღნიშნულია, რომ ტოპოგრაფიულ განყოფილებაში ამჟამად და უახლოეს მომავალში ქართულ ენაზე უნდა შესრულდეს საყურადღებო გეოგრაფიული ხასიათის სამუშაოები. სახელდობრ, დაბეჭდილი და გამოცემულია დედამიწის ნახევარსფეროები, დამზადებულია დასაბეჭდად დედამიწის ხუთი ნაწილის საკლასო რუკები, საქართველოს დიდი კედლის რუკა, საქართველოს მცირე რუკა, გეოგრაფიული ატლასი და სხვა. დასამზადებელი და გამოსაცემია ქართულ ენაზე საქართველოს ყველა მასშტაბის რუკები, რაც მოითხოვს დიდ ხანსა და შრომას. დასამზადებელია მრავალი სხვადასხვაისტორიული, გეოლოგიური, გეოფიზიკური და სხვა დანიშნულების რუკა და სხვა. პროფესორთა სამეცნიერო საბჭო თხოვდა საქართველოს რევკომს, რათა „დაუყოვნებლივ განკარგულეხა გასცეს ტოპოგრაფიული განყოფილების საქართველოსათვის უკან დასაბრუნებლად, რათა შემდეგში ეს განყოფილება გადაცემულ იქნას იმ გეოგრაფიული ინსტიტუტისათვის, რომელიც აუცილებელი საჭიროების მიხედვით უნდა ახლო მომავალში დაარსებულ იქმნას უნივერსიტეტთან, ან დამოუკიდებლად, განათლების სახალხო კომისარიატის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ“.

სწორედ პროფ. ა. ბენაშვილი იყო ერთ-ერთი ინიციატორი საქართველოში გეოგრაფიული ინსტიტუტის შექმნის იდეისა, სადაც იმუშავებდნენ ასტრონომ-გეოდეზიის, ტოპოგრაფიისა და კარტოგრაფიის უმაღლესი სპეციალისტები.

პროფესორი ანდრია ბენაშვილი საზაფხულო არდადეგების დროს უნივერსიტეტი მას ხშირად გზავნიდა მივლინებებში მოსკოვსა და ლენინგრადში. პროფ. ა. ბენაშვილი განსაკუთრებით დაუინტერეს-



მიხეილ ანდრიას ძე ბენაშვილის ოჯახი (მარჯვნიდან პირველი ანდრია ბენაშვილი)

სებია კვლევებს ასტროფიზიკის დარგში, რომელიც „ნარმოადგენს უაღრესად მნიშვნელოვან ნაწილს ასტრონომიისას“.

1928 წელს დაწერილი ანგარიშის სტრიქონებში კარგად ჩანს, რომ მსცოვანი მეცნიერი ჭაბუკური ცნობისმოყვარეობით ამჩნევს ყოველ სიახლეს მეცნიერებასა და ტექნიკაში.

პროფ. ა. ბენაშვილი, უნივერსიტეტის სხვა პატრიოტ პროფესორებთან ერთად, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ეროვნული საშუალო სკოლის ფართო ქსელის განვითარებაში. 1921 წლის 1 ნოემბერს დაარსდა საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო. მისი თავმჯდომარე იყო განათ-

ლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი, „ფაქტიური თავმჯდომარე“ — უნივერსიტეტის რექტორი პროფ. ივ. ჯავახიშვილი. შეიქმნა საბჭოს სამი სექცია: სამეცნიერო-პოლიტიკური, სამეცნიერო-პედაგოგიური და სამეცნიერო-ტექნიკური, რომლებიც აერთიანებდა 21 წევრს. სამეცნიერო-ტექნიკურ სექციას პროფ. ა. ბენაშვილი ხელმძღვანელობდა.

საბჭომ უდიდესი მუშაობა გასწავლია ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის, უმაღლესი და საშუალო სკოლების სახელმძღვანელოების მომზადების, პედაგოგიკის ახალი და სრულყოფილი მეთოდებისა და ხერხების შემუშავების საქმეში.



კასპიისპირეთში რუსეთის ჯარების განმართავისუფლებელი ლაშქრობა და მისი მნიშვნელობა

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში XVIII საუკუნის 20-იანი წლები მნიშვნელოვანია იმით, რომ ამ პერიოდში საქართველომ გადაჭრით სცადა რუსეთთან კავშირის დამყარებით უცხო დამპყრობლებისგან განთავისუფლება და რუსეთის მფარველობაში შესვლით შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების უზრუნველყოფა.

1722 წელს კასპიისპირეთში პეტრე I-ის ლაშქრობის დროს რუსეთი და საქართველო შეეცადნენ, ერთად გამოსულიყვნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. 1720 წლის საქართველოსა (ქართლის) და რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური შეთანხმება მჭიდროდა დაკავშირებული კასპიისპირეთში რუსეთის ჯარების 1722-1723 წლების ლაშქრობის მომზადებასა და ჩატარებასთან. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი პაიჭაძე მიიჩნევდა, რომ, მიუხედავად ამ საკითხის ესოდენ დიდი მნიშვნელობისა, ისტორიოგრაფიაში იგი ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ გაშუქებული-გადაწყვეტილი. კასპიისპირეთში რუსეთის ჯარების ლაშქრობამ თავადაზნაურულ და ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში ასახვა მხოლოდ ცალკეულ ჟურნალებსა და გაზეთებში გამოქვეყნებულ სტატიებში, აგრეთვე, სხვა საკითხებზე დაწერილ შრომებსა და რუსეთის ისტორიის ზოგად კურსებში. ყველა ეს შრომა კი აღწერილობითი ხასიათისაა, რადგან თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულმა ისტორიკოსებმა მცდარი მეთოდოლოგიის გამო ვერ შეძლეს კასპიისპირეთში რუსეთის ჯარების ლაშქრობის მიზეზებისა და მიზნების მეცნიერული ახსნა.

ეს პუბლიკაცია მომზადებულია გიორგი პაიჭაძის 1960 წელს გამოცემული წიგნიდან „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისთვის“.

მეცნიერის აზრით, 1722-1723 წლებში კასპიისპირეთში რუსეთის ჯარების ლაშქრობას განმართავისუფლებელი ხასიათი ჰქონდა, რადგან რუსეთთან ამიერკავკასიის შეერთებით ადგილობრივ ხალხებს საშუალება ეძლეოდათ, თავიდან აეცილებინათ თურქეთისა და ირანის აგრესია.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ლაშქრობა წარმოადგენდა რუსეთის გაბატონებული კლასების ინტერესებით განპირობებული ცარიზმის დაპყრობითი პოლიტიკის გამოხატულებას, საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს მხოლოდ რუსეთთან შეერთებით შეეძლოთ უზრუნველყოთ თავიან-

თი შემდგომი პროგრესი, სანარმოო ძალების შემდგომი განვითარება. სწორედ ამიტომ **რუსეთის ჯარების ლაშქრობა ამიერკავკასიაში უშუალოდ შეესაბამებოდა ადგილობრივი ხალხების ინტერესებს.**

კასპიისპირეთში თურქეთის გაბატონება საფრთხეს უქმნიდა რუსეთს:

- ა) აღმოსავლეთში ვაჭრობის ჩაშლით;
- ბ) კავკასიაში პოლიტიკური და სტრატეგიული პოზიციების დასუსტებით;
- გ) სამხრეთ-აღმოსავლეთის სუსტად დაცულ საზღვრებზე თავდასხმით.



პეტრე I

ამიტომ კასპიისპირეთში თურქეთის გაბატონებისათვის ხელის შეშლა რუსეთისათვის დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხი იყო. ამ საკითხის გადაჭრა კი შეიძლებოდა მხოლოდ რუსეთის ჯარების მიერ აღნიშნული ტერიტორიის დაკავებით, მისი რუსეთის სრულ მფლობელობაში გადასვლით. ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად რიგი ხელსაყრელი პირობები არსებობდა.

ჯერ ერთი, ირანში შექმნილი მდგომარეობის გამო პეტრე I-ს შეეძლო შეეერთებინა კასპიისპირა პროვინციები ისე, რომ ირანთან მშვიდობა არ დაერღვია.

მეორე, საქართველოსა და სომხეთის სახით რუსეთს საიმედო მოკავშირეები ჰყავდა.

და ბოლოს, 1721 წელს ჩრდილოეთის ომი გამარჯვებით დამთავრდა. ნიშტადტის ზავი პეტრე I-ს ხელფებს უხსნიდა და კასპიის-



პირეთში საომარი მოქმედების დაწყების შესაძლებლობას იძლეოდა.

ყოველივე ამასთან ერთად, რუსეთს საომარი მოქმედების დასაწყებად დამაჯერებელი საბაბი ჰქონდა — 1721 წლის 7 აგვისტოს შამახიაში რუსი ვაჭრების გაძარცვა.

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ რუსეთის ეკონომიური და სამხედრო-პოლიტიკური ინტერესების ერთობლიობამ აიძულა პეტრე I, 1722 წელს გადაედგა გადამწყვეტი ნაბიჯი კასპიის ზღვის დასავლეთი და სამხრეთი საზღვრების შესაერთებლად.

პეტრე I-ის პოლიტიკა აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ, კერძოდ, ირანისა და ამიერკავკასიის მიმართ, არ იყო რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ახალი რამ.

ჯერ კიდევ ივანე IV დიდ ყურადღებას აქცევდა აღმოსავლეთთან ვაჭრობის განვითარებას. მას სურდა, რუსეთი გამხდარიყო შუამავალი აზრეშუმით ვაჭრობის საქმეში აღმოსავლეთ ქვეყნებსა (ამიერკავკასია, ირანი და ინდოეთი) და ევროპას შორის. XVI საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში ივანე IV-მ ყაზანისა და ასტრახანის სახანოების დაპყრობის შედეგად ხელში ჩაიგდო ირანთან ვაჭრობის მთავარი არტერი. სწორედ ამ დროიდან მოსკოვის სახელმწიფოს პოლიტიკის დღის წესრიგში დადგა კავკასიის საკითხიც. ამიერიდან (უმთავრესად კი XVII საუკუნეში) რუსეთის სახელმწიფო იწყებს ამიერკავკასიაში ეკონომიურ და პოლიტიკურ დაზვერვას. მეფე ალექსი მიხეილის ძემაც მიიღო ზომები რუსეთ-ირანის ვაჭრობის გასაფართოებლად. იგი ცდილობდა, რომ რუსეთი გამხდარიყო შუამავალი ირანსა და ევროპას შორის ვაჭრობაში.

ამრიგად, აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ პეტრე I-ის პოლიტიკა რუსეთის XVI-XVII საუკუნეების საგარეო პოლიტიკის ბუნებრივი გაგრძელება იყო.

ლაშქრობისათვის სამზადისი და რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური უთანხმოება

სახელდობრ, როდის დაებადა პეტრე I-ს კასპიის ზღვის დასავლეთ საზღვრებზე ლაშქრობის იდეა, ამის თქმა ძნელია.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ XVII საუკუნის დასასრულს იგი გარკვეულ ინტერესს იჩენდა საქართველოს საქმეებისადმი და თავისი პროტექტორატის ქვეშ აიყვანა იმერეთის მეფე არჩილი. ეს უკანასკნელი თურქი და ირანელი დამპყრობლების დევნას გაურბოდა და მთელი ჯალაბობით დასახლდა რუსეთში, რის შედეგადაც მოსკოვში შეიქმნა ქართული კოლონია, რომელმაც შემდგომში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

1701 წელს მოსკოვში ჩამოვიდა სომხეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწე — ისრაელ ორი, რომელიც გაეცნო, აგრეთვე, იქ მყოფ არჩილს. მან პეტრე I-ს გადასცა ანგეხაკოტში სომეხთა ფარული თათბირის მონაწილეთა დაპირება და ირანთან ბრძოლისთვის დახმარების თხოვნა. რუსეთის მთავრობამ დააფასა ისრაელ ორის ინიციატივა და გამართა მოლაპარაკება სომეხ სამღვდელთაგანთან, დაჰპირდა, შვედეთთან ომის დამთავრების შემდეგ სამხედრო დახმარება გაენია მათთვის.

ყოველ შემთხვევაში, 1710 წლისთვის რუსეთში უკვე საბოლოოდ მომწიფდა კასპიისპირეთზე ლაშქრობის იდეა. რუსეთში დანიის რეზიდენტი გეორგ გრუნდი თავის მთავრობას 1710 წელს სწერდა, რომ პეტრე I აშკარად აცხადებს მზადყოფნას, შვედეთთან ომის დამთავრების შემდეგ დაიწყოს ბრძოლა ირანთან, რაც, გრუნდის აზრით, ადვილი შესაძლებელი იყო, თუკი რუსეთის მე-

ფე შეუმჩნევლად მოუყრიდა ჯარს თავს ასტრახანში და აქედან უეცრად დაიწყებდა მოქმედებას, რათა ირანს კონტროლისძიების მიღების საშუალება არ მისცემოდა; თუმცა, გრუნდის თქმით, ეს მაინც და მაინც არ ანუხებდა პეტრეს, ვინაიდან მას შეეძლო კასპიისპირა პროვინციების დაკავება იმაზე ადრე, ვიდრე ცნობა ამის შესახებ ევროპამდე მიაღწევდა.

რუსეთ-საქართველოს კავშირი და თურქეთი

პეტრე I ლაშქრობის მომზადებისას, რა თქმა უნდა, ითვალისწინებდა იმას, რომ ამიერკავკასიაში რუსეთის არმიის მოქმედება გაამწვავებდა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობას. ამიტომ მას აუცილებლობად მიაჩნდა, წინასწარ მიეღწია თურქეთთან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნების გარანტიისათვის. „სამარადისო მშვიდობის“ შეთანხმება, რომელიც კონსტანტინოპოლში 1720 წელს რუსეთის ელჩმა ა. დაშკოვმა დადო, ამ ამოცანას ემსახურებოდა, რამდენადაც მისი რატიფიკაციით თურქეთმა იკისრა მორალური პასუხისმგებლობა რუსეთთან მშვიდობიანი ურთიერთობის დარღვევის შემთხვევაში.

ხოლო ხელშეკრულების პირობები, რომელიც კონსტანტინოპოლში რუსეთის რეზიდენტის დანიშვნას ითვალისწინებდა, ყველაზე უფრო კარგად ემსახურებოდა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის რეგულირების საქმეს ამ ურთიერთობის გამწვავების შემთხვევაში. ამ ნაბიჯის სისწორე ცხოვრებამ დაადასტურა. 1720 წელს რუსეთ-თურქეთს შორის ხელშეკრულების დადება იყო რუსეთის გარკვეული წარმატება კასპიისპირეთში ლაშქრობის დიპლომატიური მომზადების თვალსაზრისით.

1721 წლის 22 იანვარს კონსტანტინოპოლში რუსეთის რეზიდენტად დაინიშნა ფლოტის ოფიცერი ი. ი. ნეპლუევი, რომელსაც ევა-



ლებოდა, თვალყური ედევნებინა თურქეთის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისთვის.

1721 წლის სექტემბერში ნეპლუევი ჩავიდა თურქეთის დედაქალაქში და შეხვდა ა. დაშკოვს, რომელმაც, საგარეო საქმეთა კოლეგიის მითითებათა თანახმად, გადასცა მას საჭირო მასალები და დაწვრილებითი ინფორმაცია არსებული ვითარების შესახებ, აგრეთვე, მისცა რჩევა-დარიგება.

1721 წლის 15 ნოემბერს ა. დაშკოვი თურქი ფაშის — მუსტაფა-ალას თანხლებით, რომელსაც ევალეზოდა რუსეთის ელჩის გაცილება პეტერბურგამდე, გაემგზავრა რუსეთში.

პეტრე I-მა, როცა მიიღო ცნობები შამახიაში 1721 წლის 7 აგვისტოს მომხდარი ამბების შესახებ და გადაწყვიტა საომარი მოქმედების დაწყება, საჭიროდ ჩათვალა ოფიციალურად ეუწყებინა ამის შესახებ თურქეთისთვის, რადგანაც სულთანს შეეძლო პეტრესათვის დაებრალებინა რუსეთ-თურქეთის შეთანხმების დარღვევა და შესდგომოდა რუსეთის წინააღმდეგ ამკარა მოქმედებას.

მაგრამ ამავე დროს არ შეიძლებოდა თურქეთისთვის ერთობ ადრე ეცნობებინათ რუსეთის ჯარის ლაშქრობის შესახებ, ვინაიდან ამას შეეძლო კასპიისპირეთში თურქეთის შემოჭრის დაჩქარება, მით უმეტეს, რომ ამისათვის იგი უკვე ემზადებოდა, რადგან დაუდბეგისა და სურხაის სახით სამედო აგენტები ჰყავდა. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო თურქეთს შეეძლო დაესწრო კასპიისპირეთში რუსეთის ჯარის ჩამოსვლისათვის, თვითონ

შეჭრილიყო იქ და რუსეთთან „მეგობრობის“ საბაზით „პირობა დაედო“, რომ დასჯიდა შამახიაში რუსი ვაჭრების მძარცველებს.

მაგრამ თვით თურქეთშიც არ იყო სრული ერთსულოვნება ამ საკითხზე, რომელიც საგრძობლად აფერხებდა თურქეთის აგრესიის დაწყებას.

როგორც აღნიშნავს ბასევიჩი, რომელიც მაშინ რუსეთის სამეფო კარზე იყო ჰოლშტინიის წარმომადგენლად, თურქეთში ირანის საკითხზე ორი დაჯგუფება ებრძოდა ერთმანეთს: ერთ მათგანს შეადგენდნენ მუფტიები და იანიჩარები, რომელნიც მოითხოვდნენ ირანის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყებას. მეორე დაჯგუფებას მეთაურობდა ვეზირი, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა, რომ ემოქმედათ ფარულად და დაეცადად ხელსაყრელი მომენტისთვის.

ამიტომაც პეტრე I-მა, თურქეთთან ურთიერთობის გამწვავების თავიდან აცილების მიზნით, გადაწყვიტა, წინასწარ შეემზადებინა თურქეთში ნიადაგი კასპიისპირეთში რუსეთის ჯარების მიერ საომარი მოქმედების დაწყების ოფიციალურად გამოცხადებისათვის. ამ მიზნით რუსეთის რეზიდენტს პირადად ევალეზოდა, თურქეთის მთავრობისათვის ეცნობებინა 1721 წლის 7 აგვისტოს შამახიაში მომხდარი ამბების შესახებ.

1721 წლის 20 ნოემბერს ნეპლუევისადმი მიცემულ რესკრიპტში ნათქვამი იყო, რომ ნეპლუევის, თუკი ჰკითხავდნენ, უნდა ეთქვა, რომ შურისძიების თაობაზე მისთვის არაფერი იყო ცნობილი. ამასთან ერთად, ნეპლუევის ევა-

ლებოდა, თურქეთისათვის მოეთხოვა, რომ მას მფარველობა არ გაენია ლეკებისათვის, რასაც მან მიაღწია კიდევ 1722 წლის 21 აპრილს ვეზირთან აუდიენციის დროს. თურქებმა, რუსეთისა და ირანის უკმაყოფილების გამონვევის შიშით, საამისო პირობა მისცეს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ლეკთა მთავრებს მფარველობას კვლავაც უწევდნენ.

პეტრე I-მა მხოლოდ 1722 წლის 13 მაისს, მოსკოვიდან ასტრახანს გამგზავრების წინ, მიიჩნია შესაძლებლად, თურქეთისთვის ოფიციალურად ეცნობებინა კასპიისპირეთში ლაშქრობის დაწყება.


ანალოგიური ოფიციალური განცხადება გააკეთა ი. ნეპლუევი-მა თურქეთის სულთნის კარზე 1722 წლის ივლისში.

ამრიგად, დრო მოგებულ იქნა და თურქეთს უკვე აღარ შეეძლო დაესწრო კასპიისპირეთში რუსეთის ჯარისთვის შესვლა.

თურქები ვერაფრით შერიგებოდნენ თავიანთ მარცხს, ხოლო კასპიისპირეთში რუსეთის ჯარის წარმატებებმა ისინი უფრო გაახელა. თურქეთმა გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ დაეწყო აქტიური მოქმედება და ყოველმხრივ შეშალა ხელი ამიერკავკასიაში რუსეთის დამკვიდრებისთვის.

რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის გამწვავებაში გარკვეული როლი შეასრულეს დასავლეთ ევროპის ქვეყნების მმართველმა წრეებმა, რომელნიც განგებ აქეზებდნენ თურქეთს რუსეთის წინააღმდეგ.

ინგლისის, ვენეციისა და ავსტრიის ელჩები ყოველწლიურად ცდილობდნენ, თურქეთის მთავრობა დაემინებინათ იმით, რომ საქართველოსა და სომხეთში ფეხის მოკიდების შემდეგ პეტრე თავს დაესხმოდა თურქეთს. ამ საკითხზე ნეპლუევი 1722 წლის 25 აპრილის საიდუმლო რელაციასში წერდა. ევროპის გაზეთებმა დიდი აურზაური ატეხეს და განგებ გააზვიადეს ცნობები სალამქროდ გამზადებული რუსეთის ჯარის რაოდენობის შესახებ. ი. ნეპლუევი 1722 წლის 18 ივნისს რელაციით






იტყობინებოდა, რომ 7 ივნისს კონსტანტინოპოლში ვენიდან მიღებულ იქნა 16 მაისის გაზეთები, რომლებშიც ნათქვამი იყო, რომ პეტრე I ასტრახანში პირადად იმყოფება და თითქოს აქედან განზრახული აქვს, გააგზავნოს კასპისპირეთში 105-ათასიანი ჯარი.

ამასთან ერთად, ინგლისის ელჩი კონსტანტინოპოლში ცდილობდა, შთაეგონებინა მთავარი ვეზირისთვის, რომ რუსეთს სურს, ომი გამოუცხადოს დანიას, რისთვისაც კავშირს გააბამს ვენის სამეფო კართან, რაც საშიშია ინგლისისა და თურქეთისთვისო.

ყოველივე აღნიშნულის გამო პეტრე I-მა გადაწყვიტა, ნებლუევისათვის სპეციალური მითითება მიეცა, რათა მას გამოეაშკარავებინა ცრუ ხმები და ამით უვნებელიყო ევროპელი დიპლომატების ცდები, მიმართული რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობის გაუარესებისაკენ.

რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის გამწვავებას განსაკუთრებით ცდილობდა ინგლისი. რუსეთის საელმწიფოს გაძლიერება, მისი გასვლა ბალტიის ზღვაზე და მძლავრ სამხედრო-საზღვაო სახელმწიფოდ გადაქცევა, მისი ეკონომიკის აღმავლობა და რუსეთის გავლენის ზრდა მეზობელ ქვეყნებში ინგლისის მმართველ წრეებში შეშფოთებას იწვევდა. ჯერ კიდევ ჩრდილოეთის ომის წლებში ინგლისის დიპლომატია რუსეთთან საბრძოლველად იყენებდა შანტაჟს, ცილისწამებას, მიმართავდა რუსეთის საწინააღმდეგო კოალიციის შექმნის ცდებს.

ამირკაპკასიანაში რუსეთის წარმატებანი და მისი დამკვიდრება კასპიის ზღვის სანაპიროებზე აშინებდა ინგლისის მთავრობას, რადგანაც ამას უნდა მოჰყოლოდა რუსეთის საგარეო ვაჭრობის გაძლიერება. ინგლისი კი იმისკენ მიიწინააღმდეგებდა, რომ მთელი ვაჭრობის მონოპოლია მის ხელთ ყოფილიყო და რუსეთის საგარეო ვაჭრობა მთლიანად ინგლისზე ყოფილიყო დამოკიდებული.



თურქეთის მთავრობას განსაკუთრებით აშინებდა ის, რომ ქართლი რუსეთის მფარველობის ქვეშ არ შესულიყო და არ გაერთიანებულიყო რუსეთ-საქართველოს ჯარები, რადგანაც ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ თურქეთი საბოლოოდ დაქარბავდა ამირკაპკასიანს.

მაგრამ რუსეთის დიპლომატიამ, რომელიც თავისი ქვეყნის ინტერესებს იცავდა, ამ ბრძოლაში უფრო მეტი ოსტატობა გამოიჩინა, ვიდრე მისმა ცბიერმა მოწინააღმდეგემ.

რუსეთის დიპლომატები ევროპაში შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობით მოხერხებულად სარგებლობდნენ და ინგლისის დიპლომატიასთან ბრძოლაში იყენებდნენ ინგლისსა და სხვა ევროპულ სახელმწიფოებს — საფრანგეთს, ჰოლანდიასა და ესპანეთს შორის არსებულ წინააღმდეგობას.

რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა, თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინა საფრანგეთი და მისი გავლენა თურქეთში. საფრანგეთი, რომელიც მტრულ დამოუკიდებულებაში იყო ავსტრიასთან, ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდა რუსეთ-ავსტრიის დაახლოებას და ამის შედეგად ავსტრიის გაძლიერებას; თავის მხრივ ეძებდა კავშირს რუსეთთან და დაინტერესებული იყო რუსეთსა და თურქეთს შორის მშვიდობიანობის განმტკიცებით.

ამის გამო რუსეთის რეზიდენტმა კონსტანტინოპოლში — ნებლუევმა სცადა, ესარგებლა საფრანგეთის ელჩის — დე-ბონაკის შუამდგომლობით. ბასევიჩი „ჩანაწერებში“ აღნიშნავს: „საფრანგეთს სურდა, არ დაეშვა განხეთქილება რუსეთსა და თურქეთს შორის, ვინაიდან ვენაში დაჟინებით ლაპარაკობდნენ რუსეთთან კავშირის დადებაზე ქრისტიანობის საერთო მტრის წინააღმდეგ.

თურქეთის სისუსტის გამო ავსტრიას ადვილად შეეძლო თურქეთის ხარჯზე გაეფართოვებინა თავისი სამფლობელოები, რითაც ევროპის საქმეებში ავსტრიის სახელმწიფოს პოლიტიკური წონა გაიზრდებოდა. დე-ბონაკმა დაინყო მოლაპარაკება“.

თურქეთის მთავრობას განსაკუთრებით აშინებდა ის, რომ ქართლი რუსეთის მფარველობის ქვეშ არ შესულიყო და არ გაერთიანებულიყო რუსეთ-საქართველოს ჯარები, რადგანაც ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ თურქეთი საბოლოოდ დაქარბავდა ამირკაპკასიანს.

თურქეთი ითვალისწინებდა ქართლის სტრატეგიულ და პოლიტიკურ მნიშვნელობას და არაერთხელ ცდილა, იქ გამაგრებულიყო. ამიტომაც იგი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ დაეყოლიებინა ვახტანგ VI, მიეღო თურქეთის პროტექტორატი, მაგრამ ქართლის მეფე ყოველთვის უარყოფდა თურქეთის წინადადებას.

თურქეთი შემთხვევით როდი იყო დაინტერესებული მოსკოვში არჩილის ქალიშვილის — დარეჯანის საქმიანობით, რომელმაც გარკვეული როლი შეასრულა პეტრე I-ისა და ვახტანგ VI-ის მოლაპარაკებაში.

დასავლეთ ევროპის დიპლომატიებმა იცოდნენ, რომ რუსეთისა და საქართველოს დაახლოება თურქეთს შიშს ჰპვრიდა და ყოველნაირად ცდილობდნენ, მიეღნათ რუსეთ-თურქეთის ომისათვის, ისინი განებუ მიამტკიცდ-



**წინ თურქეთის ყურადღებას
ამ საკითხისადმი. ამის შესახებ
რუსეთის მთავრობას
არაერთხელ მოახსენებდა
ნეპლუევი.**

თურქეთისთვის რუსეთ-საქართველოს კავშირის საშიშროების შესახებ არაერთხელ განუცხადეს სულთანს ყირიმის ხანმა და აზოვის ფაშამ.

რუსეთის რეზიდენტმა, რომლისთვისაც ცნობილი იყო ქართლის საკითხთან დაკავშირებით თურქეთის მთავრობის პოზიცია, გადაწყვიტა, შეეტყობინებინა პეტრე I-ისთვის ამ საკითხზე საკუთარი შეხედულება: პეტრე I, უკეთუ მას გადაწყვეტილი ჰქონდა, რადაც უნდა დაჯდომოდა, მიეღო ქართლი მფარველობის ქვეშ, უნდა ჩასულიყო იქ ჯარით 1722 წლის სამხედრო კამპანიის დასასრულისთვის. ნეპლუევი, წერდა რა ამას, ითვალისწინებდა, რომ გვიან შემოდგომაზე და ზამთარში თურქები ვერ გაბედავდნენ საომარი მოქმედების დაწყებას, ხოლო გაზაფხულისთვის პეტრე I-ს შეეძლო დრო მოეგო და მოენესრიგებინა თურქეთთან ურთიერთობა ან, უკიდურეს შემთხვევაში, კარგად მომზადებულიყო ომისთვის.

დამახასიათებელია ის გარემოება, რომ უმაღლესმა ვეზირმა, რომელსაც ეწინოდა, რუსეთის ჯარს არ დაესწრო თურქეთისათვის ქართლში შესვლა, გადაწყვიტა, წინასწარ ოფიციალურად განეცხადებინა რუსეთის რეზიდენტისათვის, რომ თურქეთს გადაწყვეტილი ჰქონდა, გაეგზავნა ჯარები აღმოსავლეთ საქართველოში.

1722 წლის ოქტომბერში ვეზირის დავალებით თურქმა მთარგმნელმა ნეპლუევს წერილი მისწერა, რომელშიც საუბარი იყო თურქეთის „მშვიდობიან“ სურვილებზე, რუსეთთან და ირანთან „მეგობრობაზე“ და დაფარული იყო საქართველოს მიმართ მტაცებლური მისწრაფებები. სინამდვილეში კი თურქეთი გამალებით ემზადებოდა ომისათვის. მით უფრო, რომ ამ დროისათვის დივანში გაიმარჯვა უაღრესად აგრესიულმა დაჯგუფებამ, რომელიც დაუყოვნებლივი საომარი მოქმედების მომხრე იყო.

მაგრამ თურქეთს 1723 წლის გაზაფხულამდე მართლაც არ შეეძლო საომარი მოქმედების დაწყება, რადგანაც ეს არც თუ ისე ადვილი იყო.

ვეზირმა, რომელმაც გასცა ბრძანება აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის შესახებ, ეს საქმე მთლიანად მიანდო არზრუმის ფაშას, ეს უკანასკნელი კი აცხადებდა, რომ ვერ მოახერხებდა საქართველოში ლაშქრობას 1723 წლის გაზაფხულამდე და ცდილობდა, მიზნისათვის უფრო დიპლომატიური გზით მიეღწია, ვიდრე სამხედრო მოქმედებით, ე. ი. ცდილობდა, გავლენა მოეხდინა ვახტანგ VI-ზე და აეძულებინა, მიეღო თურქეთის პროტექტორატი.


თურქეთმა სერიოზული მზადება რუსეთის წინააღმდეგ ყირიმშიაც დაიწყო. თურქეთის მთავრობამ პეტერბურგში პირადად პეტრესთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა **მეჰმედ-ალა**, რომელსაც, აგრეთვე, დავალებული ჰქონდა რუსეთში დაზვერვა და

ყირიმის ხანთან მოლაპარაკება რუსეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყების თაობაზე. თურქეთის ყველა პროვინციაში გაგზავნილ იქნა ბრძანებულებები საომარი მოქმედებისათვის მზადების შესახებ, ხოლო აზოვსა და არზრუმში განუწყვეტილ იგზავნებოდა სამხედრო საჭურველი. ამავე დროს, როგორც ნეპლუევი იტყობინებოდა, თურქეთი აწარმოებდა მოლაპარაკებას **ხივასთან** რუსეთის წინააღმდეგ კავშირის დასამყარებლად. რუსეთის სამხრეთ პროვინციებში გახშირდა თათართა შემოსევები, ფართო ხასიათი მიიღო რუსეთში თურქეთის ჯაშუშების შემოგზავნამ.

ყოველივე ამას რუსეთის მთავრობამ კონტროლმებით უპასუხა. 1722 წლის 5 ნოემბერს სამხედრო კოლეგიამ გამოიტანა სპეციალური დადგენილება საზღვრებზე უსაფრთხოების ზომების მიღების თაობაზე ყირიმელი და ყუბანელი თათრების, ზაპოროჟიელი კაზაკების მიერ საზღვრის უნებართვოდ გადმოკვეთის შემთხვევაში. უკრაინასა და დონზე ცარიცინამდე დაწყებულ იქნა სასიგნალო პირამიდების ხაზის შენება მტრის შემოსევის შესახებ სწრაფი სიგნალიზაციისთვის. ხოლო რუსეთის რეზიდენტი კონსტანტინოპოლში, თანახმად მიღებული მითითებებისა, ყოველ ღონეს ხმარობდა, ხელი შეეშალა თურქეთისათვის აღმოსავლეთი ამიერკავკასიის დაპყრობის საქმეში.

ნეპლუევმა პირადად მიიღო სიფრთხილის წინასწარი ზომები თურქეთთან ომის შემთხვევისთვის. იგი მოელაპარაკა ჰოლანდიის ელჩს კონსტანტინოპოლში, რათა მისი მეშვეობით ეწარმოებინა მიმონერა თავის მთავრობასთან და გადასცა შესანახად ძვირფასი ნივთები და დაშიფრული საიდუმლო დოკუმენტები, რომელთა აღწერილობა გააგზავნა პეტერბურგში. საკუთარი მიმონერის ნაწილი დანვა.

რუსეთის მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა, თურქეთთან სამხედრო შეჯახება თავიდან






აეცილებინა და მშვიდობიანი ურთიერთობა შეენარჩუნებინა.

1722 წლის 10 ნოემბერს პეტერბურგში, საგარეო საქმეთა კოლეგიაში სპეციალურად იქნა მოწვეული „საიდუმლო თათბირი“, რომელშიც, კოლეგიის წევრთა გარდა, მონაწილეობდა ა. მენშიკოვი, ი. ბრიუსი და გ. დოლგორუკი. თათბირმა განიხილა ნებლევის 3, 7 და 13 ოქტომბრის რელაციები და მიიღო გადაწყვეტილება, გაეგზავნათ რეზიდენტისათვის სპეციალური რესკრიპტი. ნებლევის ებრძანა, დაუყოვნებლივ გაემეორებინა განცხადება რუსეთის ჯარების კასპისპირეთში ლაშქრობის მიზეზების შესახებ, როგორც ეს თავის დროზე მუსტაფა-ალას განუცხადეს და რაც თვით ნებლევემა უშუალოდ თურქეთის მთავრობას შეატყობინა.

რუსეთის მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა, დიპლომატიური გზით მიეღწია იმისათვის, რომ თურქეთის ჯარი არ შეემოსულიყო ქართლში და ამიტომაც უმაღლესად თურქეთს ვახტანგ-თან კავშირს, ხოლო განჯაში ქართლის მეფის წასვლას მხოლოდ შაჰის დავალების შესრულებით ხსნიდა.

მაგრამ ამავე დროს ნებლევის ევალეზობდა, მტკიცედ განეცხადებინა თურქეთისთვის, რომ ყირიმის ხანისა და რუსეთის მოსაზღვრე თურქეთის ქვეშევრდომი სახანოების მიერ ომისათვის მზადების გამო რუსეთის მთავრობამ მიიღო საჭირო ზომები საკუთარი საზღვრების დასაცავად. უკეთუ თურქეთი, ყველაფრის მიუხედავად, მაინც დაინწყებდა საომარ მოქმედებას, რუსეთის რეზიდენტი ვალდებული იყო წერილობით განეცხადებინა პროტესტი და მიეთითებინა, რომ თურქეთი უმიზეზოდ არღვევდა „სამარადისო მშვიდობას“.

ამრიგად, რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა კასპისპირეთში რუსეთის ჯარის ლაშქრობის გამო მეტად გამწვავდა და მოსალოდნელი შეიქნა სამხედრო შე-



თურქებს იმაღლი ჰქონდათ, რომ აიძულაზენა კებტრას, დაებოვებინა ამიერკავკასია. მაგრამ კებტრას დაზინება ქნელი იყო, მით უებტას რომ იგი კასპიის სანაპიროს დაუფლებას თვლიდა ბალტიის ზღვის სანაპიროს შეებტეების აუხილებელ დამებტეხად.

ჯახება. მაგრამ რუსეთის რეზიდენტმა, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობდა მშვიდობის დასაცავად, შეძლო დაბაბული მდგომარეობის შენელება.

1722 წლის 20 დეკემბერს ნებლევემა ოფიციალურად აცნობა თურქეთს ასტრახანში პეტრე I-ის დაბრუნება. ამან გარკვეული გავლენა მოახდინა თურქეთის მთავრობაზე. ვეზირმა განაცხადა, რომ პეტრეს ამ დაბრუნებით თურქეთში ყოველგვარი ეჭვები გაიფანტა და რომ იგი (თურქეთი) ცდილობს, რუსეთთან არსებული მეგობრობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას. „თურქეთის მინისტრები, — წერდა ნებლევი პეტრეს 1722 წლის 25 დეკემბერს, — თქვენი უდიდებულესობის დაბრუნებით კმაყოფილებას გამოთქვამენ“.

ამასთან ერთად, რუსეთის მთავრობამ წარმატებით წამოიწყო მოლაპარაკება პეტერბურგში ჩამოსულ თურქ ელჩთან — მეჰმედ-ალასთან.

ასე ჩანდა, რომ თითქოს ყველაფერი იყო გაკეთებული რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის მოსაგვარებლად და ამ ურთიერთობამ კეთილი მიმართულება მიიღო, მაგრამ სინამდვილეში მოხდა პირუკუ. თურქეთმა გადაწყვიტა, ესარგებლა რუსეთის ჯარის დაბრუნებით და, რაც შეიძლებოდა, ხელსაყრელად მოეწყო თავისი საქმეები ამიერკავკასიაში.

თურქეთის მთავრობამ გადაწყვიტა, ოფიციალურად მიეღო დაუდ-ბეგი მფარველობის ქვეშ. ამ მიზნით მას გაუგზავნეს სულთნის სიგელი, რომლითაც მტკიცდებოდა მისი შესვლა თურქეთის პროტექტორატის ქვეშ. სულთანი დაუდბეგს ხანის ტიტულს ანი-

ჭებდა, ცნობდა მის უფლებებს მთელს დაღესტანსა და შირვანზე, საიდუმლოდ ავალებდა კასპისპირეთიდან რუსეთის გარნიზონების განდევნას.

ამასთან ერთად, როგორც მიუთითებს ნებლევი 1723 წლის 24 იანვრის მოხსენებაში, თურქეთმა ხელმეორედ გაუგზავნა არზრუმის ფაშას ბრძანება, „ყოველგვარი ღონე ეხმარა, რათა ქართლი მოექცია თურქეთის ბატონობის უღელქვეშ“.

1723 წლის 10 თებერვალს ვეზირმა ოფიციალურად აუწყა ნებლევის დაუდ-ბეგის მიერ თურქეთის მფარველობის მიღება და განაცხადა, რომ, უკეთუ პეტრე დაინწყებს კასპისპირეთში ახალ ლაშქრობას, მაშინ დაუდ-ბეგის ჯარები შეუერთდებიან მირ-მაჰმუდის ლაშქარს და ერთობლივად გაილაშქრებენ რუსეთის წინააღმდეგ. ასეთ შემთხვევაში თურქეთი ომს გამოუცხადებს რუსეთს.

ინგლისის მმართველი წრეების პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო რუსეთის წინააღმდეგ, ფრთებს ასხამდა თურქეთის ძალებს, ალაფრთოვანებდა მათ. ინგლისის ელჩმა ჯერ კიდევ 1723 წლის დასაწყისში, როგორც ეს საიდუმლოდ გაიგო ნებლევემა, გადასცა თურქეთს მემორიალი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ პრუსიის სამეფო კარისგან მიღებული ცნობებით პეტრე I-ს განუზრახავს დაღესტანში შეჭრა და შავ ზღვამდე რუსეთის სამფლობელოების გაფართოება. ინგლისის ელჩი მიუთითებდა, რომ თურქეთს არ უნდა ეშიწოდნენ რუსეთთან ომისა, რადგანაც ევროპის ყველა ძვეყანა მტრულადაა განწყობი-



ლი მასთან და ამის გამო პეტრეს არ შეუძლია წარმატებას მიღწიოს ომში.

ამის შემდეგ თურქეთის მთავრობამ აშკარად მოითხოვა კასპისპირეთიდან რუსეთის ჯარის გაყვანა, წინააღმდეგ შემთხვევაში ომით იმუქრებოდა. თურქებს იმედი ჰქონდათ, რომ აიძულებდნენ პეტრეს, დაეტოვებინა ამიერკავკასია. მაგრამ პეტრეს დაშინება ძნელი იყო, მით უმეტეს რომ იგი კასპიის სანაპიროს დაუფლებას თვლიდა ბალტიის ზღვის სანაპიროს შეერთების აუცილებელ დამატებად.

1723 წლის აპრილში პეტრემ მართლაც დაიწყო საჭირო სამზადისი თურქეთთან ომისათვის: უკრაინაში მთავარსარდლად დანიშნა მ.მ. გოლიცინი და მისცა სპეციალური ინსტრუქცია ომისათვის მოსამზადებლად თურქეთთან მშვიდობიანობის დარღვევის შემთხვევაში, ხოლო კასპისპირა პროვინციებში დამატებით გაგზავნა ჯარები.

მაგრამ, ამასთან ერთად, პეტრე კვლავაც ცდილობდა, თავიდან აეცილებინა თურქეთთან ომი და სურვილს გამოთქვამდა, მიეღწია მასთან შეთანხმებისათვის. ამ მიზნით იგი რიგ დათმობებზე მიდიოდა. იგი თანახმა იყო, უარი ეთქვა ლეკების მიმართ პრეტენზიებზე და ეცნო მათზე თურქეთის პროტექტორატი, ამასთან ერთად, არ გაეგზავნა ჯარები საქართველოში იმ პირობით, რომ თურქეთს:

- 1) ეცნო კასპიისპირეთში რუსეთისადმი შეერთება,
- 2) არ გაეგზავნა ჯარები ირანში, დაღესტანსა და საქართველოში,
- 3) საქართოდ უარი ეთქვა

რამაც პრეტენზიებზე აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ,

4) აპკრალა ლეკებისათვის თავდასხმა იმ ტერიტორიაზე, რომელიც რუსეთის ჯარებს ეჭირათ.

მაგრამ, სანამ ნეპლუევი კონსტანტინოპოლში პეტრე I-ის ამ მითითებებს მიიღებდა, თურქეთის მთავრობამ, ისარგებლა რა აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილი ვითარებით, გადაწყვიტა, ხელში ჩაეგდო ქართლი. ამავე დროს, თურქეთმა რამდენადმე შეარბილა ურთიერთობა რუსეთის რეზიდენტთან. ამით თურქეთის მთავრობა იმედოვნებდა, მოედუნებინა რუსეთის სიფხიზლე და აეცილებინა თავიდან რუსეთის ლაშქრის შემოჭრა ამიერკავკასიაში. სწორედ ამის შესახებ წერდა ი. ნეპლუევი 1723 წ. 22 თებერვალს საიდუმლო რელაციაში.

ნეპლუევი, პირველ რიგში, ცდილობდა, თავიდან აეცილებინა ამიერკავკასიაში თურქეთის შეჭრა, ამიტომ მას სურდა, ირანისა და ამიერკავკასიის საკითხის საბოლოო გადაჭრის თაობაზე რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკების დაწყებამდე, წინასწარ მიეღო თურქეთისაგან დაპირება, რომ თურქეთი აღმოსავლეთ ამიერკავკასიას თავს არ დაესხმოდა. ამასთან ერთად, იგი პირობას იძლეოდა, რომ ამ შემთხვევაში რუსეთი თავს შეიკავებდა საქართველოში ჯარის გაგზავნისგან. მაგრამ თურქეთი აშკარად გაურბოდა ამ პირობების მიღებას; იგი, პირველ რიგში, ქართლის ხელში ჩაგდებას ესწრაფვოდა, რადგან ამით მიაღწევდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გამაგრებას და რუსეთს აიძულებდა, ეცნო თურ-

ქეთის უფლებები მიტაცებულ მინა-წყალზე.


ამიტომაც თურქეთის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი არ დაინყებს კონფერენციებს რუსეთის რეზიდენტთან I ივლისამდე და არ მისცემს აუდენციას საფრანგეთის ელჩს დე-ბონაკს, რომელიც რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკების საქმეში შუამავლის როლს ასრულებდა.

ამრიგად, რუსეთისა და თურქეთისათვის ქართლს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის, ამის გამო ქართლის საკითხს რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკებაში ცენტრალური ადგილი ეჭირა კიდევ.

პეტრე I-ს უდავოდ ესმოდა ქართლის ესოდენ დიდი მნიშვნელობა და ამიტომაც გადაწყვიტა, გაეგზავნა იმ ორიანთსიანი რაზმი ა. ბასაკაშვილის მეთაურობით. მას იმედი ჰქონდა, რომ ამით გააძლიერებდა ვახტანგ IV-ის ძალეებს, გაამხნევებდა მას და თავიდან აიცილებდა ქართლში არზრუმის ფაშის შემოსევას, მაგრამ ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთობ დაგვიანებით. ხელსაყრელი გამოგრაფიული მდებარეობის წყალობით, თურქეთმა შეძლო დაეხსნა პეტრესთვის. არზრუმის ფაშამ ისარგებლა საქართველოში გაჩაღებული შინაფოცალური ომებით, შეასია ქართლს და აიღო თბილისი.

როცა თურქეთის მთავრობამ მიზანს მიაღწია, გადაწყვიტა, დაეწყო რუსეთის რეზიდენტთან ოფიციალური მოლაპარაკება („კონფერენციები“) იმ მიზნით, რომ საბოლოოდ გადაჭრილიყო ირანისა და ამიერკავკასიის საკითხი. ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდა საფრანგეთის ელჩი კონსტანტინოპოლში — დე-ბონაკი, რომელიც ნეპლუევის დაჟინებული მოთხოვნით იქნა მონაწილე.

დასასრული შემდეგ ნომერში





საქართველოს რადიოლოგთა კონგრესმა ქვეყნის დღევანდელი სხვა ნაკრძარინა

7-8 მაისს სასტუმრო „ივერიის“ („რადისონის“) საკონფერენციო დარბაზში გაიმართა რადიოლოგთა ასოციაციის IV კონგრესი, რომელიც თავისი მნიშვნელობით, მონვეულ მეცნიერთა დონით, მონაწილე ქვეყნების სიმრავლით, ნაკითხული მოხსენებების თემატური მრავალფეროვნებითა და აქტუალობით გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და წარმოგვიდგა, როგორც საერთაშორისო რანგის ღონისძიება, როგორც მსოფლიოში რადიოლოგიის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი. შეკითხვას, ეთანხმება თუ არა ამ შეფასებას, საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ფრიდონ თოდუამ ასე უპასუხა:

— რა თქმა უნდა, ვეთანხმები. უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ჩვენს კონგრესში მონაწილეობდნენ ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი რობერტ გრუნკრატი, უცხოელი სპეციალისტები 40-ზე მეტი ქვეყნიდან, მათ შორის, ავსტრიიდან, გერმანიიდან, ბელგიიდან, იტალიიდან, არაბეთის გაერთიანებული ემირატებიდან, ირანიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან, ყაზახეთიდან, თურქეთიდან. ამასთანავე, კონგრესი განხორციელდა ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის ეგიდით, რომელიც თავის რიგებში 100-ათასამდე რადიოლოგს აერთიანებს ევროპის ქვეყნებიდან და ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში. სწორედ აღნიშნულმა ორგანიზაციამ მიანიჭა ჩვენს ფორუმს საერთაშორისო სტატუსი.

ისიც სათქმელია, რომ კონგრესში მონაწილეობდნენ მსოფლიოს უდიდესი ფირმები, რომლებიც აწარმოებენ რადიოლოგიისთვის აუცილებელ აპარატურას. მაგალითად, „სიმენსის“ ვიცეპრეზიდენტმა, „ჯენერალ ელექტრიკის“, „ვარიანის“, „აგვას“ წარმომადგენლებმა საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს პლენარულ და სექციების სხდომებზე ახალი ტექნოლოგიების, საინფორმაციო

სისტემების დანერგვის საკითხებსა და სხვა პრობლემებზე.

შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ სწორედ ჩვენს კონგრესზე განხორციელდა სამეცნიერო რადიოლოგიაში მკურნალობის უახლესი საშუალებების დანერგვის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.

ასეთი მასშტაბის ფორუმი საქართველოში პირველად ჩატარდა.

ჩვენ ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის წევრები 1997 წლიდან ვართ. პირველები ვიყავით პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნებიდან. იქიდან იწყება ჩვენი თანამშრომლობა. 100-ზე მეტმა ჩვენმა თანამშრომელმა გაიარა სტაჟირება ამ ასოციაციის ეგიდით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში. ჩვენი სპეციალისტების მოხსენებები მსოფლიოში გამართულ საერთაშორისო კონფერენციებზე, ამ მოხსენებათა აქტუალობა და მნიშვნელობა რადიოლოგიის განვითარების საქმეში, რაც ჩვენი ინსტიტუტის წარმატებული საქმიანობის მაჩვენებელია, წლიდან წლამდე პროგრესი შეუმჩნეველი არ დარჩენილა კვლევებისთვის საერთაშორისო მასშტაბით.

და, მე მგონი, სავსებით ლოგი-

კურია, რომ საერთაშორისო აღიარებას დამსახურებულად მივალნიეთ. ეს კიდევ ერთხელ დამტკიცდა ჩვენს კონგრესზე დელეგატებისა და სტუმრების გამოსვლებით და იმ სამადლობელი წერილებით, რომლებიც კონგრესის მონაწილე უცხოელი მედიკოსებისგან ამ დღეებში მივიღეთ.

პირდაპირ გეტყვით: არავინ ჩამოვიდოდა თბილისში, დარწმუნებული რომ არ ყოფილიყო ჩვენ მიერ ორგანიზებული ფორუმის მაღალ მეცნიერულ ეფექტიანობაში.

დღეს რადიოლოგიის გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე მედიცინა.

ახალი აპარატურა თვითკმარი სიდიდე არ არის, მხოლოდ ინტექტუალურ პოტენციალთან ერთად შეიძლება ახალი ტექნოლოგიების ეფექტიანობაზე ლაპარაკი.

ამასთან ერთად, მედიცინა რადიოლოგიის გარეშე, ავადმყოფობის დიაგნოსტიკა, მკურნალობის ეფექტიანი მეთოდების გამოყენება წარმოუდგენელია. ეს, უპირველეს ყოვლისა, იქმის ონკოლოგიაზე, ნეიროქირურგიაზე, ნევროლოგიაზე და მედიცინის ყველა სხვა დარგზეც. **რადიოლოგია დღეს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და მოთხოვნილი სპეციალობა გახდა. ამას ადასტურებს სპეციალისტების რაოდენობის თვალსაჩინო ზრდა, რეზიდენტურისა და სუბსპეციალობის პროგრამებზე არსებული კონკურსი.** ხაზი უნდა გაუვსვთა მომიჯნავე პროფესიების სპეციალისტების პროგრესულად მზარდ ინტერესს იმ შესაძლებლობებისადმი, რომლებსაც მათ რადიოლოგიის კვლევის მეთოდი სთავაზობს.



სხვათა შორის, სწორედ ამ ინტერესის თვალსაჩინო დადასტურება იყო ჩვენს კონგრესზე დამსწრეთა არნახული რაოდენობა, როცა ორივე დღეს დარბაზებში ტევა არ იყო და ფეხზე მდგარი ხალხი დერეფნებში ისმენდა მოხსენებებს.

რადიოლოგიის ისტორია საქართველოში ერთი კომპიუტერული ტომოგრაფით და 100 კვადრატულ მეტრზე მომავალი ინსტიტუტის შესახლებით დაიწყო. ეს იყო 1991 წელს: სამოქალაქო ომი, უშუქობა, უსახსრობა, შიმშილი, საბჭოთა სისტემის ნანგრევებში მოყოლილი მედიცინა, გაპარტახებული კლინიკები და უხელფასო ექიმები. მას შემდეგ 25 წელიწადი გავიდა და დღეს გვაქვს კლინიკური მედიცინის სამედიცინო-კვლევითი ინსტიტუტი...

კონგრესის მიზანი იყო რადიოლოგიის დარგში დღევანდელ ეტაპზე მიღწეული შედეგების წარმოჩენა და ურთიერთგაზიარება. ინტელექტუალური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც თოდუას ინსტიტუტს გააჩნია, შესაშურია ბევრი ევროპული ქვეყნისთვის, ამიტომ, ცხადია, ამ კლინიკის გამოცდილება კონგრესის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში მოექცა.

მედიცინის ნებისმიერი დარგის ეფექტიანი მუშაობა წარმოუდგენელია დღეს რადიოლოგიური მხარდაჭერის გარეშე. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა კონგრესის 10 სექციაში წარმოდგენილი მოხსენებებით.

ამ ზოგად დებულებას ონკოლოგები ნეიროვიზუალიზაციის შესაძლებლობების გაფართოებით ასაბუთებენ, რომელიც კარგად წარმოჩნდა კონგრესზე. მაგალითად, ექიმ-კლინიკისთვის ამჟამად შესაძლებლობა აქვს, არა მხოლოდ ნახოს, ვთქვათ, სად მდებარეობს თავის ტვინის სიმსივნე, არამედ ისიც, რა მიმართულებას იღი ნერვულ ბოჭკოებთან, არის თუ არა ოპერაბელური და ა.შ. ამ ყველაფრის დადგენა შესაძლებელია სპეციალური პროგ-



რამებით, რომლებიც დამატებითი ვიზუალიზაციის შესაძლებლობას აძლევს კლინიკისთვის, სწორად რომ დაგეგმოს მკურნალობა, გააანალიზოს, იქნება თუ არა გვერდითი მოვლენები, მოხერხდება თუ არა სიმსივნის ამოღება შემდგომი დაზიანებების გარეშე და ა.შ.

კონგრესის მონაწილეთა საერთო აზრით, ჩვენი ქვეყნის რადიოლოგთა ეს შეკრება იყო ევროპაში მოწყობილი ამ სახის ღონისძიებების დონეზე უფრო მაღალი და თავისი დატვირთულობით, აკადემიური შემოქმედებითა და ნოვაციებით გამორჩეული.

უნიკალური იყო ისიც, რომ აკადემიკოს **ფრიდონ თოდუას** წინადადებით, კონგრესზე ახალგაზრდების სექცია ცალკე მუშაობდა. სამედიცინო პროფილის მქონე უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა და რეზიდენტებმა წაიკითხეს მოხსენებები, რომლებიც ძირითადად ეფუძნებოდა თეორიულ ანალიზს და არა კლინიკურ გამოცდილებას, თუმცა იყო გარკვეული გამონაკლისებიც.

თვალში საცემი იყო, რომ კონგრესის დარბაზებში, სადაც პლენარული თუ სექციური სხდომები მიმდინარეობდა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდულ სექციაში, ტევა არ იყო.

ბატონმა ფრიდონმა ბოლომდე უერთგულა ახალ თაობას თუნდაც იმით, რომ სამეცნიერო დარგში დირექტორის მოადგილესთან, ბატონ **გია სვანიძესთან** ერთად, თავად უხელმძღვანელა ახალგაზრდულ სექციას.

თოდუას კლინიკა, ხელმძღვანელისა და დამფუძნებლის განსაკუთრებული მონაწილეობის წყალობით, იმითაა გამორჩეული, რომ არასოდეს კმაყოფილდება იმ სიახლეთა დანერგვით, რომლებიც ბარკვეულ პერიოდში პროგრესულად ითვლება — ერთი პროექტის დასრულებისთანავე იწყება ახლის განხორციელებაზე ზრუნვა. ეს ეხება როგორც მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას (კლინიკაში კონსოლიდირებულია უახლესი აპარატურა), ისე სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების სისტემას. რადიოლოგიის მიმართულებით დაცულია 70-მდე დისერტაცია, გამოცემულია 15 მონოგრაფია, ქართველი ექიმ-რადიოლოგები დარგში მიღწეული წარმატებებისთვის დაჯილდოებულნი არიან 16 სახელმწიფო და ეროვნული პრემიით, სამეცნიერო ჯილდოებით.

არამაზ სანებლიძე



მეაბრეშუმეობის რეაბილიტაცია-აღორძინების დაჩქარება აუსილაბელია

საქართველო ოდითგანვე განთქმული იყო მეაბრეშუმეობით. ქართულ ათასწლოვან ფრესკებში წმინდანები, მეფეები, დედოფლები აბრეშუმით არიან შემოსილნი.

ზოგიერთი წყარო აბრეშუმის გავრცელებას საქართველოში ვახტანგ გორგასლის მეფობის პერიოდს უკავშირებს.

თბილისში 1887 წელს დაარსებული კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგური ამ დარგის ერთადერთი სამეცნიერო დაწესებულება იყო რუსეთის იმპერიაში და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მსოფლიოს მასშტაბით. მას გააჩნდა მდიდარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სახელგანთქმული დარგობრივი მუზეუმითა და იმ დროისათვის უნიკალური სამეცნიერო ბიბლიოთეკით. მოგვიანებით, 1930 წელს, ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის მრეწველობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. ამ პერიოდიდან საქართველო დიდი ძალისხმევით შეუდგა მეაბრეშუმეობის დარგის დანერგვას და წარმატებით განავითარა იგი, მაგრამ დღეს ქართული აბრეშუმის ნახვა და მისი თავგადასავლის მოსმენა, სამწუხაროდ, მხოლოდ თბილისის აბრეშუმის მუზეუმშია შესაძლებელი.

მეაბრეშუმეობის არსებულ მდგომარეობაზე, მისი რეაბილიტაციის შესაძლებლობასა და როლზე სოფლის მოსახლეობის გაჭირვებიდან გამოყვანის საქმეში გვესაუბრებიან ჩვენი რესპონდენტები — საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბიორბი ნიკოლეიშვილი

და ამავე აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელგუჯა შაფაძიძე.

— მეაბრეშუმეობის განვითარების ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, კარგი ბუნებრივი პირობები, აბრეშუმის წარმოების უძველესი ისტორია, პროდუქციის მაღალი ხარისხი, მსოფლიო გამოფენებზე მოპოვებული ჯილდოები, მცირე მიწიანობა, თავისუფალი მუშახელის არსებობა ინვესტიციების მოზიდვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის, — **აღნიშნავს ბატონი ელგუჯა შაფაძიძე**, — ამასთან, მოსახლეობაში ჯერ კიდევ არის შენარჩუნებული დარგისადმი დიდი სიყვარული, საკვები ბაზის დაჩქარებული აღორძინების შესაძლებლობა, მეცნიერული პოტენციალი, გა-

მოცდილი პრაქტიკოსი მეაბრეშუმეები და დარგის აღდგენით დაინტერესებული ენთუზიასტები. ეს არის ჩვენი სასტარტო პირობები, რომლის გონივრულად გამოყენების შემთხვევაში დარგის გადარჩენა ჯერ კიდევ შეიძლება.

გასული საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში ყოველწლიურად ინარმოებოდა 4,0-4,2 ათასი ტონა ცოცხალი პარკი, 4,5-5,0 ტ გრენა, 450-500 ტ ნატურალური აბრეშუმის ხამი ძაფი, 4,5-5,0 მილიონი გრძივი მეტრი ნატურალური ქსოვილი და სხვა პროდუქცია, რომელთა რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი წარმატე-



ელგუჯა შაფაძიძე

ბით ავსებდა ქვეყნის ყველა დონის ბიუჯეტს.

სოფლის მოსახლეობა მართო ცოცხალი პარკის რეალიზაციით ყოველწლიურად 16-17 მილიონ მანეთს იღებდა. ამასთანავე, დარგში დასაქმებული იყო 100-120 ათასი მოქალაქე (14,5-15,0 ათასი სამუშაო ადგილი), აბრეშუმის მრეწველობაში — 5-6 ათასი კაცი და მეაბრეშუმეობის სამმართველოს სისტემაში — კვალიფიციურ სპეციალისტთა დიდი არმია. სამწუხაროდ, სწორედ ამ ეტაპზე გავრცელდა თუთის დაავადება „ფოთლის სიხუჭუჭე“, რომელმაც გაანადგურა 15 მილიონ ძირზე მეტი ჯიშისანი თუთის ხე, ამას დაემატა საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებული სიძნელეებიც, რომელსაც დარგის საბოლოო დაცემა მოჰყვა.

სადღესოდ დარგი განადგურებულია, თუთის შენარჩუნებული



ნარგობებიც უპატრონოდ არის მიტოვებული და იჩეხება, მაშინ, როდესაც დარგის მიზნობრივი განვითარების შემთხვევაში, ჩვენი სოფლების ათასობით მკვიდრი საკუთარი შრომით შეძლება საარსებო მინიმუმის დანაკლისის შევსებას და ეკოლოგიური გარემოც უფრო სუფთა იქნებოდა.

ჩვენი გაანგარიშებით, სოფლის მოსახლეობამ პარკის წარმოების შემცირების მიზეზით მიყენებული ზარალი სხვა დარგებიდან მიღებული პროდუქციის რეალიზაციით ვერ აინაზღაურა და ვერც მომავალში აინაზღაურებს. მაგალითად, ლაგოდეხის რაიონის მეაბრეშუმეებმა დაავადების გავრცელებამდე, 1982 წელს, მოიწიეს 328 ტონაზე მეტი აბრეშუმის ცოცხალი პარკი და 4,0 მილიონამდე მანეთი მიიღეს. დღეს კი რაიონში პარკი საერთოდ აღარ იწარმოება, რაც თვალნათლივ დაეტყო სოფელს. ამასთან, დღესაც ათასობით ძირი თუთა დგას გამოუყენებელი და ნადგურდება. ანალოგიური მდგომარეობაა ხონის, ვანის, სამტრედიისა და სხვა რაიონებში.

სოფლის მეურნეობის ისტორიულად ჩამოყალიბებული დარგობრივი სტრუქტურიდან მეაბრეშუმეობის ჩამოცილებით გაუარესდა ეკონომიკური გარემო, გაძლიერდა მიგრაციის პროცესი, შემცირდა ოჯახური ბიუჯეტის შემოსავლები და ძალიან შემცირდა დასაქმების დონეც.

— თქვენი აზრით, უახლოეს ათწლეულში რა რაოდენობის პარკის წარმოება და რამდენი ახალი სამუშაო ადგილის შექმნა შესაძლებელი?

— მართალია, მეაბრეშუმეობის მდგომარეობა უკიდურესად რთულია, — საუბარში ერთვება ბატონი გიორგი, — მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის დაკარგული და პარკის წარმოების გააძლიერების რეალური საფუძველიც არსებობს.

ჩვენი გაანგარიშებით, უახლოეს პერსპექტივაში წელიწადში 450-500 ტონა პარკის წარმოება რეალურია,

რაც იმას ნიშნავს, რომ მეაბრეშუმეობაში ყოველწლიურად დასაქმდება 2,3-2,5 ათასი ადამიანი, ხოლო არცთუ შორეულ პერსპექტივაში 10-12 ათასი სამუშაო ადგილი შეიქმნება.

რამდენი დიდი სანარმო უნდა აშენდეს საქართველოში, რომ ამდენი მუშახელი დასაქმდეს? რამდენი ინვესტიცია იქნება ამისთვის საჭირო?

ამაზე უნდა ვიფიქროთ და იმას კი არ უნდა დაველოდოთ, როდის დაარეგულირებს საბაზრო ეკონომიკა ჩვენ მიერ შექმნილ კრიზისს, არამედ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ დარგის რეაბილიტაცია-აღორძინების უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საჯიშე საქმისა და საგრენაჟო წარმოების გაუმჯობესებას. ამასთანავე, აუცილებელია კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების დაჩქარება.

მეაბრეშუმეობაში შექმნილი ვითარების ანალიზი გვიჩვენებს, რომ, თუ დარგის გადარჩენისთვის ახლავე არ დავინყეთ რადიკალური ღონისძიებების განხორციელება, შეიძლება მისი სრული ლიკვიდაცია მოხდეს.

— თქვენი შეხედულებით, უც-

ხოეთიდან შემოტანილი თუთის ჰიბრიდული წერგების მასიური გავრცელება სირთულეებს ხომ არ შეუქმნის საკვები ბაზის აღორძინების საქმეს?

— დიას, შეუქმნის და შეიძლება ძალიან მძიმედაც. თუთის დაავადება „ფოთლის სიხუჭუჭე“ ვერაგი დაავადებაა. 200 წელზე მეტია, იგი არსებობს იაპონიაში, მაგრამ ბრძოლის პროფილაქტიკის რადიკალურ ღონისძიებათა სისტემა დღემდე არ არის შემუშავებული. დღეს (ასე იყო ადრეც) იაპონიაშიც და ჩვენშიც, „ფოთლის სიხუჭუჭისადმი“ ბრძოლის ერთადერთ რადიკალურ ღონისძიებად მიჩნეულია მედეგი და შედარებით გამძლე ჯიშების გამოყვანა-გამოვლენა.

საამაყო, რომ ქართველმა მეცნიერებმა თხუთმეტზე მეტი შედარებით გამძლე (მედეგი) ჯიში გამოიყვანეს — თბილისური, ივერია, ქუთათური, კოლხეთი, ოშიმა, ნეზუმიგაესი და ა.შ. მიმდინარე ეტაპზე თუთის სელექციის მთავარი ამოცანაა ისეთი ჯიშების გამოყვანა, „რომელთაც მაღალპროდუქტიულობასთან ერთად ექნება ამტანობა მავნებელ დაავადებათა და გარემოს ექსტრემალური პირობებისადმი“ (თ. დალალიშვილი). საქართველოში, თუთის „ფოთლის სიხუჭუჭის“





გავრცელების მიზეზის შესახებ მრავალი ვერსია (ტენი, ჭარბი სასუქები) არსებობდა, მაგრამ მეცნიერულად არც ერთი არ ყოფილა დასაბუთებული. ჩვენი შეხედულებით (გ. ნიკოლეიშვილი, კ. ებანოიძე, ზ. ხარშილაძე), დაავადება „ფოთლის სიხუჭუჭე“ შეიძლება შემოჰყვა (ფარული ფორმით) იაპონიიდან შემოტანილ ჯიშებს (ოშიმა, ნეზუმიგაესი), რომლებიც 1936 წელს ქუთაისის მეაბრეშუმეობის ზონალურ-საცდელ სადგურში დაირგო. მომდევნო განვლილ პერიოდში, ანუ 28 წლის შემდეგ, როდესაც შეიქმნა საიმისო პირობები, ფართოდ გავრცელდა.

გასული საუკუნის 70-იან წლებში ხსენებული დაავადებების ბრძოლის ცენტრს წარმოადგენდა ქუთაისის მეაბრეშუმეობის ზონალური-საცდელი სადგური. ამასთან, ხსენებული დაავადება აღიარებული იყო, როგორც უმკაცრესი საკარანტინო ობიექტი. იმდროინდელი საკავშირო სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრძანებით, მეაბრეშუმეობის ყველა რესპუბლიკას (სულ 11 იყო) ევალებოდა, წარმოებაში ფართოდ გავრცელებული 2-3 ჯიშის გამოცდა „ფოთლის სიხუჭუჭის“ მიმართ ქუთაისის მეაბრეშუმეობის ზონალურ საცდელ სადგურში ჩატარებინა. იცდებოდა როგორც სარგავი მასალა, ისე სანამყენე კალმები, თესლნერგები და ა. შ.

სამეცნიერო კვლევითი მუშაობის (მ. კაკულია) შედეგები დასტურდებოდა სადგურის მიერ და იგზავნებოდა „ადრესატთან“. კოლოსალური მუშაობის შედეგად გამოცდილი ჯიშებიდან შედარებით გამძლე აღმოჩნდა მხოლოდ სამი — 2 აზერბაიჯანიდან და 1 უკრაინიდან.

ჩვენი შეხედულებით, თუთის დაავადება „ფოთლის სიხუჭუჭისადმი“ გამოცდის გარეშე ჰიბრიდული ნერგების შემოტანა-გავრცელების რისკი ძალზე დიდია და უკიდურესად სახიფათოა დარგის სამომავლო განვითარების თვალსაზრისითაც. მოსალოდნელი ხიფათის თავიდან აცილების მიზნით, სოფლის მეურნე-



გიორგი ნიკოლეიშვილი

ობის სამინისტრომ უნდა დასვას საკითხი მთავრობის წინაშე:

1. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ქუთაისის ყოფილი ზონალური სადგურის ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილი გამძლე ჯიშების (საკოლექციო, სასელექციო) 5-6 ჰა მიწის ნაკვეთი არ დაექვემდებაროს გაყიდვას (დროებით მაინც) და მასზე გაგრძელდეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და საკალმე მასალის დამზადება;

2. ხონის მეთუთეობის მეურნეობაში (40 ჰა-მდე ფართობი დაყადალებულია) 10 ჰა-მდე შენარჩუნებული თუთის გამძლე ჯიშებიდან დამზადებული სამყნობი მასალა უნდა გამოვიყენოთ როგორც ვარჯში მყნობის, ისე თბილი წყლის ბაზაზე მოწყობილ თერმულ მოედანზე საკუთარფესვიანი ნერგების გამოსაზრდელად;

3. ორივე ნაკვეთიდან მიღებული სამყნობი მასალა 2017 წლის გაზაფხულზე აუცილებლად უნდა გადაიმყნოს უზბეკეთიდან შემოტანილ ჰიბრიდულ ნერგებზე დაცვის მიზნით (კარანტინის ნესების დაცვით). აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელების გარეშე, ვფიქრობთ, სასურველ შედეგს ვერ მივიღებთ.

— როგორ გესახებათ საბაზრო ურთიერთობის შესაბამისი მე-

ურნეობრიობის ფორმები და ინტეგრაცია მეაბრეშუმეობაში?

— საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების კოოპერაციული გზა, მეურნეობრიობის ერთ-ერთ ტრადიციულ ფორმას წარმოადგენდა. „მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა“ ქუთაისის გუბერნიაში ჩამოყალიბდა 1895 წელს (ხელმძღვანელი ნესტორ ნერეთელი), რომელიც დაკავებული იყო არა მხოლოდ პარკის მოყვანა-რეალიზაციით, არამედ მას ჰქონდა საამქრო, რომელშიც მიმდინარეობდა პარკის ამოხვევა, ქსოვა და კუსტარული ნაწარმის დამზადება.

მეაბრეშუმეებთან ანგარიშსწორება ხდებოდა საბოლოო პროდუქციის (პარკის ღირებულება+რეალიზაცია და სხვა შემოსავლები) მიხედვით, 1896 წელს კოოპერატივმა წმინდა მოგებიდან (3448 მან.) გამოყო „მოძრავი“ თანხა — 10%, სათადარიგო თანხა — 10% და „ამხანაგობის თითოეულ“ წევრს დივიდენდად დაერიცხა 3,0 მანეთი; იგი, თავისი შინაარსით, ვერტიკალური ინტეგრაციის მიგნებულ ფორმას წარმოადგენდა მეაბრეშუმეობაში და ყველა მონაწილის პატივისცემით სარგებლობდა.

ჩვენი ღრმა რწმენით, აღნიშნული ამხანაგობის სამოქმედო პრინციპს თუ დავხვეწავთ და მივუსადაგებთ ქვეყნის კონკრეტულ პირობებს, უფრო მისაღები იქნება, ვიდრე უცხოურის „გადმოქართულება“. ამასთან, ინტეგრაცია უნდა ასახავდეს პარკის მწარმოებელთა და გადამამუშავებელ სფეროებს შორის ინტერესთა თანხვედრას. ბუნებრივია, ასეთი გაერთიანების მართვა მეტად რთულია და ღრმა მეცნიერული კვლევის შედეგებს უნდა ემყარებოდეს. ამ მიმართულებით ჩვენი მუშაობის გააქტიურება 120-წლიანი (1895-2015) ინტერვალის წამონევის შემდეგ მეტად საინტერესოა. გაანალიზებულია, საგრენაჟო ქარხნებსა და ძაფსახვევ-საგრენაჟო ქარხნებში ვერტიკალური ინტეგრაციის საბოლოო შედეგები და როლი დარგის აღ-



მავლობის საქმეში.

საგრენაჟო ქარხნის წმინდა მოგება უნდა განანილდეს:

— მეაბრეშუმეებზე, რომლებმაც მოინიეს საჯიშე პარკი და მიჰყიდეს ქარხანას;

— საგრენაჟო ქარხნის მუშა-მოსამსახურეებზე, რომლებმაც ანარმოეს ჰიბრიდული გრენა.

შედეგი:

საგრენაჟო ქარხნის ყოველ 10 კგ გრენაზე გაანგარიშებით წმინდა მოგებიდან (899 ლარი) გაიცემა:

— მეაბრეშუმეებზე ჩაბარებული (მიყიდული) ყოველი კგ პარკის კუთვნილ საფასურს ზევით 30,7%, ანუ დივიდენდი (გრენის რეალიზაციის შემდეგ) შეადგენს 1,82 ლარს; ხოლო საგრენაჟო ქარხანაზე ყოველ კგ გრენაზე, შესაბამისად, — 69,3%-სა და 62,4 ლარს.

ანალოგიური წესით არის განსაზღვრული მოგების განანილება ძაფსახვევ-საგრეხ ქარხნებს შორის — სოფლის მეურნეობასა და სააბრეშუმო მრეწველობას შორის, სახელდობრ:


— სოფლის მეურნეობის (მეაბრეშუმეობის კოოპერატივების) ხვედრითი წილი შეადგენს საშუალოდ მოგების 30%-ს, ხოლო ქარხნებისა — 70%-ს.

ბუნებრივია, კონკრეტული პირობების გათვალისწინებით (მოგება, წაგება) შედეგები ცვალებადი იქნება, ხოლო გაანგარიშების მეთოდიკა (იგი გადაცემულია გამოსაცემად) პრინციპულად, ალბათ, არ შეიცვლება.

— ბატონო ელგუჯა, თქვენი აზრით, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში როგორი დამოკიდებულებაა მეაბრეშუმეობისადმი?

— უაღრესად პოზიტიური.

მეაბრეშუმეობაში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი 2010 წლის 25 ივნისს №04 განკარგულებით განიხილა საკითხი „საქართველოში მეაბრეშუმეობის რეაბილიტაციის ღონისძიებათა შემუშავება და



მისი მეცნიერული უზრუნველყოფა“. აღნიშნული განკარგულების საფუძველზე შემუშავდა **საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების კონცეფცია 2012-2025 წლებში**, საინვესტიციო პროექტი „მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის, პარკის წარმოებისა და კუსტარული რენვის ეტაპობრივი აღდგენა ხონის რაიონში“, რეკომენდაციები: „შემოდგომაზე გაუხეშებული თუთის ფოთლისგან მეცხოველეობის არატრადიციული საკვების (ნეკერი) დამზადების შესაძლებლობა, ტექნოლოგიები და ეკონომიკური ეფექტიანობა“, „თუთის უნიკალური თვისებების მრავალმიზნობრივი გამოყენება“, „პირველ ორ ასაკში თუთის აბრეშუმხვევიას ცენტრალიზებული გამოკვება და უპირატესობა ინდივიდუალურ გამოკვებასთან შედარებით“, „თერმული წყლით გამთბარ სუბსტრატში თუთის კალმით დაფესვიანება და ეკონომიკური ეფექტიანობა“ და დარგისთვის სხვა სასიცოცხლო რეკომენდაციები. ისინი გაეგზავნა საკანონმდებლო და სამთავრობო სტრუქტურებს, თუმცა დღემდე თაროზე დევს და წარმოებაში მათი განხორციელება ვერ ხერხდება.

ჩვენი სამინისტროები სუბსი-

დირებისა და სილატაკის განსაზღვრის კრიტერიუმის მეთოდიკაზე რომ მუშაობენ, ამ სფეროსაც უნდა მიხედონ. ფერმერებს რომ აძლევენ თანხებს მცირე ბიზნესისთვის, მეაბრეშუმეობისთვისაც გამოყონ თანხა და ათასობით ადამიანი დასაქმდება. ადამიანს თევზის, ჭამა კი არა, დაჭერა უნდა ასწავლო! ფულის მიცემას, რომელიც ისედაც არაფერში ჰყოფნის, სჯობს საშუალება მისცე, რათა თვითონ, საკუთარი შრომით იშოვოს ფული.

ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციებიდან შევხვები მხოლოდ ერთს „თერმული წყლით გამთბარ სუბსტრატში თუთის გამძლე ჯიშების ნაზამთრი კალმით დაფესვიანებასა და ეკონომიკურ ეფექტიანობას (პრობლემა პირველად დამუშავდა ვანის რაიონის სოფელ ამაღლებაში), რომელსაც ჟურნალი „აგარული საქართველო“ (№12 (44), 2014, გვ. 28-30) გამოხმაურა, მაგრამ ყურადღება ყველას „გამორჩა“, მაშინ, როცა აშშ-ის მსოფლიოში ცნობილი სამეცნიერო ჟურნალის „Journal of Agricultural Science and Techlogy“ რედაქცია 17-სტრიქონიანი აბსტრაქტით გაეცნო მის შინაარსს (BACSA-ს მეაბრეშუმეობის მე-7 საერთაშორისო კონფერენცია, 2015 წელი, რუმინეთი) და თანამშრომლობა შემოგვთავაზა. ამასთან, გვთხოვენ, აღნიშნული მასალები თუ არ არის გამოქვეყნებული სხვა ჟურნალში, მივცეთ გამოქვეყნების უფლება. ამასთან, ასევე უყურადღებოდაა მიტოვებული ინსტრუქცია „თუთის ხის იმუნიტეტზე მოქმედი ფაქტორები და სადიაგნოსტიკო ნიშნებით სასელექციო მასალის გამორჩევის პრინციპები“ და სხვ. აღნიშნული რეკომენდაციები წარმატებულად არის აღიარებული საერთაშორისო ასპარეზზე.

ვფიქრობთ, ახლა მაინც შევიშუშაოთ მეაბრეშუმეობის განვითარების პოლიტიკა, ვიფიქროთ ფერმერების ხელშეწყობაზე, ბაზრის მოძიებაზე და ა.შ.

ესაუბრა
დარეჯან ანდრიაკი



იაკობ მანსფელტაშვილი:

ილიას გატაცება

ილიას როგორც საქმეში, მწერლობაში, ისე გართობაში მეტიც მეტი ჭირვეულობა, გატაცება უყვარდა. ბევრს ეცოდინება ან გაეგონება, რომ ილიას ძალიან უყვარდა ბანქოს, ქალაქის თამაშობა, აგრეთვე, ნარდიც. ბევრჯელ დღე და ღამეები გაუთენებია ქალაქის თამაშში და შინ მეორე-მესამე დღეს დაბრუნებულა. თვით თამაში უყვარდა დიდის ცოდნით, ჩაკვირებით. „კაცმა რასაც ხელი მოჰქიდოს, უსათუოდ ძირიან-ფესვიანად უნდა შეიგნოს, შეითვისოს, — იტყოდა ხოლმე ილია, — ზერე-ქვერობა არაფერში არ მომნონს“. არც უფულოდ თამაში უყვარდა. უფულოდ თამაში გაუტენელ თოფის სროლას მაგონებს, უბრალო, ბავშვების გასართობ ტკაცუნსაო. თუმცა ილია ძალიან ფრთხილი და ჩაკვირებული მოთამაშე იყო, მაგრამ ხშირად ამასაც ჯიბეებს გამოუბერტყავდნენ ხოლმე. არა ერთხელ გამიგონია ილიასაგან შემდეგი შემთხვევა: ერთ საღამოს ოთხმოცი თუმანი წავაგეო. შინ გათენებისას დავბრუნდი ფაეტონით. ჩავიყავ ჯიბეში ხელი ფულის ამოსაღებად, რომ მეფაიტონეს გავსწორებოდი. ერთი თუმნიანი-ლა ჩამრჩენოდა, ავიღე და ისიც მეფაიტონეს მივეცი. გაჰკვირდა, ამდენს რად მაძლევსო. — ნაიღე, ძმობილო, — ვუთხარი, — საცა ოთხმოცი თუმანი წავაგე, ეგეც იმას გაჰყვესო.



ბორჩალოს ეპატონა დავით ბარათაშვილი - უხეირო მონარღე და მოლექსე

ნარდშიაც ილიამ გააბედული და თან ჩაფიქრებულნი თამაში იცოდა. ბავრთან მინახავს ნათამაშევი, მაგრამ ყველაზე საინტერესო იყო მისი მოკამათლე დავით ბარათაშვილი. ღირსშესანიშნავი კაცი იყო ეს ბარათაშვილი: დიდი გვარეულობისა, შთამომავალი ისტორიაში ცნობილ ბორჩალოს მეპატონეთა, დიდი მამულის პატრონი. ამბობდნენ, მარტო ერთ ალაგას ათი ათასი კაკლის ხე უდგაო. ამ აუარებელი სიმდიდრის პატრონი მუდმივ ვალებში იყო. ესეც გადაგვარების ნიშანია. გარეგნობით მეტად სუსტი აგებულობისა იყო, გამხდარი, ჭკუითაც ცოტა მჩატი ბრძანდებოდა. ჩვენი გამოჩენილი პოეტი ნიკო ბარათაშვილი ამის ახლო ნათესავი იყო. ეს ჰქონდა ხელზე

დახვეული და თავის თავიც დიდი პოეტი ეგონა.

რა მოსაზრებით? მოდი ჰკითხე: განა ერთი ხიდგან ჯვარიც არ კეთდება და ბარიც? ჰჯღაბნიდა უშინაარსო, უგვანო ლექსებს და თავს გვაბეზრებდა: მოდი ერთი წაგიკითხოთ, რა ლექსი დავსწერეო. ლაპარაკი ჩიფჩიფით და ცოტა ტუჩების ცმაცუნით იცოდა, ასე რომ, „დავსწერეს“ მაგიერ „დავჭერე“ გამოდიოდა. უსაქმური კაცი იყო. ბანკში ხშირად მოდიოდა და უთავბოლოდ დახეტილობდა. ხშირად მოვიდოდა ჩემთან, ალბათ, უკეთეს დამფასებლად მთვლიდა, და მეტყოდა: აბა, ეს ლექსი როგორ მოგწონს? და დაინწყებდა კითხვას.

მე თავსაყრელი საქმე მექონდა, ათასად მგლეჯდნენ, ეს კი თავის ლექსებით მიმასპინძლდებოდა. რა მექნა, უარს ვერ ვეტყოდი, ზრდილობა მოითხოვდა, მეჩვენებინა, რომ ყურადღებით ვუსმენ, მაგრამ ზრდილობასაც საზღვარი აქვს. და აი, რომ თავიდგან მომემორებინა ეს უბადრუკი

მოლექსე, ასეთს ხერხს მივმართე: რანამს ჩვენი დავითი ლექსის ბარათს გადაგვიშლიდა და კითხვას დაინწყებდა, მაშინვე ერთი ჩემი თანამსახური მოვიდოდა საქმით ხელში და მეტყოდა: გამგეობაში აი ეს საქმე მოითხოვეს და შენც იქ გიხმობენო. მეც სწრაფად გავემუხრებოდი და დიდხანს აღარ ვბრუნდებოდი. ამ ეშმაკობას, მგონი, მიჰხვდა ჩვენი დავითი და ფეხი ამოიკვეთა: გადავრჩი ამ გვარად ლექსების მოსმენას.

დავითი ელოდა სამ საათს, ვიდრე ბანკში სამსახური გათავდებოდა და ილია გამოვიდოდა კაბინეტიდან.

— დავითს ვახლავარ! — მიესალმებოდა ილია, რანამს თვალს მოჰკრავდა, — თუ საქმე არა გაქვთ რა, მოდი სადილად მეწვიეთ და ერთი-ორი ხელი ნარდიც გავაგოროთ.

ილიამ კარგად იცოდა, რომ დავითს საქმე არა ჰქონდა რა. ისიც კარგად იცოდა, რომ სადილზე და ნარდზე უარს არ იტყოდა. მაშ, რისთვის დაყილობდა აქ უთავ-



ბოლოდ? მაგრამ მაინც შეეკითხებოდა, ამასაც ზრდილობა მოითხოვდა.

როგორც სხვა ყველაფერში, ისე ნარდის თამაშშიაც მჩატე იყო დავითი. ამით სარგებლობდა ილია და ჯიბეს კარგად უბერტყამდა. ისე დღე არ გავიდოდა, რომ შვიდი-რვა თუმანი არ წაეგო დავითს.

არა ერთხელ შემოუჩვილია ნაცნობებისთვის დავითს: **პაცო, მგონი, ეს ილიას სადილავი ძალიან ძვირად მიჯდებაო.** მაგრამ მეორე დღეს ისევ მოიცუნცულეხდა ილიასთან ერთი-ორი ხელი ნარდის გასაგორებლად და ჯიბის ამოსაბერტყად. რას იზამ: მელას თავის სახრჩობელა უყვარსო.

ილიას მიერ მუსიკალური სმენის უქონლობა

ილიას არამც თუ სტუმრად, თეატრშიდაც არ უყვარდა სიარული. იშვიათად ნახავდით არამც თუ ოპერაში, ქართულ თეატრშიაც. ოპერაში სიარული იქნება იმიტომ არ უყვარდა ილიას, რომ მუსიკა არ ესმოდა. სმენას სრულიად მოკლებული იყო. აღსანიშნავია და საკვირველიც ერთი რამ: **არც ილიას, არც აკაკის მუსიკალური სმენა სრულებით არ ჰქონდათ. რამდენ სადილზე, რამდენ ლხინში მინახავს აკაკი და ერთხელაც არ შემიფრენვია, რომ პირი გაეღოს და სიმღერის სურვილი მინც გამომეხატოს.** ილიას, როცა პატარა მეტს დაღევედა და მხიარულობაში გაერთობოდა, საღერღელი აეშლებოდა ხოლმე სიმღერისა, მაგრამ ვერას ახერხებდა. მრავალჯამიერი, აბა, რა არის: ქართველ კაცს ხომ დედის ძუძუდან დაწყებული სიბერემდე ყური აქვს გამოჭედილი ამ სიმღერის ჰანგით; სხვა რომ არა იყოს რა, მექანიკურად შეიძლება მისი შეთვისება, მაგრამ ილიას ესეც ვერ ეხერხებოდა. არამც თუ მრავალჯამიერის თქმა უძნელდებოდა

მარტივად, გუნდათ მომღერლებსაც კი ხმას ვერ შეუნყოფდა, უსათუოდ სადმე დისონანსი გამოუვიდოდა. **ეს მოვლენა მით უფრო სპეკირველია, რომ, როგორც ილია, ისე აკაკი, ნამდვილი, მაღლით შემოსილი პოეტები იყვნენ, მათ ლექსებში მუსიკაც არის და რიტმიც, და მუსიკაც ხომ იგივე რიტმია, რაც პოეზია.**

ერთი წასვლა ოპერაში და სოსიკო ბაქრაძის ოინი

ილიამ ერთხელ მაინც მოინდომა ოპერაში წასვლა. აი ეს როგორ მოხდა: იყო ერთი ვინმე სოსიკო ბაქრაძე, კაცი ლაზღანდარა, სიტყვა მოსწრებული, ლაქათა. მუდმივი საქმე არ ჰქონდა, რაც მოჰხვდებოდა, ხელს გაჰკრავდა, დღიურ ლუკმას მოიპოვებდა და დაკმაყოფილდებოდა. ყველაფერს ჰკიდებდა ხელს, ბოლოს კი ვერაფერს გაატანდა. დღეს ბანკში მსახურობდა, ხვალ ცირკში ჯამბაზობდა, მერე ანტრეპრენიორობას დაიწყებდა: კარუსელს გაჰმართავდა, „რუსულ გორებს“ მოაწყობდა სასრილებლად და სხვა ამ გვარებს. უცბად ყველა ამას თავს მიაწებებდა და შეჰხედავდით, სოსიკო ოპერის თეატრშია, ორკესტრში ზის მეზარაბანეთ, ამიტომ მეტსახელად „ბარაბანშიკს“ ეძახდნენ.

ეს სოსიკო ილიასთანაც შელაზღანდარებული იყო. ილიას უყვარდა ასეთი ტიპები. აი, ეს სოსიკო ეუბნება ერთხელ ილიას:

— ილია, დღეს საღამოს ოპერაში მობრძანდით, „ტრავიატას“ თამაშობენ, გამოჩენილ იტალიელ მომღერლებს მოისმენთ.

— კარგი, სოსიკო, წამოვალ, მხოლოდ ერთი პირობით კი: სიტყვა მომეცი, ამისრულო, რაც დაგავალო.

— ბატონი ბრძანდებით, თქვენი ყურმოჭრილი ყმა ვიყო.

— **მაშ, აბა, როცა ორკესტრი მიწყნარდება და მომღე-**

რალი ძალი უმაღლეს პოეტიურ ადგილას სიმღერის ეხსში რომ შევა, შენ რაც ძალი და ღონე გქონდეს, ბარაბანს დაჰკა მებრად.

— ბატონი ბრძანდებით, მაგაზე ადვილი რა არის!

სოსიკოს, თითონაც ამისთანა ოინების მოყვარულს, დიდად იამა ილიას დავალეხა, მით უფრო იამა, რომ ეს ამბავი მერე მთელ ქალაქს აალაპარაკებდა და ამის სახელი ყველას პირზედ ეკერებოდა. სოსიკოს მეტი რა უნდოდა: ნუ ასმევედით, ნუ აჭმევედით, ოღონდ კი მისი სახელი ყბადასაღები გამხდარიყო.

ილიამ, მართლაც, აიღო ბილეთი და პარტერის პირველ რიგში გამოიჭიმა. გადაიხედა ორკესტრში: სოსიკო მხიარულად ზის შლიაპა კეფაზე გადაგდებული, — ეს მისი მუდმივი ჩვეულება იყო. დაიწყო წარმოდგენა. აგერ მოახლოვდა ის დროც, როდესაც მომაკვდავი ვიოლეტა სულწარკვეთილი ნაზის ხმით ესალმება სიცოცხლეს. ორკესტრი ჩუმის, ნელის ხმით უკრავს, თეატრი სულგანაბული ისმენს გულწარმტაცს სიმღერას. უცბად რაღაცა საშინელი ბრაზხუნი გაისმა, იტყოდით, მეხი დაეცა თეატრსაო. ყველანი შეკრთნენ, შედგა ჩორქოლი. მომღერალმა შესწყვიტა თავისი სიმღერა. რა მოხდა? ბევრი არაფერი: სოსიკომ თავის დაპირება შეასრულა და ბარაბანს დანიშნულ დროს ურტყა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. ორკესტრის დირიჟორად იმ დროს იყო გამოჩენილი იტალიელი მანესტრო ტრუფფი. კინალამ გადაირია სოსიკოს ასეთი საქციელით. „საკრამენტო“-ვო, მიაძახა და გაქანდა სოსიკოსაკენ, თითქოს გაგლეჯას უპირებსო, მაგრამ სოსიკო უკვე ქუჩაში იყო და არხეინი ღიღინით სახლში მიდიოდა, კმაყოფილი რომ ასეთი საგმირო საქმე ჩაიდინა და ხვალ ქალაქი ამაზე დაიწყებს ლაპარაკს.

ილიაც შინ მოდიოდა ნასიამოვნები, რასაკვირველია, არა მუსიკით, არამედ სოსიკოს ოინით.



ირაკლი გამრეკელი – ქართული სენოგრაფიული ხელოვნების კლასიკოსი

ცნობილი ქართველი მხატვარი ირაკლი გამრეკელი ქართული თეატრალური მხატვრობის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მან დიდი წვლილი შეიტანა ქართული თეატრის განვითარებაში.

მომავალი მხატვარი ქვეყანას მოეწვინა გორში 1894 წლის 17 მაისს, მღვდლის ოჯახში; სწავლობდა თბილისის სასულიერო სასწავლებელში, 1911-1917 წლებში კი — თბილისის სასულიერო სემინარიაში; სამხატვრო ხელოვნებას ეუფლებოდა თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიასთან არსებულ მხატვრის კურსებზე.

1917-1918 წლებში სწავლობდა დონის როსტოვში, სამედიცინო ინსტიტუტში. 1918 წლიდან სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. თან მუშაობდა ერთ-ერთ კლუბში მხატვრად. მეოთხე კურსზე გააკეთა არჩევანი — გადაწყვიტა, სწავლისთვის თავი მიენებებინა და მთლიანად მხატვრობით ყოფილიყო დაკავებული.

1916-1926 წლებში ქმნიდა დაზგურ ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევრებს. შექმნა ილუსტრაციები გრიგოლ რობაქიძის რომანისთვის „გველის პერანგი“, კარლო კალაძის პოემებისთვის „ძახილი მთაში“, „ქურდი“, „რჩეული“ და სხვ.

1920 წლიდან აქტიურად ჩაერთო თბილისურ მხატვრულ ცხოვრებაში, მონაწილეობდა ქართველ მხატვართა სურათების გამოფენაში, გატაცებული იყო მოდერნიზმით.


XX საუკუნემ ახალი შესაძლებლობები მოიტანა მხატვართა ნიჭის გამოსავლენად. ეს არის თეატრი და კინო, სადაც დიდი რეჟისორები მოღვაწეობდნენ, რომლებიც შესანიშნავ მხატვრებთან და მსახიობებთან ერთად მოწოდებულნი იყვნენ, ისეთი ეროვნული და საკაცობრიო დონის დადგმები განეხორციელებინათ, რომელიც ეკადრებოდა ქართველ ხალხს, მის კულტურას.



კოტე მარჯანიშვილმა 1922 წელს ქართველ მხატვართა გამოფენაზე ირაკლი გამრეკელის მიერ ილუსტრირებული ოსკარ უაილდის „სალომეა“ რომ ნახა, დიდი რეჟისორის ალლომ და თვალმა უმალ შეიცნო ირაკლი გამრეკელის შემოქმედებითი ტალანტი და რუსთაველის თეატრში მიიწვია.

1923 წლიდან გახდა რუსთაველის თეატრის მთავარი მხატვარი და დიდი წვლილი შეიტანა ქართული თეატრის განვითარებაში.

ირაკლი გამრეკელი ნაყოფიერად მოღვაწეობდა მეორე დიდ რეჟისორთან — სანდრო ახმეტელთანაც. მან გააფორმა ცნობილი და გახმაურებული სპექტაკლები: შექსპირის „ჰამლეტი“ და „ოტელო“, შანშიაშვილის „ანზორი“, რობაქიძის „ლამარა“, შილერის „ყაჩაღები“ და სხვ. იგი იტი-



ირაკლი გამრეკელი, ი. გელაშანიშვილი — „სინათლე, შოთა რუსთაველის სახელობის დრამის სახელმწიფო თეატრი“, 1924 წ.



ვლუბა ქართული სცენოგრაფიული ხელოვნების კლასიკოსად. გაფორმებული ჰქონდა 50-ზე მეტი სპექტაკლი. იგი კუბიზმ-ფუტურის მიმდევარს ერთ-ერთ პირველ შემომტანი იყო ქართულ ხელოვნებაში. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი რამდენიმე პორტრეტი, შესრულებული გრაფიკაში კუბიზმისათვის დამახასიათებელი მანერით. განსაკუთრებულია მისი ტიცინ ტაბიძის პორტრეტი. მართალია, მისი შემოქმედება ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებით ვითარდებოდა, მაგრამ მისი წყალობით ქართულ სცენაზე სიახლეები გაჩნდა — სპექტაკლები მეტი გამომსახველობით გამდიდრდა. გრიგოლ რობაქიძის „ლამარა“ რომ დაიდგა, ყველა აღფრთოვანებული იყო, ისე მშვენივრად და მონუმენტურად იყო გადმოცემული თურმე ქართული გზნება. აღსანიშნავია, მისი ნამუშევრების ფერები.

1924 წლიდან ირაკლი გამრეკელი გახდა ქართული ფუტურისტული ჟურნალის რედკოლეგიის წევრი და მხატვრული გამფორმე-

ბელი. იყო კორპორაცია „დურუჯის“ წევრი, რომელიც რუსთაველის თეატრში 1924 წელს ჩამოყალიბდა. თავიდან მისი საპატიო წევრი გახლდათ კოტე მარჯანიშვილი. მიუხედავად იმისა, რომ „დურუჯი“ სიახლისათვის იბრძოდა, მოხდა გარკვეული გაუგებრობანი — მარჯანიშვილმა თეატ-



ტიცინა ტაბიძე

რი დატოვა, ორგანიზაცია კი დაიშალა.

ირაკლი გამრეკელი მოღვაწეობდა ქართულ კინოშიც. 1929 წელს რეჟისორმა კოტე მიქაბერიძემ გადაიღო ექსპრესიონისტული ფილმი „ჩემი ბებია“ (გიორგი მდივნის სცენარით). დამდგმელი მხატვარი ამ ფილმისა გახლდათ ირაკლი გამრეკელი. ის თამარ აბაკელიასთან ერთად არის ასევე დამდგმელი მხატვარი მხატვრული ფილმისა „არსენა“, რომელიც 1937 წელს გადაიღეს.


ირაკლი გამრეკელი მუშაობდა მოსკოვში ა. ტაიროვის კამერულ თეატრში, ლენინგრადის კიროვის სახელობის თეატრში, კიევისა და ბაქოს თეატრებში.

1934 წელს ირაკლი გამრეკელს მინიჭეს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება. 1936 წელს დაჯილდოვდა საპატიო ნიშნის ორდენით.

1943 წელს ირაკლი გამრეკელი თბილისში გარდაიცვალა, დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

პარსკვლავი პარსკვლავს

11 მაისს კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ ცნობილი ქართველი კინორეჟისორის — გიორგი შენგელაიას ვარსკვლავი გაიხსნა. გიორგი შენგელაიას თავისი ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობის მანძილზე მიღებული აქვს არა ერთი ჯილდო: საპატიო ნიშნის ორდენი (1976); ამიერკავკასიისა და უკრაინის რესპუბლიკის კინოფესტივალის დიპლომი (1966); ბერგამის (იტალია) მე-10 საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზი „დრაკონი“ და ფიპრესის დიპლომი (1966); ჩიკაგოს მე-10 საერთაშორისო კინოფესტივალის დიდი პრიზი „ოქროს ჰიუგო“ (1974); აზოლას (იტალია) საერთაშორისო კინოფესტივალის პირველი პრემია (1974); ფინეთის ხელოვნების აკადემიის პრიზი (1975); კინოხელოვნების საშუალებებით ესთეტიკური აღზრდის პრობლემებისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმის საპატიო დიპლომი (ერევანი 1977); დიდი ბრიტანეთის კინოსტუდიის პრემია (1979); სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენის ბრინჯაოს მედალი (1980); შოთა რუსთაველის სახელობის პრემია (1985); 1986 წელს საუკეთესო რეჟისურისთვის ბერლინის 36-ე კინოფესტივალზე „ვერცხლის დათვი“ და სხვ.



გიორგი შენგელაია, რეჟისორ ნიკოლოზ შენგელაიასა და მსახიობ ნატო ვაჩნაძის შვილი, 1937 წლის 11 მაისს მოსკოვში დაიბადა. „მამაჩემს ჰქონდა რალაც კონფერენცია მოსკოვში და თან წაიყვანა დედაჩემი, მეცხრე თვეზე ორსული. ისე მოხდა, რომ იქ დავიბადე. ეტყობა, კარგად მიმიღეს რუსებმა, კარგად ამშობიარეს დედა-

ჩემი. მაგათ ვენაცვალე! იქიდან დაიწყო ჩემი ცხოვრება...“ — ლიმილით ყვება ერთ-ერთ ინტერვიუში რეჟისორი. დაამთავრა რუსეთის კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტი რეჟისორის სპეციალობით (1961 წელს, ალექსანდრ დოვჟენკოსა და მიხეილ ჭიაურელის კლასი), დიპლომი 1963 წელს დაიცვა. „მოსკოვის კი-

ნემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტი იმითაც იყო საინტერესო, რომ იქ ყველა ეროვნების ახალგაზრდები სწავლობდნენ, — იგონებს ბატონი გიორგი, — ურთიერთობები მათთან ძალიან გვამდიდრებდა. პატრიოტიზმი ოთხ კედელში ჩაკეტვად და ერთმანეთთან ლაპარაკით რომ შემოვსაზღვროთ, პატარა ერისთვის გაუმართლებელია. სხვა თუ არაფერი, ილია სწავლობდა პეტერბურგში. არაა სათაკილო, სხვა დიდ ერთან გქონდეს კულტურული ურთიერთობა“.

1961 წლიდან შენგელაია კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ რეჟისორად მუშაობდა. მიჰყავდა რეჟისორთა კლასი იმჟამინდელ თეატრალურ ინსტიტუტში.

გიორგი შენგელაია ავტორია ფილმების: „ალავერდობა“, „ვერის უბნის მელოდები“, „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“, „ხარება და გოგია“, „ორფეოსის სიკვდილი“, „სიყვარული ვენახში“. გადაღებულია ფილმებში: „ჩვენი ეზო“, „ოთარაანთ ქვრივი“, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ და სხვ.

ფილმი „ფიროსმანი“ კი ჩიკაგოს ინტელექტუალური კინოს ფესტივალზე აღიარებულ იქნა მოვ-



კადრი ფილმიდან „რაც გინახავს, ველარ ნახავ“



ლენად კინოსამყაროში და მიანიჭეს გრანპრი „ოქროს ჰიუგო“.

მოგვიანებით კი ჟურნალ The New Yorker-ში (1978 წლის 5 ივნისს) გამოქვეყნდა პენელოპ ჯილაიტის სტატია, რომელიც აღნიშნავდა, რომ ეს იყო პოეტური ბიოგრაფიის ბრწყინვალე და ინოვაციური ნიმუში საბჭოთა კავშირიდან. „თავისთავად ცხადი ჭეშმარიტებაა, რომ არაფერია უფრო რთული გადმოსაცემად, ვიდრე

არტისტის შემოქმედება. კიდევ უფრო ცხადი ჭეშმარიტებაა, რომ არაფერია იმაზე რთული, გვერდი აუარო საბჭოთა იდეოლოგიის ბარიკადებს და მოყვე ამბავი ვინმე არაორდინალურზე. ამ ორივე თითქოსდა ჭეშმარიტებას მშვიდად უწევს წინააღმდეგობას გიორგი შენგელაიას „ფიროსმანი“, რომელიც დიდი ქართველი პრიმიტივისტი მხატვრის, 1862-1918 წლებში მოღვაწე ნიკო ფიროსმა-

ნაშვილის, იმავე ფიროსმანის შესახებ გვიამბობს ისტორიას.

ფილმში იგი ნაჩვენებია, როგორც მაღალი, წვერიანი, მხრებში მოხრილი ფიგურა, ღირსების გრძნობით გამსჭვალული, თავმდაბალი პიროვნება. იგი თბილისში ცხოვრობს, თავის ნათლიმამას იყოლიებს, რომ საკუთარ სავაჭრო საქმიანობის დაწყებაში დაეხმაროს. მისი დუქნის პირველ კლიენტებს შორისაა მოხუცი ქალბატონი, რომელიც მისგან ვალად ყიდულობს და ადგილობრივი თავადის მსახური. მოგვიანებით, თავისი და და სიძე გამოდიან ამ საქმიდან თავისი წილით. ნიკალა თავადის მსახურს ფასებს უორმაგებს, ხოლო მოხუცს ქალს უსასყიდლოდ ატანს ყველაფერს, რისი წაღებაც შეუძლია, რის შემდეგაც ღარიბები შემოეხვევიან ნიკალას დუქანს და ისიც მთელი თავისი საქონლის მარაგს მათ ურიგებს“.

სტატიის ავტორი აღფრთოვანებით ყვება ფილმის გასაოცარ კადრებზე, რომლებიც ფიროსმანის ფერწერის კომპოზიციების მიხედვითაა შედგენილი: „მსახიობი ავთო ვარაზი, რომელიც ფიროსმანის როლს თამაშობს, ფილმის ერთ-ერთი მხატვარი იყო. ფილმის ფერებში ლურჯი და ყავისფერი ჩრდილები ჭარბობს, კომპოზიციებს მარტივი კონტურები ქმნის, თეთრი კედლების ფონზე. კამერა, რომელიც თითქმის არ მოძრაობს კადრებს შორის, ფილმს ანიჭებს სიმშვიდეს და საზრიანობას. ჩვენ მომსწრენი ვართ მხატვრის თვალით და ყურით აღქმული დეტალებისა. ქალები კერავენ, კარები ჭრიალებს, დუქნის შესასვლელში მოხუცი ქალბატონი გამოჩნდება, მისი სილუეტი გარედან შემოსული დღის სინათლის ფონზე იკვეთება.

დუქანი, ცარიელი, მივარდნილი ადგილის შუაგულში მდებარეობს, მის გარშემო გადაღებულ კადრებში უძრავი ცენტრის ადგილი უკავია და თითქოს ქართულ პეიზაჟზე განთავსებული ანრი რუსოს ნახატი, სადაც ფონად



„ხარება და გოგონას“ გადაღებაზე



ძალიან ნელა მოძრაობენ ურმები. ფიროსმანი დუქნის შესასვლელის კედლებზე ორივე მხარეს კიდებს ნახატებს, რომლებზეც ძროხებია გამოსახული: „ისინი გვაძლევენ რძეს და კარაქს“. იგი ალაგებს თავადის მზარეულის კალათაში რძის ქილას, თაფლს, კარაქს, ყველს და შემდეგ კვლავ უკან იღებს, რადგან მსახური ამბობს, რომ ძალიან ძვირია. **ფიროსმანის ცხოვრება ეფუძნება ღირსების იდეას, რომელსაც ყველაზე ღარიბი ქართველი ინარჩუნებს: რომ ადამიანმა უნდა დატოვოს თავისი კვალი დედამიწაზე.** ერთ-ერთ მიწისქვეშა დუქანში იგი სვამს ყველა ბედკრულის სადღეგრძელოს — ყველა ქვრივისა და ობოლის.



სერგო ფარაჯანოვი და გიორგი შენგელაია

იგი აღფრთოვანებულია სცენით, რომელსაც მუსიკალურ სალონში აწყდება — ახალგაზრდა გოგონა მღერის ფრანგულად. თავისი ცხოვრების წესი, სმა, დაკვირვება, თავსატეხს უჩენს მას: ეს ბოლომდე არც ძირავს და არც ათავისუფლებს. ხანდახან გრძნობს, რომ თითქოს ამ მარტოობითა და უფერულობით სული ეხუთება. რეჟისორის მშვიდ კომპოზიციებში თითქმის ყოველთვის დომინირებს და კადრში დიდი ადგილი უკავია იატაკს, მიწას, რო-

მელზე დგომისას ფიროსმანს თითქოს ეშინია, არ გამოეცალოს და არ დაეცეს, მაგრამ ფერწერა არ აძლევს მას ამის საშუალებას.

ასე რომ, **ამ ფილმის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ამ ცხოვრებასთან ფხვანუფობა კაცს რეჟისორი თითქმის ქრისტეს მსგავს ადამიანად წარმოგვიდგანს და ჩვენ გვჯერა, რომ იყო ერთი ჭეშ-**

მარიტაჟის მიმდევარი მხატვარი, რომელიც თავის თავს სიკეთესთან აიზივება. იგი სიხარულითა და ნალველით ხატავდა სურათებს. აღდგომამდე რამდენი დღით ადრე იგი ჩაკეტილია სარდაფში მისი კეთილის მსურველების მიერ, რომლებმაც იცოდნენ რომ ხატვა ერთადერთი რამაა, რაც მას აცოცხლებს. იგი სამი დღის განმავლობაში მუშაობს, ის აღდგომას გამოუშვეს და ტილოებს შორის, რომელიც დახატა, გამოსახული იყო გოგონა ბუმბით, ადამიანები საქეიფო მაგიდასთან, თითქოს „საიდუმლო სერობის“ მსგავსი განლაგებით, მაგრამ საზეიმო განწყობით. იგი ბრუნდება თავის ქოხში. „ვინ არის აქ?“, „რას აკეთებ?“ — ეკითხება კეთილის მსურველი გლეხი ნიკალას. „ვეკვები“ — პასუხობს განდეგილი მხატვარი. „რა დროს სიკვდილია, ქრისტე აღსდგა, ხალხი ზეიმობს“. ხალხი ერთმანეთს ულოცავს და ორივე ლოყაზე კოცნის. მეგობარი ფიროსმანს არ აძლევს სიკვდილის საშუალებას და მოკირწყლულ ცარიელ ქუჩაში მდგარ ორთვალამდე მისვლაში ეხმარება, გარეთ კი აღდგომაა“.



ქეზი შენგელაიანი



ბორისა და არმაზის ლანგარები ეთნოგრაფიულ უუქზე

1940 წელს არმაზში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს სხვა ძეგლთა შორის აღმოჩენილ იქნა ორი შერჩეული ლანგარი. ორივე ლანგარზე მხატვრულად შესრულებულია სამსხვერპლოს წინაშე ცხენის გამოსახულება. ეს ორი ლანგარი ანალოგიურ პარალელს პოულობს 1902 წელს აღმოჩენილ ბორის ლანგართან, რომელიც ცნობილია „ბორის თასის“ სახელით. იგი დღიდან აღმოჩენისა მეცნიერთა ყურადღებას იპყრობს. ძეგლის წარმოშობის შესახებ მრავალი დაუსაბუთებელი მოსაზრება არსებობდა. ზოგი თვლიდა, რომ ბერძნულ ნაწარმოებს უნდა წარმოადგენდეს და მას მიაკუთვნებს ელინისტურ ეპოქას, ზოგიერთი მეცნიერი კი ბორის ლანგარს ათარილებს პირველი საუკუნით ჩვენი წელთაღრიცხვის წინ ან შემდეგ და ბერძენი, უფრო კი, რომაელი ოსტატის ნახელავად თვლის. ხოლო აკად. ნ. მარისა და აკად. ი. მიქჩანინოვის ცნობით, აკადემიკოს ი. ორბელს გამოუთქვამს მოსაზრება ბორის თასის შესახებ, რომ ცხენის გამოსახულება ქართველთა ერთ-ერთი ტომის ღვთაება-ტომების განსახიერებაა.


ლანგარის სიუჟეტის მიხედვით, ზვარაკი ცხენი სამსხვერპლოს წინაშე დგას, რომელიც მოჭიხვინე პოზაშია წარმოდგენილი. ამას მოწმობს კისრის კუნთების დაძაბულობა წინა ფეხების დაჭიმულობა და უკანა ფეხების განზე მდგარი დაძაბული განლაგება. ამასთან ერთად, ზემოთ ანეული კუდი მოწმობს იმას, რომ ლანგარის ოსტატი ცდილა, მოეცა მოჭიხვინე ცხენის სახე სამსხვერპლოს წინაშე. ამ გამოსახულებას ენათესავება არმაზის ლანგარზე გამოსახული ცხენი, რომელიც ისევეა შემკული „ღვთაებრივი“

ნიშნით, როგორც ბორის ლანგარზე. ხოლო მეორე არმაზულ ლანგარზე „ღვთაებრივი სხივები“ აღარ გვხვდება: ჩვენ წინაშე დგას ფაფარ დაყრილი ცხენი, რომლის წინა, მარჯვენა ფეხი სამსხვერპლოზე მაღლაა აწეული. ლანგარზე არ მოჩანს ცხენის სქესი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ლანგარზე გამოსახული ცხენი ფაშატი უნდა იყოს. ეს ლანგარი ორი ზემოდასახელებული ლანგარისგან საკმაოდ განსხვავდება, როგორც სიუჟეტით, ისე სიუჟეტის შინაარსით.

საყურადღებოა ისიც, რომ ბორისა და არმაზის ხევის ლანგარებზე გამოსახულ ცხენთა ფაფარის მსგავსე შეკრეჭილობას ვხვდებით განათხარ ქართულ ბრინჯაოს ბალთებზე. ასეთივე დეტალია ნიმრუდის ჩრდილო დასავლეთის სასახლის ერთ-ერთ ასურულ ბარელიეფზე, რომელზედაც გამოსახულია სამცხენიანი საომარი ეტლი. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ფაფარის ასე შეკრეჭის სხვა შემთხვევებიც ნინევიამი აღმოჩენილი, დაახლოებით იმავე დროის ობელისკის გამოსახულებაზეა, რომელზედაც წარმოდგენილია ასურეთის მეფისათვის სხვადასხვა ხალხთა მიერ ძღვენის მირთმევის ცერემონიალი, აზიურ ცხენებსაც ისევე აქვთ ფაფარი შეკრეჭილი, როგორც არმაზისხევისა და ბორის ლანგარებზე გამოსახულ ცხენებს.

ცხენის კულტი ქართველ ტომებში დამოწმებულია არქეოლოგიური მონაცემებით ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში, ეს უკანასკნელი მეტყველებს, ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგს ცხენის არა მარტო მოშინაურობა-გახედნაზე, არამედ მისი, როგორც გამწვევი ძალის, მიუხედავად და ლაშქრობაში სულ უფრო და უფრო წარმატებით გამოყენების შესახებ.

ცხენის კულტი ქართველ ტომებში დამოწმებულია არქეოლოგიური მონაცემებით ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში, ეს უკანასკნელი მეტყველებს, ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგს ცხენის არა მარტო მოშინაურობა-გახედნაზე, არამედ მისი, როგორც გამწვევი ძალის, მიუხედავად და ლაშქრობაში სულ უფრო და უფრო წარმატებით გამოყენების შესახებ.






ნებაზე. ბრინჯაოს ბალთებზე, აბზინდებსა და ფურცლოვან სარტყელებზე ამოკანრული ცხენიანი ეტლებისა და ცხენების გამოსახულებათა სიმრავლის გამო ფიქრობენ, რომ ცხენს იმ დროისათვის მტკიცედ დაუმკვიდრებია ადგილი არა მარტო ადამიანთა სამეურნეო ცხოვრებაში, არამედ მათ აზროვნებაშიც. თუ გავითვალისწინებთ, ერთი მხრივ, ცხენის ადგილს ბრინჯაო-რკინის ეპოქის ქართულ ხელოვნებაში, ხოლო, მეორე მხრივ, სამსხვერპლოს წინაშე მდგარი ცხენის გამოსახულების უკვე არა ერთგზის აღმოჩენას ანტიკური საქართველოს ძეგლთა შორის, ბუნებრივი იქნება ამ სიუჟეტის შემცველ ძეგლთა წარმოშობის დაკავშირება ადგილობრივი ხელოვნების განვითარებასთან.

არქეოლოგიური მონაცემებით ირკვევა, რომ ქართველ ტომებში ცხენის კულტი მზის კულტს უკავშირდება. ცხენის მსხვერპლად შეწირვა ფართოდ გავრცელებული მოჩანს, რასაც ადასტურებს მრავალი არქეოლოგიური მასალა. „მცვალებულისათვის ცხენის ჩატანების ფაქტები დასტურდება წინამურში, ღებში, მცხეთის რკინიგზის სადგურთან 1951 წელს აღმოჩენილ აკლდამაში, კლდეეთში, ბორში და სხვ. სამთავროსა და ბორში დამონმებულია ცხენის ცალკე დასაფლავების შემთხვევაც. იგივე სურათია ღების სამაროვანზედაც. ცხენის აკაზმულობა-მოსართავის ნაწილები ნაპოვნია მცხეთაში, ალგეთზე, კლდეეთში, არმაზისხევის VI სამარხში და სხვ. ცხენის კულტს მონაშობს, აგრეთვე, სულ სხვადასხვა ადგილას აღმოჩენილი ცხენისა თუ მხედრის გამოსახულება, ქანდაკებანი (ყაზბეგი, ღები, ახალგორი, კლდეეთი, დაბლაგომი და სხვ.).

ცხენის კულტის შესახებ ისტორიულ წყაროებში მრავალ საყურადღებო ცნობას ვხვდებით. მაგალითად, ქსენოფონტეს აღნიშნული აქვს, რომ პირადად მან უფროს მამასახლისს სომეხთა ერთი სოფლისა, რომელიც ხალიბების



მოსაზღვრე იყო, დაუბრუნა ცხენი, რადგანაც მას (ქსენოფონტეს) გაეგო, რომ იგი შეწირული ყოფილა მზის ღვთაებისადმი (ჰელიოსისადმი). ცხენის დაბრუნება მოხდა იმ პირობით, რომ მას, ე.ი. სოფლის უფროსს, კარგი მოვლისა და გამოკვების შემდეგ, ცხენი მაინც უნდა მსხვერპლად შეწირა ღვთაებისადმი. ასეთსავე საყურადღებო ცნობას გვანვდის სტრაბონიც. იგი აღნიშნავს, რომ „ქვეყანა (სომხეთი) მდიდარია ცხენების კარგი საძოვრებით, რითაც იგი არ ჩამოუვარდება მიდიას, ისე რომ ნისაის ცხენები, რომლებიც მომსახურებას უწევდნენ სპარსელ მეფეებს, იზრდებოდნენ აქ, ხოლო სომხეთის სატრაპი ყოველწლიურად უგზავნიდა სპარსელ მეფეს 20 000 კვიცს მითრას დღესასწაულისათვის“.

მამასადამე, სტრაბონის ამ ცნობის მიხედვით ირკვევა, რომ **მითრას დღესასწაულისათვის სამსხვერპლოდ განკუთვნილი ყოფილა ცხენები.** ვფიქრობთ, შესანიშნავად აჯილდა ცხენები მიყავდათ, რომლებსაც ღმერთისათვის განკუთვნილი ნიშნებით ამკობდნენ. აჯილდა დაუკოდავ ცხენს, ნიშნავს.

ჩვენში ცხენს განსაკუთრებული წესებით სწირავდნენ. ჯერ ააკრავდნენ ფაფარს „კიბე-კიბე“, რაც ბორისა და არმაზის ცხენის შეკრეჭას გვაგონებს. შემდეგ შეუშკობდნენ თავს, კისერსა და კუდს ვარდისფერი და ნითელი ბაფთებით, **ცხენი უნდა ყოფილიყო აჯილდა. დაკოდილი ან ფაშატი ცხენი საღვთოდ არ შეიძლება.**

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ცხენის შეწირვის სხვადასხვა წესი მოწმდება. მაგალითად, მთხრობელთა გამოცემით, ხატში შეწირულ ცხენს, კი არ ჰკლავდნენ, არამედ გააჩუქებდნენ. „როცა რომელიმე კაი მოჯირითე ვაჟკაცი, თუ გინდა, მოჯირითე არა ყოფილიყო და კაი ცხენისა და კაი ვაჟკაცობის პატრონი იყო, თუ ძალიან ავად გახდებოდა, მაშინ მისიანები აიყვანდნენ მის საყვარელ საჯდომ ცხენს. ცხენი ულაცო უნდა ყოფილიყო, **ფაშატზე ვაჟკაცი არა ჯდებოდა, წესი არ იყო, ფაშატზე ბერი კაცი შეჯდებოდა ან კიდევ საკიდრად გამოიყენებოდა.** ნაიყვანდნენ ცხენს რომელიმე ხატში, შეკრეჭდნენ ფაფარს კიბე-ციბე, მორთავდნენ აბრეშუმის ნაჭრებით, შემდეგ შემოატარებდნენ ნიშს და მერე, ვინც კაი მოჯირითე და კარგი ამხანაგი იყო, იმ ბიჭისათვის უნდა ეჩუქებინათ, გაყიდვა ამ ცხენისა არ შეიძლებოდა, სირცხვილი იყო, რადგან ასეთ ცხენს საღვთო ცხენს ეტყოდნენ“ (სოფ. დილომი, მთხრობელი სიკო გილაური).

ხატში საქონლის საღვთოდ დაყენება და დაკვლა წესად მიღებული იყო დაუკოდავი საქონლისა, „როცა სამხვთოდ შეუთქვამდნენ რომელიმე ხატს, კისერზე ბალანს შეკრეჭდნენ, სანთლით შეუტრუსავდნენ კისერს, ხატში ყოჩს ან მამალ თოხლს დაკლავდნენ. მიღებული იყო კიდევ მამალი ბატკნის დაკვლა. სხვილფეხა საქონლიდან ბუღას მიიყვანდნენ, დაკოდილს არ უყაბულებს ხატი“



(სოფ. დილომი, ილა კოლოტაური, 74 წ., ჩანერილია 1955 წ.).

ქართული ეთნოგრაფიული მასალის მისაღწევით, ცხენის კულტი „თევდორობას“ უკავშირდება. ამ ღვთაების შესახებ საინტერესო ცნობებს გვანდის ს. მაკალათია, რომელიც აღწერს ამ დღესასწაულს: „თევდორობა ცხენის სალოცავია და მას სამეგრელოში დიდმარხვის პირველი კვირის შაბათ საღამოს იხდიან. ცხენის პატრონი ამ დღეს აცხობდა ცხენის ქანდაკებას, მთელი მისი შეკაზმულობით: უნაგირით, უზანგით, აღვირით და სხვა. აცხობდნენ, აგრეთვე, ცხენის ჩონჩორიკის ფორმის კვერებს, იმდენს, რამდენი სულიც ოჯახში იყო, საღამოს ცხენის ქანდაკებას და კვერებს ხონჩაზე დააღებდნენ. იქვე სავსე ჭიქით ღვინოს მოათავსებდნენ და გარშემო ხონჩას ანთებულ სანთლებს მიაკრავდნენ. ხონჩასთან პირველად მივიდოდა ოჯახის უფროსი მამაკაცი და იგი შეევედრებოდა წმ. თევდორეს ცხენების გამრავლებას და მათ დაცვას ქურდობისა და ნადირისაგან, შემდეგ იგი ზურგზე ხელებდაკრეფილი, ჭიხვინითა და ნიხლების ცემით უკანვე გამოზრუნდებოდა. მას მიჰყვებოდნენ ოჯახის წევრები და უფროს-უმცროსობის მიხედვით მოვიდოდნენ ცხენის ქანდაკებასთან და ჭიხვინითა და ნიხლების ცემით იმავე მოქმედებას შეასრულებდნენ.

ანალოგიურ ამბავს ვხვდებით რაჭაშიც: „თევდორობა ს. ნამანევაში „ცხენის მისალოც“ დღეობად ითვლებოდა. ამ დღეს ოჯახის

წევრები ბოსელში (თავლაში) შევიდოდნენ, შეიტანდნენ სკამს, ზედ გობს დასდებდნენ, ხოლო გობში მოათავსებდნენ ჯამს, რომელიც სავსე იყო ღვინოში ჩაფშვნილი პურით. ეს ცხენის „მისალოცავი“ იყო. „ერთი უფროსი კაცი ყარაულად ადგა“ ამ ჯამს, გარშემო ურბენდა, ხვიხვინებდა და ნიხლებს ისროდა, „არ ზოგავდა არავის“, ვინც გობის ახლოს მივიდოდა. რიტუალის სხვა მონაწილეებს ხელში კოვზი ეჭირათ, ცხენს უკნიდან „ეპარებოდნენ“, და ცდილობდნენ, ჯამიდან ამოეღოთ ღვინოში ჩამბალი პური, თუნდაც ერთი ნატეხი (ჩან. ა.კ. სობადის მიერ 1948 წ. სოფ. ბარეულში მოთხრობელი ნამანევიდან გამოთხროვილი 99 წლის ტუფა ჭელიძე-ომიადისა).


საინტერესო ჩვეულება სრულდებოდა სოფელ დილომში დიდგორობას. დიდგორობა 20 მაისს მოდიოდა, ძველი სტილით — 7 მაისს (ამ დღეს მოდიოდა კიდეც ზედაზნობა), იქ აუარებელი ხალხი იყრიდა თავს გარშემო სოფლებიდან, აქ მოჰყავდათ აუარებელი საღვთო ცხოველი, მათ შორის მოჰყავდათ ცხენები, წითელი და თეთრი აბრეშუმის ბაფთებით მორთული. ცხენის მორთვა იცოდნენ თავზე, კისერსა და ძუაზე. ძუაზე ჩაუნნამდნენ აბრეშუმს. უმეტესად ხმარობენ წითელსა და ლურჯ ფერს. ასეთივე პატარა ბაფთები მიმაგრებული ჰქონდა ფაფარზე და ყურებზე. შემდეგ ცხენს მიიყვანდნენ ნიშთან, შემოატარებდნენ რამოდენიმეჯერ და მერე მთელი დღე მინდორში აჯირითებდნენ. საყურადღებოა ის

ამბავი, რომ საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში შვიდ მაისობაზე (ახალი სტილით 20 მაისი) მრავალი საინტერესო რიტუალი და ლექს-სიმღერა სრულდებოდა, რომელიც ბოლო დრომდის იყო დაცული.

ცხენი გარკვეულ როლს ასრულებს, აგრეთვე, მიცვალებულის კულტში. მაგალითად, ხევსურის შეხედულება მიცვალებულის მიმართ ასეთია: „მკვდრისათვის, მეტადრე თუ ეს მკვდარი კარგი და თვალსაჩინო ვაჟკაცი იყო, სულეთში ცხენი აუცილებლად საჭიროა; ამ ცხენზე ზის ვაჟკაცი და საიქიოსაკენ გამგზავრებულს გზაში სულები მიეგებება, სააქაოს ამბავს მოჰკითხავს... ჯერ ისევ დამარხვის დროს ვაჟკაცს, თუ ცხენი ჰყავს, შეკაზმული ცხენი გვერდით უნდა მიუყენონ; ხურჯინის ცალ მხარეში, ჩაუდებენ ტიკით არაყს, მეორე მხარეში ჩაუნყოფენ ქაღებს. გარდა ამისა, მკვდარს ზედ აწყვია თავისი იარაღი — ხმალი, ხანჯალი, თოფი; გაკეთებული აქვს აშურმა, სასწრაფო, ერთი სიტყვით, შეიარაღებულია, როგორც შორს ნამსვლელი მგზავრი“. შემდეგ, როცა მკვდარს სასაფლაოსაკენ წაიღებენ, შეკაზმული ცხენი უკან უნდა დააბრუნონ, რადგან ცხენი ცოლს უჭირავს, ამიტომ იმანვე სამჯერ უნდა დაჰკრას მათრახი ცხენს და ხმამაღლა თქვას: „შენამც გენმარებისა, შენიმც საფერხე იქნებისა, ტალავარიმც შენიმც სახმარი იქნებისა, ძალითამც ნურავინ გამოგეკიდებისაო“.

შესაძლებელი იყო, კაცს ცხენი არ ჰყოლიო სიცოცხლეში, მაშინ „იმის სულს ცხენი მაინც უნდა უშოვნონ, ცოლი ან სხვა ვინმე ახლო ნათესავი სიზმარში ნახავს — მკვდარი სჩიოდა სულეთში ამხანაგებს სულების მიგებებაში უკან ჩამოვრჩი, რადგან ცხენი არა მყვანდაო. მაშინ სულს ცხენს უყიდიან და აჩუქებენ მკვდრის მეგობარს, ახლო ნათესავს“.

ხდება ისიც, რომ სიცოცხლეში პატრონი თავის ცხენს ვისმე უანდერძებდა. ჩვეულებისამებრ, „წინად უფრო დედის ძმას ეკუთვნის,





შემდეგ — მამიდან ბიძაშვილს, იმის ქვემოთ ცოლეულს, დისწულს. ძმობილსაც შეიძლება უანდერძოს, მაგრამ როცა „სულის ცხენობა“ ანდერძით არა წესდება და სიზმარის ნახვის შედეგია, მაშინ ცხენს ბევრ წილად მეგობარს და ძმობილს მისცემენ, რომელნიც კარგნი მხედარნი არიან და ცხენის ხელიც კარგად იციან. რასაკვირველია, **სულის ცხენი ყველაფრით შიკარაული უნდა იყოს. თოფრიდამ დაწყებული უკანასკნელ სამკაულსა და იარაღამდე“.**

როცა სულის ცხენი, ხეცურის შეხედულებით, „სახელ-დებულია“, სულეთში მიცვალებულს ეხმარების, ამიტომ კარგად მოვლა და სილალე ეჭივრება; ბარგი ან ტვირთი არ ეკიდება, მარტო საჯდომად უნდა იხმარონ; ცხენი რომ გახდეს ჯავრისაგან, მიცვალებული დაღონდება — გამხდარი ტაიჭი რად მეპრიანება, ტოლამხანაგებს ხომ უკან ჩამოვრჩებიო. ვინიცობაა, სულის ცხენს სილალე მოაკლდა, მკვდრის პატრონი გამოართმევს მას მხედარსა — „მკვდარი დაალონეო“. სულის ცხენის გაყიდვა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ეს ლალი ცხოველი დაბერდება და უეჭველად გაყიდვისათვის მკვდრის პატრონის ნებართვაა საჭირო; „მყიდველი ამნაირს ცხენში ნახევარ ფასს მისცემს — მთელი ფასი რად მოგცე, როცა საიქიოს ცხენი მე არ დამრჩება, და მიცვალებული წამართმევსო. ეს კიდევ არაფერი. გამყიდველმა მიცვალებულის სულის სახეიროდ ერთი თასი უნდა

შესწიროს ხატსა. რადგანაც **დაბერებამდე სულის ცხენის გაყიდვა დიდათ სათაკილოა, ამიტომ, თუ ვინმემ ეს სათაკილო საქმე იკისრა, სულს სხვა ცხენი უნდა უყიდოს“.**

ასეთივე ჩვეულებას ვხვდებით ფშავშიაც, მთხრობელთა გადმოცემით ფშავში, სოფელ ჩარგალში გიორგი რაზიკაშვილი რომ გარდაიცვალა (ვაჟას ბიძაშვილი). მისი ცხენი, მის ცხედართან ერთად ნაუყვანიათ სასაფლაოზე შეკაზმული, იქ სამჯერ შემოუტარებიათ გიორგის საფლავისათვის და მერე მის ახლო მეგობრისათვის უჩუქნიათ (*მიაბზო ეფემია სონღულაშვილმა, 82 წ., 1955 წ.*).

მე დავესწარ ასეთ შემთხვევას, სოფ. დილოში ადგილობრივი მცხოვრების, გიგო თოფჩიშვილის, დაკრძალვის დროს, მისი ცხენი შავ ძაძებში მორთული მისდევედა მის კუბოს.

ცხენის კულტის დასადგენად საკმარისია გადავხედოთ ქართულ ხალხურ ფოლკლორს, დავინახავთ, თუ რა დიდ ზეგუნებრივ ძალას ანიჭებდნენ ხალხურ ლექსში „ავთანდილ გადინადირა“ ცხენი ადამიანის მფარველად გვევლინება და მომავალ უბედურებასაც კი ამცნობს პატრონს: „ცხენმა კაცი დაინახა შორი გზიდან მომავალი, შეხტა ლურჯა, შესჭიხვინა, რომ ეს კაცი ავი არი“. „სოლოლას ლექსში“ ცხენის საგანგებო სიყვარული და პატივისცემაა ასახული: **„წავიდნენ, გამოიყვანეს შვიდი წლის ნაბამ ხამზედა, შვიდ მეჯი-**

ნიბეს ეჭირა, მაინც დგებოდა ყალყზედა... სოლოლამ ხელი გადუსვა, აკოცა ორსავ თვალზედა... ჩემს უნაგირსა დავადგამ, ალმასი უზის თავზედა“.


ასეთივე საგანგებო სიყვარული და პატივისცემა ჩანს ცხენის მიმართ ლექსში **„სოლომონ ბუტულაშვილი“:**

„სოლომონ ბუტულაშვილი კარგად ინახავდა ცხენსა, დილასა და საღამოსა ჯერზე აჭმევს ლიტრა ქერსა, დღეში ორჯერ დაუურვებს, გავაზე გადუსვამს ხელსა, მოიტანდა ერბოს წყალსა, მით დაუხელდა წელსა“.

არც ზღაპრებშია უგულვებელყოფილი ცხენი, მაგალითად „რაში“, მზეთუნახავისა და მისი მადიებელი გმირის აუცილებელი კუთვნილებაა ქართულ ზღაპრებში, სადაც ყოველთვის გულთმისანიც არის, ყოველისშემძლე და ბრძენიც.

თუ რამდენად ზებუნებრივ ძალას ანიჭებდნენ ადამიანი ცხენს, საკმარისია, გავიხსენოთ თქმულება სახალხო გმირ ზეზვა გაფრინდაულზე: როცა ბახტრიონის ალბის შემდეგ, თუშებს და ფშაველებს მეფემ მიწებით დასაჩუქრება დაუპირა, ფშაველებს შირაქი ერგოთ. თუშებს კი ზეზვას პირით განეცხადებინათ, რომ ჩვენი ის ადგილი იყვეს, რასაც ზეზვას ცხენი ერთი შემორბენით შემოურბენსო. ცხენს დიდი განი აულია. დაღლილა და მომკვდარა, დიდი ამბით დაუსაფლავებიათ და მას აქეთ ხალხი იმ ცხენის საფლავს პატივსა სცემდა. ვისაც უნდოდა, რომ ცხენი შერჩენოდა და ცხენებში ბედი ჰქონოდა, ის ზეზვას ცხენის საფლავზე საღვთოს იხდიდა. თუშები, ფშაველები და ხეცურები ამ საფლავს ისე არ გაუვლიდნენ, რომ შესანდობარი არ დაელიათ ცხენისა და იმისი პატრონის გმირი ზეზვასი.

ეს ადგილი კახეთშია ალვანსა და ალავერდს შუა, რომელსაც „ზეზვის ცხენის საფლავს“ უწოდებდნენ. როგორც გადმოცემიდან ჩანს, ცხენი კულტად ქცეულა, რომლის საფლავზე თურმე



ზეზვას მკვდარი ეთნობრაული მასალები საუბრებს გვაქვს, ვიმსჯელოთ ბორისა და არამის ლანგრაზზე, კარკოდ, პირველ ორ ხსოველზე, რომლებიც მიჩნეულია „ღვთაებად სხანის სახით“, ეს არ უნდა იყოს სწორი, რადგან მთელი რიგი ეთნობრაული მასალების შეტყუებას, რომ ეს სხანი ღვთაება კი არ არის, არამედ სხანი ზეზვაა.



„საღვთოს იხდიდნენ“.

ზემოთ მოყვანილი ეთნოგრაფიული მასალებიდან კარგად ჩანს, თუ რამდენად ყოფილა საქართველოში გავრცელებული ცხენის კულტი, რომლის გარშემო, სხვადასხვა წეს-ჩვეულება სრულდებოდა და გვეხმარება ბორისა და არმაზის ლანგრებზე გამოსახული ცხენების დანიშნულების ახსნაში.

ცხენის კულტი მრავალ ხალხში დასტურდება. ჩვენს ყურადღებას იპყრობს ცხენის მსხვერპლად შეწირვის ფაქტები, რომლებიც თავმოყრილია ვილჰელმ კოპერსის შრომაში: „ინდო გერმანელთა საკითხი ისტორიული ეთნოგრაფიის ასპექტში“.

ცხენის მსხვერპლად შეწირვა სცოდნიათ: ირანელებს, ბერძნებს, რომაელებს, სომხებს, მასაგეტებს, ვენეტებს, მიზიელებს, დაღმატებს, გერმანელებს და სხვას.

ცხენის მსხვერპლად შეწირვის მდიდარი რიტუალებია შემონახული ინდოეთში, სადაც შეწირვის დროდ ითვლება გაზაფხული, შესანიშნავი ცხოველი უნდა ახალგაზრდა, გაუხედავი ყოფილიყო. უპირატესობას თეთრი ფერის ცხენს აძლევდნენ, ცხენის კურთხევას მსხვერპლად შეწირვა მოსდევდა, შესანიშნავი ცხოველს ახრჩობდნენ, მისი ძვლები არ უნდა დამტვრეულიყო, ძვლებს მზრუნველობით იცავდნენ. ცხოველის შეწირვის დროს სრულდებოდა სექსუალური რიტუალები.

ცხენის მსხვერპლად შეწირვასთან დაკავშირებით საინტერესო

რიტუალები გვხვდება შუა აზიის ხალხებში, კერძოდ ალტაელ თურქებში (კუმანდინები). ცხენის მსხვერპლად შეწირვა ადრე გაზაფხულზე ხდებოდა.

სამსხვერპლოდ დანიშნული ცხოველი ახალგაზრდა და გაუხედავი უნდა ყოფილიყო. აჯილდის მსხვერპლად შეწირვა ინდოელთა, სპარსელთა, ბერძენთა, სლავთა და გერმანელთა წესით მოითხოვდა თეთრ ცხენს. ინდოეთში სამსხვერპლო ცხენი შავ-თეთრი ფერისა უნდა ყოფილიყო და შუბლზე ნიშანი უნდა ჰქონოდა. ზემოთ დასახელებულ კუმანდინებში (ალტაელი თურქები) შესანიშნავი ცხენი უნდა ყოფილიყო ნათელი ღია ფერისა. ზერდაგი (ჩალის ფერი), ღია ნითელი, ნაცრისფერი, ნათელი კუდი და ნათელი ფაფარით, სამხრეთ ალტაის ტელინგიტებში მსხვერპლად შეწირული ცხენი უნდა ნათელი ფერისა ყოფილიყო. ყოველი დაქორწინებული მამაკაცი ვალდებული იყო, თავის სიცოცხლეში სამჯერ მიერთმია მსხვერპლი ულიგენისათვის. ასევე ბურიატებშიც მსხვერპლად ნათელი ფერის ცხენს სწირავდნენ. თურქ იაკუტებში ცხენის შეწირვის მიზნით უპირატესობა ეძლეოდა სისვი ფერის (შავ-თეთრ ნარევ) ცხენს. აღმოსავლეთი ჩერემისები სწირავდნენ „დიდ მთის კაცს ნაბლა ფერის კვიცს. სული წმინდის მოფენის კვირას, აქვეა დაცული თქმულება დიდი მარგალიტით მოსილი ვერცხლის ფაფრიან და ვერცხლის კუდიან აჯილდის შესახებ, რომელიც შემდეგ შეწირება ყოვ-


ლად ძლიერ კეთილ ღმერთს, ხოლო ჩერემისები თავიანთ უზენაეს ღმერთს, ცის ღმერთს სწირავდნენ ახალგაზრდა ნაბლა ცხენს: ჩერემისების რწმენით, ცის ღმერთის საუკეთესო შესანიშნავი არის თეთრი, ჯერ კიდევ მუშაობისათვის გამოუყენებელი კვიცი.

ცხენის შეწირვის საინტერესო რიტუალი მოჩანს იაპონიაშიც. შესანიშნავი დანიშნული ცხენი დიდი ხნით ტაძრის ღვთაებრივ საცხენეში ჰყავდათ მოვლილი, რომლის შუა ნაწილი ტაბუირებულია. აქვე კურთხევის დროს იციან ცხენის ძველ საძოვარზე გაშვება. დასაკურთხებელ ცხენს ფაფარს და კუდს მოურთავდნენ ხოლმე. ცხენის მორთვის ანალოგიური წესები იყო დაცული საქართველოშიც, კერძოდ სოფ. დიდმის დიდგორის დღესასწაულზე.

ზემოთ მოყვანილი ეთნოგრაფიული მასალები საშუალებას გვაძლევს, ვიმსჯელოთ ბორისა და არმაზის ლანგრებზე, კერძოდ, პირველ ორ ცხოველზე, რომლებიც მიჩნეულია „ღვთაებად ცხენის სახით“, ეს არ უნდა იყოს სწორი, რადგან მთელი რიგი ეთნოგრაფიული მასალებისა მეტყველებს, რომ ეს ცხენი ღვთაება კი არ არის, არამედ ცხენი ზვარაკი.

რაც შეეხება მესამე ლანგარზე გამოსახულ ცხენს, რომელიც არმაზის ხევეთა ნაპოვნია, მას არავითარი შეწირულების ნიშანი არა აქვს, თუმცა მიჩნეულია შესანიშნავ ზვარაკ ცხენად. ლანგარზე გამოსახული ცხენი „ხარდალი“, ანუ ფაშატი უნდა იყოს, რაც, ხალხის რწმენით, შესანიშნავი მიუღებელი იყო, „ხატი არ უყაბულებს“.

ეს გარემოება შეიძლება პირუკუ ვიფიქროთ: თუ ლანგარზე ფაშატი ცხენია გამოსახული, მაშინ ბომონის წინაშე თვით ღვთაება ცხენის სახითაა წარმოდგენილი და იგი „მზის ღვთაების“ განსახიერებაა, რომლის წინაშე, ვითარცა ღვთაებისა, დაუდგამთ ბომონი შესაფერი შეწირულობითა, რომელზედაც გამოსახულია „მარად უქრობი ცეცხლი“ და ორი ვაშლი. ეს მოსაზრება საფიქრებე-





ლია იმითაც, რომ ქართველთა რელიგიურ წარმოდგენებში მზე ქალია და, თუ ლანგრები, როგორც მთელი რიგი მკვლევრებისა ფიქრობენ, მართლაც ჩვენში, საქართველოშია, დამზადებული, მაშინ ოსტატი ეცდებოდა, ბომონის წინაშე ცხენი მდებარეობით სქესით წარმოედგინა და ასეცაა — არმაზის ხევის მეორე ლანგარზე გამოსახულია „მზის ღვთაება, ცხენის სახით“. ამას თვით ლანგრების ორნამენტიც მეტყველებს. ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში ანალოგიური ორნამენტი მრავლად მოგვეპოვება, განსაკუთრებით დარბაზის დედაბოძებზე, სადაც ორი მთავარი ორნამენტი, ხალხს წარმოდგენილი აქვთ მზედ და მთვარედ, რომელსაც განსაკუთრებით უვლიდნენ და თაყვანსაც სცემდნენ, გარკვეულ „ბედნიერ დღეს“ დედაბოძს და ორნამენტს ზეთით საგანგებოდ სწმენდნენ და გარკვეული რიტუალიც სრულდებოდა მის წინაშე, მაგალითად, ქორწილის დროს, მშობიარობის დროს და ასე შემდეგ.

არმაზის ლანგარზე გამოსახულ ცხენს მარჯვენა ფეხი სამსხვერპლოზე აქვს აღმართული, ამით ღვთაების მაღალი უფლებაა ნაგულისხმები. ოსტატი ცდილა, ღვთაების უპირატესობა ფეხის სამსხვერპლოზე აზევით გადმოეცა, თორემ შესანიშნავი ამის უფლება არ ექნებოდა, რადგან სამსხვერპლო ამ შემთხვევაში „დაჩაგრულია“, ღვთაების წინაშე დაბლა დგას.

ქართველ ტომებში რომ მზის თაყვანისმცემლობა იყო გავრცე-

არმაზის ლანგარზე გამოსახული ვაჟლები განაყოფიერების სიმბოლოს უნდა წარმოადგენდეს.

ლებული, ამას **ლეონტი მროველიც** აღნიშნავს: „ქართველები სხვა მნათობთა შორის მზესაც თაყვანსა სცემდნენ“, ქართველთა მეზობლებიც (ალბანელები), სხვათა შორის, მზეზე ლოცულობდნენ, გადმოგვცემს სტრაბონი.

ქართველთა რელიგიურ წარმოდგენებში რომ მზე ქალია ეს ხალხური ფოლკლორიდანაც კარგად ჩანს. მაგალითად: „დილით მზე დაბნედილიყო, მთვარე აყრიდა შაქარსა, მთვარე ნუ აყრი შაქარსა არავინ მოგცემს მაგ ქალსა“. ხოლო ფშავ-ხევსურთა დეკანოზები თავიანთ ლოცვაში ყოველთვის ამბობდნენ ხოლმე: „დიდება მზესა, იმის მყოლ ანგელოზსა“-ო, მაშასადამე, მზეს თავისი „მყოლი ანგელოზი“-ცა ჰყოლია.

ამ ლანგარზე ჩვენს ყურადღებას იპყრობს სამსხვერპლოზე სიცოცხლის ხის გვირდით მოთავსებული ორი ვაჟი. ამ ვაჟლებში რაც სიმბოლური მნიშვნელობა უნდა მოჩანდეს, რადგან ქართულ საქორწილო წეს-ჩვეულებაში დაცულია ნუფა-დადოფლისათვის ვაჟის მირთმევა, რომელშიც თითქმის ყულია გარჭობილი.

ხალხურ თქმულებებსა და ზღაპრებში ვაჟი შვილიერების სიმბოლოდ არის მიჩნეული, ამა თუ

იმ ქართულ ზღაპარში ვაჟი ხშირად უშვილობის ნამალია. მაგალითად: იყო და არა იყო რა, იყო ერთი უშვილო ცოლ-ქმარი, უშვილოდ გადაგებას აპირებდნენ, რომ ცოლს არ აენიჭა ქმრისათვის: — ნადი მკითხავთან, აკითხვინე, გაიგე რა მიზეზით არა გვყავს შვილი, იქნებ ნამალი იცოდეს რამ, იქნება გასწავლოს, და გვეშველოსო. ნავიდა კაცი მკითხავთან და აკითხვინა, მკითხავმა სამი ვაჟი მისცა და თანაც დაარიგა: — ნაილე ეგ ვაშლები, როდესაც მოშივდება, ეგ ორი ვაშლი მიეც შენ ცოლს შეამოს, ერთიც, რომ მოსწყურდეს, მაშინ შეჭამოს და შვილი გეყოლებათ.

ასეთივე ამბავს ვხვდებით ბიბლიის მითებშიც.

ვაშლის გამოყენების ამ ჩვეულებას ურთიერთობა უნდა ჰქონდეს სიცოცხლის ხის მოტივთან და არმაზის ლანგრებზე გამოსახული ვაშლები განაყოფიერების სიმბოლოს უნდა წარმოადგენდეს.

რაც შეეხება ბორისა და არმაზის ლანგრებს, ამჟამად ხელთ არსებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, რომელთაგან ზოგი ზემოთ მოვიყვანეთ, მიგვაჩნია, რომ ბორისა და არმაზის ლანგრებზე გამოსახული ცხენები არ განასახიერებენ „ღვთაებას“. ისინი მხოლოდ სამსხვერპლოს წინაშე მდგარი შესანიშნავი ზვარაკი აჯილდა ცხენებია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამსხვერპლოს წინაშე მხოლოდ დაუკოდავი ცხოველების მიყვანა იყო მიღებული, რასაც არა მარტო ეთნოგრაფიული მასალები, არამედ ისტორიული წყაროებიც მოწმობენ.

**მოამზადა
დარეჯან ანდრიაძემ
ჯუანშერ სონღულაშვილის
წიგნიდან „მასალები ქართველი
ხალხის ყოფისა და კულტურის
ისტორიისთვის“**

რაც შეეხება ბორისა და არმაზის ლანგრებს, ამჟამად ხელთ არსებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, რომელთაგან ზოგი ზემოთ მოვიყვანეთ, მიგვაჩნია, რომ ბორისა და არმაზის ლანგარზე გამოსახული ცხენები არ განასახიერებენ „ღვთაებას“. ისინი მხოლოდ სამსხვერპლოს წინაშე მდგარი შესანიშნავი ზვარაკი აჯილდა ცხენებია.



ანდრია პირველწოდებული და საქართველო

წმ. ანდრიას, პეტრე მოციქულის ძმას, უფალმა იესო ქრისტემ პირველს მოუწოდა, ამიტომ მას ეწოდა პირველწოდებული. წმიდა ანდრიამ სიყრმიდანვე შეიყვარა უფალი და, როცა ისრაელში ქუხილივით გაისმა წმიდა იოანე ნათლისმცემლის ხმა, ნეტარი მოციქული მისი უახლოესი მოწაფე გახდა. მაცხოვრის გამოჩენისას, წმიდა იოანემ ანდრიას და იოანე ღვთისმეტყველს მიმართა: „აჰა, ტარიგი ღმრთისაი“. ამ სიტყვებზე ორივენი თან გაჰყვნენ იესოს.

შემდეგ კი ანდრია ძმასთან, პეტრესთან მივიდა, მესიის პოვნა ახარა, ისიც იესოსთან მიიყვანა და მას დაუმონაფა. ქრისტეს დამონაფებული ძმები კვლავ ჩვეულ საქმიანობას განაგრძობდნენ და თევზაობით ირჩენდნენ თავს. ერთხელ გალილეის ზღვის ნაპირას მიმავალმა მაცხოვარმა მოუწოდა მას: „მოვედით და შემომიდეგით მე და გყვნი თქვენ მესათხველე კაცთა“. რის შემდეგაც ისინი განუყრელად თან ახლდნენ ძე ღვთისას და მისი სასწაულების, სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის მოწმეებიც გახდნენ.

მაცხოვრის ამაღლების შემდეგ, „რაჟამს წილ იგდეს მოციქულთა“ საქადაგებლად, ღვთისმშობელს ივერიის მოქცევა სვდა წილად, მამბრამ, რადგან მისი მიცვალებული

ბის ჟამი მოახლოებული იყო, კი ღვთისამ უბრძანა, იარუსალიში დარჩენილიყო, საქართველოში კი ანდრია პირველწოდებული გაეგზავნა თავისი ხელთუქმნელი სატი. ყოვლადწმიდა ქალწულმა მოუწოდა წმიდანს და ღვთის ნება აუწყა, შემდეგ ფიცარი მოითხოვა, „დაიბანა პირი და დაიღვა პირსა ზედა თვისსა“. ფიცარზე ღვთისმშობელი გამოისახა ყრმა იესოთი. ეს სინმიდე ზეციურმა დედოფალმა ანდრიას გადასცა და, დიდ ღვანლს შემდგარი, აკურთხა. წმიდა ანდრიამ გაიარა საბერძნეთი, მცირე აზია, შემდეგ კი შავი ზღვისპირეთს მიაშურა, „შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდაჭარა ეწოდების“.

სოფელ დიდაჭარაში დღემდეა შემონახული ტაძრის ნანგრევები, რომელიც, გადმოცემით, თავად წმიდა ანდრია პირველწოდებულს აუშენებია.

ნეტარს მრავალი განსაცდელი დაატყდა თავს ურწმუნოთაგან, მამრამ ღვთისა და კათოსანი სატის მიოხებით ყველაფერი მადლოვით დაითმინა, „ვიდრამდის ყოველნივე მოაქცივნა და მოიყვანა სარწმუნოებად“. იმ ადგილას, სადაც მოციქულმა ღვთისმშობლის სატი დაასვენა, „ფრიად შუენიერი და დიდი“ წყარო აღმოცენდა. ამ სასწაულმა მრავალ წარმართს გაუნათა გონება და შეუდგნენ ქრისტეს მაცხოვრებელს სწავლებას. მოციქულმა ახალმოქცეულთ დაუდგინა მღვდლები



და დიაკვნები. „დაუდგინა წესი და საზღვარი სარწმუნოებისა“, აუგო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარი, სადაც ფიცარზე ზეციური დედოფლის ნაბოძები ხატიდან სასწაულებრივ გადასული ასლი დააბრძანა. ამის შემდეგ უფლის რჩეულმა გადაიარა ფერსათის მთა და აქ ჯვარი აღმართა (სწორედ ამის გამო ეწოდა ამ მთას „რკინის ჯვარი“). მოციქული შემდეგ სოფელ აწყურში მივიდა, რომელიც ადრე სოსანგეთად იწოდებოდა. ამ დროს ამ მხარის გამგებელი იყო ქვრივი სამძივარი, რომელსაც ერთადერთი ვაჟი ჰყავდა. სწორედ ამ დროს მას შვილი მოჰკვდომოდა. ქვრივს შეატყობინეს, რომ იქ იყო ერთი ადამიანი, რომელიც უცნობ ღმერთზე ლოცულობდა. ამ ცნობამ მას გულში იმედი ჩაუსახა და მოციქული თავისთან იხმო. **წმიდა ანდრიამ ქვრივი დედაკაცის ერთადერთი ძე მკვდრეთით აღადგინა.** გახარებულმა ქალმა მადლობით ირწ-



პეტრე და ანდრია



**წმ.ანდრია
პირველწოდებულის
ხატი, რუსეთი, გე-18 ს.**

ლებს — ქრისტეს მიმართ, კერპთ-
მსახურებს კი — თავიანთი ღვთა-
ებისადმი უნდა ელოცათ. დახშულ
ტაძართან მცველები დააყენეს.
დილით, როცა კარი გააღეს, ყვე-
ლამ იხილა „კერპები ქუეყანად
დათხეულნი და სახედ მტუერისა
შემუსრვილნი, ხოლო ხატი ყოვ-
ლადნმადისა ღმრთისმშობლისა
ბრწყინვიდა, ვითარცა მზე, დიდე-
ბითა და პატივითა“. წმიდა ანდ-
რიამ **ანჟურში მოანყო ეკლესია
და მცირე ეკვდერში ღვთისმშობ-
ლის ხელთუქმნელი ხატი დაასვე-
ნა**, შემდეგ კი ახალმოქცეულ სამ-
წყსოს განემორა და გზა განაგრ-
ძო: იყო კლარჯეთში, არტაანკო-
ლაში, პართეთში, სომხეთში, შემ-
დეგ კი იერუსალიმში წავიდა.

იერუსალიმიდან ანდრია სვი-
მონ კანანელთან და მატათასთან
ერთად ისევ საქართველოში დაბ-
რუნდა. ისინი ქართლში შევიდნენ,
განამტკიცეს ქრისტიანობა და
„დაჰყვენენ დასავლეთით, განვ-
ლეს ტაოს კერძო ქვეყანა ვიდრე
ჭოროხამდე“, იყვნენ სამეგრე-
ლოსა და სვანეთში. სვიმონი და
ანდრია აფხაზეთში წავიდნენ,
„ხოლო დიდი ანდრეა სვიმონი-
თურთ... შევიდეს ქუეყანასა აფხა-
ზეთისასა და უქადაგეს სიტყუა
იგი ღუთის-მეცნიერებისა და
მრავალთა სიხარულით შეიწყნა-
რეს ქადაგება იგი და მუნ დაუტე-
ვა ნეტარმან ანდრეა სვიმონ კანა-

ნელი სხვათა თანა მოწაფეთა და
თავად ჯიქეთისა ქუეყანად ავი-
და“. ჯიქეთის მკვიდრმა მოსახ-
ლეობამ არა მარტო უარი განაც-
ხადა მისი ქადაგების მიღებაზე,
არამედ მოციქულის მოკვლაც კი
გადაწყვიტა. მათი სიჯიუტე და
უხეში გონება რომ დაინახა, მოც-
იქულმა მიატოვა ისინი და წავი-
და. წმიდა ანდრია მოციქული
სკვითთა ქვეყანაში, დღევანდელ
რუსეთშიც ყოფილა. მდინარე
დნეპრს აჰყოლია იმ ადგილამდე,
სადაც ამჟამად ქალაქი კიევი
მდებარეობს.

უკანასკნელი ქალაქი, რომელ-
შიც მოციქულმა იქადაგა, პატრა
(საბერძნეთი) იყო, წმიდანის ლო-
ცვით ამ ქალაქში უამრავი ადამი-
ანი მოექცა ქრისტეს სჯულზე,
მაგრამ ქალაქის თავი ეგაეტი
კვლავ ერთგული რჩებოდა ცრუ
ღვთაებისა. უღმრთო ხელისუ-
ფალმა ბრძანა, ჯვარს ეცვათ უფ-
ლის რჩეული. წმიდანი სიხარუ-
ლით შეხვდა განაჩენს და თავის-
ით ავიდა ჯვარზე. ტანჯვა რომ
გაეხანგრძლივებინა, ეგაეტმა
ბრძანა, ძელზე კი არ მიეღურსმ-
ნათ, არამედ დაეკიდათ ნეტარი.
წმიდა მოციქული ორი დღე ქადა-
გებდა ირგვლივ შეკრებილთა წი-
ნაშე. ბოლოს, წმიდანის მადლმო-
სილი სიტყვებით შეძრულმა ხალ-
ხმა მოითხოვა, ჯვრიდან ჩამოეხ-
სნათ იგი. უღმრთო ეგაეტმა გან-

მუნა უფალი იესო ქრისტე, თავის
შვილთან ერთად მოინათლა და
სამცხის მთავრებს წერილი მის-
წერა, ამ ამბავს ატყობინებდა და
ყველას თავისთან იხმობდა. „ვი-
თარცა ესმა მესხთა ამბავი ესე
საკვირველი, მსწრაფლ შეკრბეს
ყოვლით კერძო და იქმნა სიმრავ-
ლე ერისა ფრიადი“. მოვიდნენ სა-
კერპოს მსახურნიც. ხალხი ორად
გაიყო; ნაწილი იძახდა, „ჯერ არს
თაყუანის-ცემად, რომელმა ესე
ვითარი სასწაული აღასრულა“,
სხვები კი კვლავ ცრუ ღმერთების
ერთგულნი რჩებოდნენ. ცილობა
რომ ჩაეცხროთ, გადანყვიტეს,
საკერპოში ღვთისმშობლის ხატი
შეებრძანებინათ, შემდეგ კი კარი
დაეხშოთ. მაცხოვრის მსასოებ-




**ანჟურის ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევები, რომელშიც
წმ.ანდრეამ ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი დაასვენა**



კარგულეზა გასცა, გაეთავისუფ-
ლებინათ წმიდანი, მაგრამ ანდრი-
ამ მხურვალედ შესთხოვა უფალს,
ჯვარზე აღსრულების ღირსი გა-
ეხადა. მეომრები დიდხანს ამოდ
ცდილობდნენ მის ჩამოხსნას. წმი-
დანმა „აღიხილნა თუალნი ზეცად
და მადლობა შესწირა უფალს და
აკურთხნა მორწმუნენი იგი ჯუ-
არსა დამოკიდებულმან“. და ასე,
ღვთისადმი მადლობით აღესრუ-
ლა წმიდანი. ქალაქის მმართვე-
ლის ცოლმა მოციქულის ცხედა-
რი ჯვრიდან ჩამოხსნა და პატი-
ვით მიაბარა მინას. რამდენიმე სა-
უკუნის შემდეგ კონსტანტინე დი-
დის ზეობისას წმიდა მოციქულის
უხრწნელი ნაწილები პატივით
დაასვენეს კონსტანტინეპოლში
და წმიდა მოციქულთა ტაძარში
დააბრძანეს ლუკა მახარებლისა
და ტიმოთე მოციქულის ნაწილთა
გვერდით.

ხშირად, ჩვენი ისტორიის ავბე-
დითობის გამო, ჩვენი ეკლესიის
სამოციქულო წარმომავლობა ეჭ-
ვექვემ დგებოდა. ამის დასტურია
წმიდა გიორგი მთაწმიდელის
ცხოვრებაში აღწერილი ერთ-ერთი
ეპიზოდი, სადაც წმიდა გიორ-
გი ანტიოქიის პატრიარქის წინა-
შე შემდეგი სიტყვებით იცავდა
საქართველოს ეკლესიის თვითმ-
ყოფადობას: „წმიდაო მეუფეო,
შენ იტყვი, თავისა მის მოციქულ-
თასა პეტრეს საყდარზე ვზიო.
ხოლო ჩუენ პირველწოდებულისა
ნაწილნი ვართ და სამწყსონი
და მის მიერ მოქცეულნი და გა-
ნათლებულნი. და ერთი წმიდათა
ათორმეტთა მოციქულთაგანი —
სვიმეონს ვიტყვი კანანელსა —
ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ
არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფ-
სი ეწოდების. ამათ წმიდათა მო-
ციქულთა განათლებულნი ვართ.
და ვინათგან ერთი ღმერთი
გვიცნობიეს, არღარა უარგვიყო-
ფიეს. და არცა ოდეს წუალეებისა
მიმართ მიდრეკილ არს ნათესა-
ვი ჩუენი, და ყოველთა უარისმ-
ყოფელთა და მწუალებელთა შე-
ვაჩუენებთ და დავსწყევთ. ამას
საფუძველსა ზედა მართლმადი-
დებლობისასა და მცნებათა და
ქადაგებათა ზედა წმიდათა მათ



ტაძარი, რომელშიც
წმ. ანდრიას ნაწილები ინახება

**ჩამდინიე საუკუნის შემდეგ კონსტანტინე
დიდის ზეობისას წმიდა მოციქულის
უსრწნელი ნაწილები პატივით დაასვენეს
კონსტანტინეპოლში და წმიდა მოციქულთა
ტაძარში დააბრძანეს ლუკა მახარებლისა
და ტიმოთე მოციქულის ნაწილთა გვერდით.**

მოციქულთასა მტკიცე ვართ“.
შევთხოვთ ჩვენს შემწესა და
მფარველს წმიდა ანდრიას:
წმიდაო მოციქულო, მოციქულ-
თა უპირატეს წოდებულო ანდ-

რია, ევედრე ღმერთსა ჩვენთვის,
რათა სოფელსა მშვიდობა მოანი-
ჭოს და სულთა ჩვენთა დიდი წყა-
ლობა!

წყარო: orthodoxy.ge



თბილისის გალავანი

2012 წელს თბილისში, პუშკინის ქუჩის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოების მიმდინარეობის დროს მიწის გათხრისას ძველი თბილისის გალავანი გამოჩნდა. აღმოჩენილი გალავანი 110 მეტრის სიგრძისაა. სპეციალისტების ინფორმაციით, გალავნის უძველესი ფენა V საუკუნით თარიღდება. ტერიტორიაზე ხუთი სხვადასხვა ზომის, ქვიშა-ქვისაგან აშენებული კოშკია (გოდოლი) განთავსებული. ორ დიდ გოდოლს შორის ე.წ. თბილისის ციხე-ქალაქის ერთ-ერთი კარიბჭე — „დიღმის კარის“ არსებობა დასტურდება. კოშკის შიგა და გარეთა ნაწილებში აღმოჩენილია შუა საუკუნეების დროინდელი მოჭიქული და ჩვეულებრივი კერამიკა, მიწის სამჭერები, მონეტები და სხვა მნიშვნელოვანი ნივთები, ასევე მიაგნეს ბირთვის ქვას, რომელსაც ომის დროს იყენებდნენ.

მატიანე აღნიშნავს, რომ პიტი-ახში მოვიდაო „ტფილისად და კალა-ციხედ“. შემდგომში ეს სახელწოდება — **კალა** გავრცელდა თბილისის გალავნით შემოზღუდულ ძირითად ნაწილზე. სამხრეთ-აღმოსავლეთით გალავანი მიუყვებოდა ნავკისწყალს და მთიან რელიეფზე განლაგებული რთული ფორტიფიკაციული სისტემის მეშვეობით ნარიყალას ბასტიონებს უერთდებოდა. ნარიყალადან კედელი ტეხილი ხაზით მიუყვებოდა აღმოსავლეთისკენ სოლოლაკის ქედს. შაჰ-ტახთან გალავანი მკვეთრად უხვევდა ჩრდილოეთისკენ და საფეხურებად ეშვებოდა მთის ფერდობებზე, გასდევდა დღევანდელი შალვა დადიანისა და პუშკინის ქუჩების ხაზს. შემდგომ გალავანი კვლავ მკვეთრად იცვლიდა მიმართულებას და მტკვრისკენ ეშ-


ვებოდა. გალავნის ამ ნაწილის ფრაგმენტები გამოჩნდა ბარათაშვილის ქუჩის გაფართოებისას 1977 წელს.

სწორედ აქ, ქალაქის ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლების გადაკვეთაზე, იყო მოწყობილი ქალაქის ერთ-ერთი **დიღმის კარიბჭე** (სადაც ახლა ვერცხლის ქუჩა იწყება). **ვახუშტი ბაგრატიონს თბილისის 1735 წლის გეგმაზე ერთმანეთის სიახლოვეს ორი კარიბჭე აქვს ნაჩვენები: „მეიდნის კარი ხილით“ და „ქვემო კარი ხილით“.** თბილისის შემდგომ გეგმებზე კი მხოლოდ პირველს უჩვენებენ „**მუხრანის კარის**“ სახელწოდებით. როგორც ჩანს, „**ქვემო კარი**“ ამოაშენეს მოგვიანებით ფორტიფიკაციული ნაგებობების შეკეთებისას. ქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კარი — კოჯრისა („**კოჭრის კარი**“) მდებ-

ბარეობდა დასავლეთ კედელში, იქ, სადაც დღეს ლესელიძის ქუჩა ერწყმის თავისუფლების მოედანს.

ქალაქის გალავნის კიდევ ორი კარიბჭე იყო საწინააღმდეგო მხარეს: აბანოების კარი, რომელიც აბანოების უბნიდან უშუალოდ კალაში მიდიოდა და განჯის კარი, რომელიც სამხრეთით, ნარიყალას ძირში იყო განლაგებული. ამგვარად, **კალაში შემოსვლა შეიძლებოდა სამხრეთიდან განჯის, დასავლეთიდან კოჯრის, ჩრდილო-დასავლეთიდან დიღმის და ბოლოს, ჩრდილოეთიდან მუხრანის კარიბჭეებით.**

VI საუკუნეში მეფე გვარამ ბაგრატიონმა ქალაქს ქვის ზღუდე მოავლო. გააფართოვა ქალაქის ციხესიმაგრე, აღადგინა ძველი ეკლესიები, სიონი, ააგო სასახლე, რომელიც როსტომ მეფემდე თბილისის ციხეში, მეტეხთა ციხე-ქალაქში გახლდათ. როსტომ მეფემ 1638 წელს სიონისა და ანჩისხატის ეკლესიებს შორის მდებარე მოედანზე, ძველი სამეფო რეზიდენციების ადგილზე, სასახლე ააგო. მოედანი ქალაქის ზემო უბნის ცენტრს წარმოადგენდა და მას **ზემო მოედანიც** ეწოდებოდა. ადმინისტრაციულმა და ფუნქციურმა ცენტრმა კალაში გადმოინაცვლა — მეფის მოედანზე სიონისა და ანჩისხატის შემაერთებული ქუჩის გასწვრივ. მანამდე თბი-





ლისის ცენტრალურ მოედნად ციხის მოედანი ითვლებოდა.

XIX საუკუნეში საპატრიარქოს ამჟამინდელი შენობის ადგილას ქართლის მეფეების სასახლე იდგა, რომელიც როსტომ მეფემ XVII საუკუნის 40-იან წლებში ააგო.

ქართველ მეფეთა სამსართულიანი სასახლე მდინარე მტკვრის სანაპიროზე ანჩისხატსა და სიონს შუა 300 ოთახს, ოთხ ეკლესიასა და სამ მოედანს მოიცავდა. სასახლის გვერდით მეფე როსტომმა გოგირდის ნმ აბანო ააშენებინა. აბანოთუბნიდან საგანგებოდ თიხის მიღების ორი ხაზით ცხელი და ცივი წყალი გამოიყვანეს. მისი რვა ოთახის ორნამენტირებული კედლები მოჭიქული იყო ფილებით, ხოლო იატაკი თეთრი მარმარილოსგან იყო მოპირკეთებული. აბანოს ამშვენებდა სინათლისათვის დატოვებული დიდი დამცირე გუმბათები ჭრილებით. სამეფო უბანი შიდა გალავნითაც იყო შემოფარგლული და ღამე იკეტებოდა. აბანო ერეკლე II ბაგრატიონმა 1738 წელს აღადგინა.

1804 წელს ნახევრად დანგრეულ მეფის აბანოში ფულის მოსაჭრელი შენობა (ზარაფხანა) და ოქროს სასინჯი პალატა გახსნეს. აქედან შემორჩა დღემდე მოღწეული სახელი – ზარაფხანა.

ქართული ზარაფხანის მიერ მოჭრილ ვერცხლისა და სპილენძის მონეტებზე სამანძიანი ხომალდი იყო გამოსახული ვახტანგის დაქარაგმებული სახელითა და თარიღით – 1708-1709წ.წ.

ალა-მაჰმად-ხანის მიერ ქალაქის აოხრების შემდეგ საქართველოს მეფემ გიორგი XII მოედნის ჩრდილოეთით დროებით სამყოფელად სასახლე ააგო. მეფე გიორგის გარდაცვალების შემდეგ სასახლე უკანონოდ მიისაკუთრეს და გადააკეთეს. 1990-იან წლებამდე შენობას სხვადასხვა დანიშნულებისთვის იყენებდნენ.

XVII-XVIII საუკუნეებში როსტომისეული სასახლის ანსამბლში შედიოდა აბანო, ხოლო 1804 წლიდან 1834 წლამდე ამ შენობაში ზარაფხანა იყო მოთავსებული. აბანოს წინ, მტკვრის ნაპი-



ბარათაშვილის ქუჩის დასაწყისში ქართველი არქიტექტორის — შოთა ყავლაშვილის მოწოდებითა განთავსებული. მისი ავტორობით განხორციელდა ქალაქის ძველი რაიონების რეკონსტრუქცია და აღდგენა



ბარათაშვილის ქუჩა, ძველი ციხესიმაგრის კედელი

რას პირველი ქართული სტამბის შენობა იდგა.

პირველ გრაფიკულ საბუთს, რომელიც ზუსტად გადმოგვცემს ფეოდალური თბილისის ქალაქთმშენებლურ სტრუქტურას, ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილი გეგმა წარმოადგენს. მართალია, ვახუშტი ბაგრატიონი არ იძლევა ქუჩების ზუსტ ქსელს, მაგრამ იგი მაინც გამოყოფს ზოგიერთ ქუჩას, რომელთაც, როგორც ჩანს, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. კა-

ლაში ორი მოედანი გამოიყოფა: **ციხის (თათრის) და ბატონის (მეფის)**. ბატონის მოედნის მნიშვნელობა გაიზარდა მას შემდეგ, რაც მეფე როსტომმა ახალი სასახლე ააშენა ამ მოედნის ერთ მხარეზე.

გვიანფეოდალური ხანის კალას ქუჩების ქსელის ხასიათზე მკაფიო წარმოდგენას იძლევა მე-18 საუკუნის ბოლოს და განსაკუთრებით 1800 წელს შედგენილი თბილისის გეგმები, რომლებზეც მკვეთრად არის გამოსახული ქალაქის მაგისტრალეები. ერთ-ერთი



მათგანი იწყებოდა დიღმის კართან, მიუყვებოდა დღევანდელ ვერცხლის ქუჩას და შემდეგ სიონის ქუჩით გადიოდა თათრის (დღევანდელი გორგასლის) მოედნისკენ.

მეორე ასეთ მაგისტრალს წარმოადგენდა გზა, რომელიც კოჯრის კართან იწყებოდა. საუბარია ლესელიძის ქუჩის მონაკვეთზე თავისუფლების მოედნიდან ვერცხლის ქუჩასთან გადაკვეთამდე.

სწორედ ეს გზა ყოფდა კალას ორ, **ზემო და ქვემო**, უბნად. ამიტომაც ერქვა მას **შუაბაზარი**. ზემო უბანში იყო განლაგებული ქალაქის უმთავრესი ნაგებობები: სასახლეთა კომპლექსი, ქარვასლები (მეფის, თბილელის, მელიქის), ქართული ეკლესიები (სიონი, ნათლისმცემელი, ანჩისხატი, კვირაცხოველი, ქრისტეშობის და სხვ.), კათალიკოსისა და ეპისკოპოსის ადგილსამყოფელები, თავადების (ამილახვრის, მუხრან ბატონის, ქსნის ერისთავის, ორბელიანების, ციციშვილის, ზედგენიძის, აბაშიძის და სხვ.) სახლები. ამ უბნის ძირითად მოსახლეობას ქართველები შეადგენდნენ. მხოლოდ მე-18 საუკუნის დამდეგს აშენდა ზემო უბანში ერთადერთი სომხური ეკლესია — სურფნიშანი. ქვემო უბანში ქართველების გარდა დიდი რაოდენობით სახლობდნენ სომხები და მუსლიმანები. ამ უბანში ქართული და სომხური ეკლესიების, მეჩეთების გარდა, კათოლიკური ეკლესიაც (ე.წ. „ფრანგთა საყდარი“) იდგა. ქუჩას, რომელზეც კათოლიკური ეკლესია იდგა, „ფრანგთა ქუჩას“ ეძახდნენ (ამჟამად პირველი მაისის ქუჩა).

ზემო და ქვემო უბნები თბილისის ძირითადი რაიონები იყო. ისინი თავისთავად მრავალ მცირე უბნად იყოფოდა. **ამა თუ იმ უბნის დასახელება ასახავდა მოსახლეობის უმრავლესობის ეროვნულ შემადგენლობას** („ქართველთა უბანი“, „მოგვთა უბანი“, „ურიათა უბანი“), ხელოსანთა საქმიანობას („მჭედლის უბანი“, „სამღებროს უბანი“, „სარიმაჯის უბანი“), ამ ტერიტორიაზე ნაგე-



ასეთი იქნება ესტაკადა პუშკინის ქუჩაზე

ბობებს („ანჩისხატის უბანი“, „ნორაშენის უბანი“, „სიონის უბანი“, „ციხის კარის უბანი“) ან უბანში მცხოვრებთა ვინაობას („ცოცხალანთ უბანი“, „ფირყულანთ უბანი“, „ყორღანანთ უბანი“, „ორბელიანის უბანი“).

ალა-მაჰმად-ხანის ურდოებმა კალას დიდი ნაწილი დაანგრიეს და გადაბუგეს. თუ არ ჩავთვლით საკულტო ნაგებობებს, კალას დღევანდელი განაშენიანება (საცხოვრებელი სახლები) მთლიანად მე-19 საუკუნეშია ჩამოყალიბებული, თუმცა სარდაფები ბევრ შემთხვევაში ადრინდელია, ვინაიდან დანგრეულის აღდგენას ძველი საძირკვლების გამოყენებით აწარმოებდნენ.

არქეოლოგებმა გალავნის არს-

ებობის შესახებ აქამდეც იცოდნენ. მასზე საუბარია თბილისის შესახებ ისტორიულ წყაროებშიც და გალავნის სრული მონახაზი კარგად ჩანს ვახუშტი ბატონიშვილის მიერ 1735 წელს შექმნილ პირველ ატლასშიც.

პუშკინის სკვერის მიმდებარედ ესტაკადის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დაიწყო. ხიდის მშენებლობით ძველი თბილისის იერსახე არ დაიკარგება. ესტაკადის მეშვეობით პუშკინის ქუჩაზე ორმხრივი სავტომობილო მოძრაობა აღდგება, სამუშაოები მიმდინარე წლის ივლისში დასრულდება. პროექტზე დედაქალაქის ბიუჯეტიდან 3 მილიონ 950 ათასი ლარი დაიხარჯება.





ISSN 1987-5908



917719875900061